

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



№7
2008

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი
„სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

ნუგზარ ფირატიელი (მთავარი რედაქტორი),

ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),

კონსტანტინე ბეთანელი, ნანა გაფრინდაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ გოცირიძე, ემზარ კვიციანიშვილი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, რევაზ უზუნაძე, გარი ჩაფიძე, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.

საკონტაქტო ტელეფონები:

99-00-35, 99-94-46, 93-43-10

877-52-31-31, 877-50-29-84

ISBN 5-89512-248-5

Y საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

„საზოგადოება ცოდნაში“	3
„საზოგადოება ცოდნის“ დღევანდელი და პერსპექტივები	3
წერილები პოლიტიკის სფეროდან	12
უსინათლო კაციც კი ხედავს	12
ცხინვალთან და ოსობასთან დაკავშირებული საკითხების გახსენება	17
ლიტერატურა	24
ბოლომდის თქმა მართლისა	24
ქვეყნად სამარადისოდ დარჩენილი კაცი	29
ჩემი პირველი ფრესკა	39
დალი კახიანი – ლექსები	51
ისტორია	53
ისტორია იგი, დიდებული ტაძარია!	53
„ვაჰ, დრონი, დრონი...“	56
ახალგაზრდების შემოქმედება	61
ჩვენი სამშობლოს ეკლესია-მონასტრები	61
ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება:	71
მაია ნიკოლაძე	72
ნათია ქორიძე	90
მოყვასის ხსოვნა	94
დაუვიწყარი პიროვნება	94
ორი მეგობარი	98
ტრადიციების მცველი	103

„საზოგადოება ცოდნის“ დღეგანდღეობა და პერსპექტივები

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „საზოგადოება ცოდნამ“ დაარსებიდან მეშვიდე ათეულში გადააბიჯა. განვლილი ათწლეულები მეტიმეტად რთულად გადასალახავ წლებს წარმოადგენდნენ, თუმცა „ცოდნამ“ გაუძლო ყველა სიძნელეს, ფორმაციათა ცვალებადობით გამოწვეულ უამრავ წინააღმდეგობას და დღემდე მოვიდა.

განვლილი სამოცზე მეტი წლის განმავლობაში დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უმთავრესი სამართალმემკვიდრე და მისი მოდელის მიხედვით შექმნილი „მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნა“ ქართველი ხალხის სულიერი ღირებულებების უანგარო სამსახურს ეწეოდა, ხალხში ავრცელებდა ერის ინტელექტუალური მონაპოვრების სიმდიდრეს, მოიცავდა ყველა ქალაქსა და რაიონს, დაბასა და სოფელს.

აღიარებულ ფაქტად ითვლება, რომ ლექტორის – მეცნიერის, მწერლის, მუსიკოსის, გამოჩენილი ადამიანის, ცნობილი სპეციალისტის მართალ სიტყვას გარკვეული სიკეთის მოტანა შეეძლო ხალხისათვის, უშუალო შეხვედრების დროს ადამიანებს საშუალება

ჰქონდათ გაეგოთ ბევრი რამ მათთვის საინტერესო, ნებისმიერი შეკითხვა დაესვათ ლექტორისათვის, ეს უკანასკნელი კი ცდილობდა ცოცხალი სიტყვა უნარიანად გამოეყენებინა, რომ ყველა მწვავე კითხვისათვის რაც შეიძლება დამაჯერებელი პასუხი გაეცა. ხალხის ფართო მასებს მოსწონდა ასეთი ფორმა და ყველა გამოჩენილი ადამიანის ლექციას გარკვეული სიამოვნებით უსმენდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგალითად, საჯარო ლექციების ციკლი, რასაც „აკადემიკოსის ტრიბუნა“ ეწოდებოდა, ასობით და ათასობით ადამიანის წინაშე გამოდიოდნენ ცნობილი აკადემიკოსები, ხალხს აცნობდნენ ამა თუ იმ დარგში არსებულ მიღწევებს და მომავლის პერსპექტივებს, პასუხობდნენ უამრავ შეკითხვას და ამით ამყარებდნენ ცოცხალ კონტაქტს. ეს კი ათობით გაზეთსა თუ ტელე-რადიოგადაცემაზე გაცილებით მეტ სასარგებლო საქმეს აკეთებდა, ცოდნის სურვილი შეჰქონდა ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი, ახერხებდა არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი მეცნიერი პროფესორი ვახტანგ პარკაძე ორმოცდაათი წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავ-

შირებით წერდა: „თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოება „ცოდნამ“ კოლოსალური როლი შეასრულა რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენებში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით. საქართველოში არსებულ ყველა სოფელშიც კი ჩვენი ლექტორი ცოდნის ჩირაღდნით შედიოდა“...

ეს ძლიერი სულიერ-ინტელექტუალური მუხტი სამოცი წლის მანძილზე მოჰყვებოდა „საზოგადოება ცოდნას“, რომელიც 1990 წლიდან ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით სრულად იწოდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნად“, რაც დროისა და ახალი კანონების მოთხოვნათა შესრულებით იყო განპირობებული.

ალიარებული ფაქტია, რომ „საზოგადოება ცოდნამ“ ხალხის განვითარებისათვის უამრავი სასარგებლო საქმე გააკეთა და დღესაც უამრავ ცხოვრებისეულ დაბრკოლებათა მიუხედავად კვლავ ცდილობს არ დათმოს პოზიციები, არ დათმოს წილობით ჩამოყალიბებული ტრადიციები, პირიქით, განავრცოს, წამოჭრილ მოთხოვნებს უპასუხოს და ახალ ცხოვრებისეულ დინებებს მიუსადაგოს.

თუმცა აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ ერთი ორგანიზაციის მიერ, ამ შემთხვევაში „საზოგადოება ცოდნის“ მიერ საინფორმაციო-საღიგობრო საქმი-

ანობა გაცილებით გაძნელდა და გართულდა, ათეულობით პარტია, მოძრაობა, ფორუმი, კონგრესი თუ აკადემია ცდილობს საკუთარი არა საერთო-სახალხო, არამედ ვიწრო იდეოლოგია დაამკვიდროს, ზოგიერთი ოპოზიციური პარტია საერთოდ თავდაყირა აყენებს ყველა მონაპოვარს, თვითდამკვიდრების ყველაზე ქმედით, საუკეთესო გზად ხელისუფლების დაუოკებელი ლანძღვა-გინება, ხალხისათვის ჭკუაგონების არეგ-დარევა მიაჩნია. თითქმის იგივეს იმეორებს ზოგიერთი, ხაზს ვუსვამთ ზოგიერთი, ტელე-რადიომუწყებლობა თუ მკვეთრი ყვითელი ფერით გადაღებული გაზეთი, რაც თავისთავად, მკვეთრად უსვამს ხაზს საქართველოში დემოკრატიული პროცესების წინსვლას. საერთოდ კი არსებული ბაკქანალიისა და სიტყვიერ-აზრობრივი შეხლა-შემოხლით ჩამოვარდნილი კაკოფონიის ლექტორთა გამოსვლებით გადაფარვა ან შერბილება-გაკეთილშობილება ძალიან ძნელი აღმოჩნდა, თუმცა ეს წილობით გამოძევა-ბული ამოცანა ნაწილობრივ მაინც სრულდება, სხვანაირად ყოფნა ან საერთოდ გაჩერება შეუძლებელია, ამდენად „ცოდნაც“ აგრძელებს საქმიანობას, თუმცა უსახსრობამ და უფულობამ გამოიწვია ქალაქებთან და რაიონებთან კონტაქტის გაწყვეტა, დაწყებული საქმის შენელება.

უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურის დღევანდელი ცოცხალი კლასიკოსი, ქალბატონ-

ნი ანა კალანდაძე წერდა „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობის შესახებ: „... მომხსენებელსა და მსმენელს შორის უშუალო კონტაქტი, ადამიანთა შორის ის „ცოცხალი“ ურთიერთობა, რასაც სულ სხვა მომხიბლობა და განუმეორებლობა ახლავს, ჯერჯერობით, მართლაც შეუცვლელი რჩება. ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ იკიდებს ძირს. ამ საზოგადოების ფესვებზეა ამოზრდილი და განაგრძობს მის იმ დიდ საქმეს, რომლისადმი უანგარო სამსახურიც ჩვენს წინაპრებს თავიანთი ამ ქვეყნად არსებობის ძირითად მოვალეობად მიუჩნევიათ“.



1991 წლიდან საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“ გახდა გაუქმებული, ე.წ. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიეს“ ადგილას წარმოქმნილი საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიეს“ ნამდვილი წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი. ასოციაციაში ყოფილი რესპუბლიკების, იმჟამად კი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების „საზოგადოება ცოდნის“ მონათესავე ან ზუსტად მსგავს ორგანიზაციებთან ერთად გაერთიანდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბრაზილიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთის, რუმინეთის იგივე დანიშნულების, ოღონდ სხვადასხვა სახელწოდების ორგანიზაციები, რაც ქმნიდა კონტაქტებისა და კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების განმტკიცება-გაფართოების თანამედროვე საქმიან საშუალებას.

ასოციაციის დაარსების პირველ წლებში ეს კონტაქტები მართლაც საქმიანი, სასარგებლო კუთხით მიმდინარეობდა. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნამ“ მჭიდრო მეგობრული კონტაქტები დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ნიუ-იორკის საგამომცემლო გაერთიანება „ნოვა საიენს პაბლიშინგ ინკომპანისთან“. ამ კონტაქტების წყალობით ამერიკაში ცალკე წიგნებად დაიბეჭდა, ჟურნალებში გამოქვეყნდა ან ბუკლეტების სახით გამოვიდა ოცდაათზე მეტი ქართველი ავტორის საუკეთესო ნაწარმოებები. ჩვენც

ინგლისური ენიდან ქართულზე ვთარგმნეთ და „საზოგადოება ცოდნის“ გრიფით მაღალ დონეზე გამოვუშვით გამოცემლობის გენერალური დირექტორის, ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობრის ფრენკ კოლამბუსის საინტერესო რომანი სათაურით „თავდაყირა რუსეთი“.

იმაზეც შეიძლება ითქვას, თუ როგორ „შეგვიწყო“ და „გვიწყობს“ ხელს საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიეს“ დამფუძნებელი და ფაქტიურად ხელმძღვანელი რუსეთი კვლავაც გავაფართოთ კონტაქტები, ვიზრუნოთ ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთნდობის განსამტკიცებლად, შეიძლება მოვიტანოთ თუნდაც ორიოდე დამახასიათებელი მაგალითი. 2007 წლის 25-29 მაისს სანკტ-პეტერბურგში ტარდებოდა საზოგადოება „ზნანიეს“ დაარსებიდან 60 წლისთავის საიუბილეო თარიღი. დროულად მოვიდა ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მიწვევის შესახებ სანკტ-პეტერბურგში. თითქმის ერთი კვირის მანძილზე რუსეთის საელჩოსა და საკონსულოში სიარულმა შედეგი ვერ გამოიღო, „ცოდნას“ ვიზა არ მისცეს. იგივე განმეორდა ივლისის თვეში, როცა ქ. მოსკოვი მასპინძლობდა საზოგადოება „ზნანიეს“ დაარსებიდან 60 წლისთავის საიუბილეო სხდომის მონაწილეებს. როცა საკონსულოს განმარტება ვთხოვეთ, თუ რა იყო უარის მიზეზი, მათ გვიპასუხეს:

„საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიე“ ჩვენი ხელმძღვანელი არ არის, ამიტომ რამდენიც გნებავთ ბეჭდიანი და ბლანკიანი ქაღალდები ჩვენ არ გვადლევს საფუძველს ვიზები მოგცეთ. საჭიროა საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიემ“ თუ სანკტ-პეტერბურგის „ზნანიეს“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს. მათთან შეთანხმებისა და დადებითი პასუხის გამოგზავნის შემდეგ შევიძლია მოგცეთ ვიზები“. ეს საკმაოდ რთულად გასავლელი გზა იყო, რის გამოც საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ ხელმძღვანელობამ მონაწილეობა ვერ მიიღო საიუბილეო ღონისძიებებში, ეს კი იმის უტყუარი დასტურია, რომ წესდებითა და ორმხრივი შეთანხმებებით მიღწეული კონტაქტების მიზანდასახულობანი თავად რუსეთის არასწორი პოლიტიკის გამო ირღვევა და უფასურდება.

ბოლო წლების დემოკრატიულ საქართველოში ხელისუფლების ნებით ფართოდ მკვიდრდება ცივილიზაციის მრავალი სიკეთე, მოქმედებს ათობით რადიომაუწყებლობა და სატელევიზიო არხი, გამოდის ათობით გაზეთი და ჟურნალი, ბევრი პოლიტიკოსი შესანიშნავად ლაპარაკობს უფასოდ, ნებისმიერ ლექტორზე საინტერესოდ, ფართოვდება მობილური ტელეფონების ქსელი, რაც უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ფართოდ და შეუქცევადად იკიდებს ფეხს კომპიუტერი, ფაქსი, ელექტრონუ-

ლი ფოსტა, რითიც არნახული გადატრიალება და წინსვლა ხდება ადამიანების აზროვნებაში, რამაც, ბუნებრივია, გარკვეულწილად შეაფერხა ადამიანების, ლექტორების, მეცნიერების საინფორმაციო-სალექციო საქმიანობა, თუმცა აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ აღმავალი დროის ტექნიკის ეს მიღწევები ასჯერ და ათასჯერ მეტია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებში, აქ კი ისიც ხაზგასმას საჭიროებს, რომ ყველა ნახსენებ და მრავალ სხვა ქვეყანაში არსებობს „საზოგადოება ცოდნის“ ზედმიწევნით მსგავსი, მონათესავე ორგანიზაციები, რომელთაც უძრავლეს შემთხვევაში მოზრდილთა უწყვეტი განათლების კავშირები, ცენტრები თუ კლუბები ეწოდებათ. თუკი ასეთი მაღალი განვითარების დიდ ქვეყნებში ხალხს, მოსახლეობას, ახალგაზრდობას სჭირდება დამატებითი უწყვეტი განათლება, ჩვენ მით უმეტეს გვჭირდება, გვჭირდება კი არა, აუცილებლად გვჭირდება. ამიტომ ვფიქრობთ, ყველა გაგებით უნდა შეხვდეს ქვეყნის უმაღლესი იურიდიული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2006 წელს მიღებულ „საზოგადოება ცოდნის“ ახალ წესდებაში ჩაწერილ მნიშვნელოვან მითითებას: „ცოდნას“ კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისა თუ რაიონის წარმოებებში, ორგანიზაციებში, კერძო სტრუქ-

ტურებსა თუ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში ჩაატაროს ლექცია-მოსხენებები ან სამეცნიერო-შემეცნიებითი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები აკადემიკოსებთან, მწერლებთან და ა.შ“. „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლებმა და ლექტორებმა უნარიანად, ახლებური მიდგომით უნდა იმუშაონ ამ მიმართულებით.

ისე, როგორც „ცოდნის“ მთელი სამოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, დღესაც მკვეთრი ყურადღება ექცევა სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც „ცოდნის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ეს საპატო საქმე პიროვნებებსა და ჯგუფებს შეუძლებს სახელოვანი ისტორიის მქონე ერთ-ერთ უძველეს საზოგადოებას ეხება და ხელეწიფება.

„ცოდნის“ ინიციატივითა და საქართველოს განათლების სამინისტროს უანგარო მხარდაჭერით 1993 წლიდან თბილისისა და ბათუმის გვერდით მაღალმთიან რეგიონში მოქმედებენ „ცოდნის“ სასწავლო დაწესებულებები: დუშეთში, თიანეთში, ონში, მარტვილში, ახალქალაქში. ამგვარი საპატო საქმე ძირითადად კეთდებოდა ადგილებზე ახალგაზრდობის დამკვიდრების მიზნით, რისთვისაც „ცოდნის“ გამგეობამ ბევრჯერ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მადლობა დაიმსახურა.

ეს პრიორიტეტული მიმართულება კიდევ უფრო განმტკიცდა და გა-

ძლიერდა ბოლო პერიოდში. „ცოდნამ“ მოახდინა მის ხელთ არსებული ძალების მობილიზება, შესაფერისი აუდიტორების მოძიება, პროფესორ-მასწავლებლების შემოკრება, ყველა პრობლემატური საკითხის მოგვარება, გაიარა მეტად რთული, საპასუხისმგებლო, მძიმე, ოღონდ თავისთავად საპატიო გზა და 2007 წლის 22 ნოემბერს ხუთწლიანი ვადით მიიღო ინსტიტუციური აკრედიტაცია, რის საფუძველზეც „საზოგადოება ცოდნას“ ექნება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი. ინსტიტუტში იფუნქციონირებს ფარმაცევტული და ჰუმანიტარული ფაკულტეტები. უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საზოგადოება ცოდნის“ ჰუმანიტარული ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით, იმოქმედებს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან რეგიონში – ახალქალაქში და გარკვეულწილად მოემსახურება ქართული სულისკვეთების გაღვივებას. ინსტიტუტის გვერდით „საზოგადოება ცოდნაში“ საქმიანობას ეწევა სტამბა, სადაც იბეჭდება წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები და „ცოდნის“ ორგანო სქელტანიანი ჟურნალი „სიტყვა“, რომელმაც გააგრძელა ის ტრადიციები, რაც გააჩნდათ ცოდნის ჟურნალებს „გულანდილი დიალოგი“ და „კითხვა, პასუხი, პრობლემა“. საინფორმაციო-საღებავო საქმიანობის

გვერდით ამგვარი საინტერესო, ახლებური და „საზოგადოება ცოდნისათვის“ სისხლხორცეული მიმართულებებიც განმტკიცდა.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირს „საზოგადოება ცოდნას“ დიდი სურვილი აქვს კვლავაც იმუშაოს ისე, როგორც ამას წერილში აღნიშნავდა ქართველი ერის სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II: „ჩვენ დიდად ვაფასებთ საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობას, რომელსაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ერის განათლების საქმეში. თქვენი ორგანიზაცია ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოს სულიერი და კულტურული ცხოვრების მიმდინარეობას... სასიხარულოა, რომ საზოგადოება „ცოდნამ“ გადაწყვიტა ხელი შეუწყოს მოსახლეობაში სარწმუნოებრივი განათლების შეტანის უმნიშვნელოვანეს საქმეს“.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ ახალი რთული ამოცანების წინაშე დგას და კვლავაც მონდომებული საქმიანობით შეეცდება მათ გადაწყვეტას.

**„საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმი
ჟურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგია.**

დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი
ჯილდოთი – ღირსების ორდენებითა და
მედლებით დაჯილდოებული საქართველოს
საერთაშორისო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ გამგეობის წევრები, თანამშრომლები
და ლექტორები

1. კონსტანტინე ბეთანელი – თბილისი
2. ნიკოლოზ ლეონიძე – თბილისი
3. თეიმურაზ მიბჩუანი – აფხაზეთი
4. ამირან კახიძე – აჭარა
5. ზოია ჩიმაკაძე – თბილისი
6. ნუგზარ წერეთელი – თბილისი
7. ნოდარ ზედელაშვილი – თბილისი
8. ნოდარ ცხვირავაშვილი – თბილისი
9. ალექსი ჭედია – თბილისი
10. ნუნუ გულუა – თბილისი
11. ტარიელ სტურუა – თბილისი
12. გარი ჩაფიძე – ჭიათურა
13. რუიზანა ბალიაშვილი – თიანეთი
14. ვალერი გურგენიძე – ამბროლაური
15. ლამარა გადელია – სენაკი
16. ლელა გავაშელი – თბილისი
17. გიორგი დავითულიანი – ქუთაისი
18. მიხეილ პაპელაშვილი – თბილისი
19. ლალი დემეტრაშვილი – თბილისი
20. ალექსანდრე ენოქიანი – ახალქალაქი
21. ეთერ კიკნაძე – თბილისი
22. მარიამ კუსრაშვილი – თბილისი
23. თინა ნათენაძე – თბილისი
24. ბორის პუგაჩოვი – თბილისი
25. ნათელა სიყმაშვილი – თელავი
26. ნათელა ქორიძე – თბილისი
27. მაყვალა შევარდნაძე – ოზურგეთი
28. შალვა წამალაიძე – დუშეთი
29. ლეილა წეროძე – თბილისი

მადლობა გამოეცხადათ:

ნინო არსენიშვილს (თბილისი), ნელი ბარნაბიშვილს (თბილისი), ზაირა გედეშურს (თბილისი), მზია გოგიტაურს (თბილისი), ბერდო გოიშვილს (თბილისი), გიორგი ზარიძეს (ახალქალაქი), გივი იესაშვილს (თბილისი), ვალერი ითონიშვილს (თბილისი), გულიკო კარკაძეს (თბილისი), ჯემა კაროიანს (ახალქალაქი), მიხეილ გაბისონიას

(თბილისი), გიორგი მალრაძეს (ბორჯომი), ენვერ ნასიბოვს (მარნეული), ლევან ფრუიძეს (თბილისი), ლევან შენგელიას (თბილისი), გიორგი შიოშვილს (მცხეთა), სოკრატ ჩუბინიძეს (წყალტუბო), მიმოზა ჭითანავას (თბილისი), თამარ ჭიჭინაძეს (თბილისი), დალი ჭუჭულაშვილს (თბილისი).



უსინათლო კაცი კი ხელავს

ძრავალი შემთხვევა არსებობს, როცა შემოქმედ ადამიანს რაღაც ცხოვრებასეული უბედურება დაატყდა თავს: ლოგინად ჩავარდა, სიარული ველარ შეძლო, დაყრუვდა ან კიდევ უფრო უარესი, დაბრმავდა. სხვა შემთხვევები რომ არ გავიხსენოთ გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჩიქოვანის მაგალითიც კმარა, რომელმაც თვალისჩინის დაკარგვის შემდეგ შემადრწუნებელი გულისტკივილით განაცხადა: „ვაი, ველარ ვხედავ მზესო“. ფიზიკურმა უბედურებამ დიდი ადამიანი სულიერად ვერ გატეხა, უკვე სრულიად დაბრმავებული წერდა: „იანვარი, თებერვალი, მარტი, სამი თვეა მეტად უღიმღამო, გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი, მოგიზგიზე სიყვარულის გამო“. სულით ძლირი ადამიანები იყვნენ, არიან და სამწუხაროდ, ალბათ, მომავალშიც იქნებიან. ამგვარ ადამიანად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ბორჯომის საპატრიო მოქალაქე, ქალაქის ყოფილი მერი და წლების მანძილზე რაიონის ერთ-ერთი თვალსაჩინო თავკაცი ლევან ბასილაია. ამ ენერგიით, სიცოცხლით სავსე ადამიანს ერთ დროს ყველა იცნობდა, პატივს სცემდა, მასთან მეგობრობას მიესწრაფოდა. ლევან ბასილაია იყო ყველა ქართველი ინტელიგენტის თუ საზოგადო მოღვაწის დამხვედრი, მზრუნველი, პატივისმცემელი. ბოლოს დიდი სიკეთე დიდი ტკივილით შეეცვალა, თვალისჩინი დაკარგა, წყვილი-

ადში ჩაიძირა უსაყვარლესი ბორჯომი, რომლის გარეშე ცხოვრება მას ერთი საათითაც კი არ შეეძლო და არც გაუფიქრებია. რაღა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ლევანი არ გატეხილა, სულით არ დაცემულა, განსაცდელის წინ არ შემდრკალა, მან უკვე ორი შესანიშნავი წიგნი გამოსცა საერთო სათაურით „რა ხდებოდა ბორჯომში“. წიგნებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა მთელ საქართველოში. ამან სტიმული მისცა ავტორს მომავალ წიგნებზეც დაეწყო მუშაობა. ამავე დროს ლევან ბასილაია საჭირობოლოდ თემაზე შექმნილი ბევრი წერილიც გამოაქვეყნა, ნიჭიერი მწერლისა და ჟურნალისტის სახელიც დაიმკვიდრა.


ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილ ჟურნალ „სიტყვაში“ სრული სახით ვაქვეყნებთ ამ ბოლო დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ლევან ბასილაია ჩვენს უახლეს ისტორიაზე საუბრობს.

ნუგზარ წერეთელი

ამას მმ, უსინათლო კაცი, ჰხელავდი და ჰხელავ!

ბორჯომში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ. სხვადასხვა წლებში ვმუშაობდი მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამიტომ ყველა სერიოზული მოვლენის მომსწრე და მონაწილე ვიყავი.

უსინათლოდ დარჩენილმა კაცმა ჩემული ფიქრების შემდეგ გადავწყვიტე შევეხო და ჩემი მხრივ ნათელი მოვფინო ზოგიერთ ბურუსით მოცულ საკითხს, რაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ერთ სფეროს ეხება. ამას მაგალებს ამ გამოჩენილ პიროვნებასთან ჩემი უაღრესად თბილი, ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა და გარკვეულწილად დაკისრებული პასუხისმგებლობაც.



იალბუჯის ფერდობზე,
მარცხნიდან ლევან ბასილაია,
ნუგზარ წერეთელი, თამაზ ფხაკაძე

ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, კერძოდ, მდინარე გუჯარულას ხეობის სოფლებში – გუჯარეთში, გვერდისუბანში, წინუბანში, ოდეთში, ღინტურში, მაჭარწყალში, წითელსოფელში, მიტარბში კომპაქტურად ცხოვრობდნენ ოსები. მათი გამრჯე შრომის ნაყოფით ბორჯომის ბაზარი უხვად მარაგდებოდა. ქართველებთან თანაცხოვრებით მათ არასდროს შექმნიათ პრობლემები.

ქართველთა და ოსებს შორის ღლეკანდელ დაძაბულ ვითარებას ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე პრეზიდენტობის პერიოდს უკავშირებენ და უსამართლოდ ცდილობენ შებღალონ მისი სახელი. სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ყველა ძირგამომთხრელი საქმიანობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთ ფაქტზე მსურს მკითხველის ყურადღების გამახვილება. ზემოთ აღნიშნული მდინარე გუჯარულას ხეობის სოფლების მცხოვრები მშვიდობიანი ოსი მოსახლეობა ააწიოკეს და დაარბიეს სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებულმა, შეიარაღებულმა ჯგუფებმა. მოსახლეობამ მიატოვა სახლები და თავს უშველა. სწორედ მაშინ ჩემთან მოვიდნენ ოსების აწიოკებით შეწუხებული ღვაწლმოსილი ბორჯომელები და მთხოვეს, სასწრაფოდ მეცნობებინა პრეზიდენტისთვის, რაც ხდებოდა. დაუყოვნებლივ გავემგზავრე თბილისს. იქ შემატყობინეს, რომ პრეზიდენტი ცოლ-შვილთან ერთად ყაზბეგში იმყოფებოდა. მაშინვე იქით

გავეშურე. ზვიადი გაოცებული შემხვდა და სტუმრობის მიზეზი მკითხა. ვაცნობე ოსების დარბევის თაობაზე. ზვიადი საოცრად განრისხდა. ასეთი განრისხებული და აღელვებული არასოდეს მინახავს – ეს ჩვენი მტრების მოწყობილია, – თქვა მან, – ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ვერ ეგუებიან და სურთ ოსი ხალხი ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ. თავისი დაცვის უფროსს შინაგან საქმეთა მინისტრის დილარ ხაბულიანის გამოძახება დაავალა. მე კი მითხრა: – გადაეცი ბორჯომელებს, რომ დარბევის ორგანიზატორები და შემსრულებლები სასტიკად დაისჯებიან!


ყაზბეგიდან დამშვიდებული წამოვედი და თითქოს ჯინაზე, ამ დროს რუსეთში ცნობილი მოვლენები განვითარდა – პუტჩი. ზვიადმა ოსებისთვის ველარ მოიცალა და ცოტა ხანში თვითონაც იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა...

1986 წლის ზაფხულში, როდესაც პანსიონატ „კეჩხოვის“ დირექტორად ვმუშაობდი, მოულოდნელად ზვიად გამსახურდია მესტუმრა ერთკვირიანი დასვენების მიზნით. უზომოდ გავიხარე მისი ჩამოსვლით. ვიცოდი, ნაშრომს ამზადებდა გამოსაცემად და მყუდრო გარემო სჭირდებოდა. თუმცა მისი სტუმრობა მაინც გახმაურდა. მეორე დღეს ტელეფონით დამიკავშირდა ბორჯომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე ნოდარ მაკალა-

თია და მასთან მისვლა მოხვია. ნოდარ მაკალათიას კაბინეტში სხვებთან ერთად ახალციხის სასაზღვრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი ალექსანდრე პარხომენკო დამხვდა. მას ადრეც ვიცნობდი, როგორც პოეზიის და ქართული სუფრის თაყვანისმცემელს. იქ შევიტყვე, რომ შუა აზიიდან ჩამოსული იყვნენ „თურქი-მესხები“ და მესხეთში წასვლას ითხოვდნენ. იმ დროს აწყურთან საკონტროლო-გამშვები პუნქტი ფუნქციონირებდა და სპეციალური საშვის გარეშე ვერავინ შევიდოდა. ნოდარ მაკალათიამ ზვიადთან შეხვედრა მოხვია, მისი აზრი აინტერესებდა „თურქ-მესხებთან“ დაკავშირებით. მახსოვს რა უპასუხა ზვიადმა: – კომუნისტური ხელისუფლება და მისი ნების აღმასრულებელი კავებე ყველაფერს აკეთებს, რომ „თურქი-მესხები“ ქართველებს – მესხეთის მოსახლეობას დაუპირისპიროს. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ავტორიტეტულმა კომისიამ, რომელიც დაადგენს შუა აზიაში გადასახლებული „თურქი-მესხებიდან“ ვინ შეიძლება დაბრუნდეს და ვინა – არა. ამის შემდეგ ნოდარ მაკალათიამ აღარ გაცა საშვი და „თურქი-მესხების“ მრავალრიცხოვანი ჯგუფი შუა აზიაში გააბრუნეს.

იმ პერიოდის ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. ახალციხიდან მეგობრებმა ტელეფონით მაცნობეს, რომ სომხებმა ახალციხის მხარეთმცოდნეობის

მუზეუმი დაარბიეს. მაშინვე ზვიად გამსახურდიას დაუუკავშირდი. – ხვალ ადიგენში მიტინგი გვაქვს დანიშნული და ახალციხეში სომეხ არაფორმალებს შევხვდებითო, – მითხრა ზვიადმა. ბორჯომში მეც შევეურთდი ზვიადის ჯგუფს და ახალციხეში გავყევი. ზვიადი მართლაც შეხვდა სომეხი არაფორმალების ლიდერებს და განუცხადა: ვიცი ეს ვისი დავალებითაც გააკეთეთ, ვიცი, ვინც დგას ამის უკან. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ქართველებისა და სომხების ტრადიციული მეგობრობა, ჩვენი ერების ღირსეული შვილების ძმობა. მტრის



ბორჯომი,
სანატორიუმი „ფირუზა“

წისქვილზე ნუ დაასხამთ წყალს. სომხეთში, როგორც მამაჩემს – კონსტანტინე გამსახურდიას, მეც ბევრი კარგი მეგობარი მყავს და ისინი არ მოიწონებენ თქვენს ნამოქმედარს. ადიგენის მიტინგიდან რომ დავბრუნდები, მუზეუმში ყველაფერი მოწესრიგებული დამახვედრეთო, უთხრა ზვიადმა. მისი დავალება სომხებმა შეასრულეს და ეს ინციდენტიც ამოიწურა. საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის ძალისხმევით და ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის ნოდარ გრიგალაშვილის თანადგომით, შესაძლებელი გახდა ბორჯომის რაიონიდან იძულებით გადახვეწილი ოსების გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნება. ამას ყველა ბორჯომელი (და არა მარტო ბორჯომელი) გულწრფელად მიესალმება.

სხვა უამრავი საქმეც გაკეთდა ბორჯომში. თუნდაც ის რად ღირს, რომ განვლილი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მანძილზე უპატრონოდ მიტოვებული და სასტიკად მინგრეულ-მონგრეული ისტორიული პარკი აღსდგა. დიახ, ეს პარკი ბორჯომის ისტორიაც არის, სიამაყეც, გნებავთ სავიზიტო ბარათიც. ორმოც-ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ბორჯომ-ბაღის კულტურისა და დასვენების პარკი იყო ქართული ინტელიგენციის უსაყვარლესი შეკრების ადგილი. ხალხს დღემდე ახსოვს პარკის მომხიბლავ ხეივანებში მოსეირნე გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, აკაკი

შანიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ანდრია ბალანჩივაძე, არჩილ კერესელიძე და ჩვენი ერის სხვა უკვდავი შვილები. მაშინ პარკი გაკრიალებული იყო, ღია ესტრადაზე ყოველ საღამოს უკრავდა ორკესტრი, სისტემატურად იმართებოდა სიმფონიური თუ კამერული მუსიკის კონცერტები, ცალკეული სახელგანთქმული შემსრულებლების მაღალ ხელოვნებას ინტერესით ეზიარებოდა ხალხი, მუშაობდა საბავშვო ატრაქციონები, დედათა და ბავშვთა ოთახები, კაფეები და რესტორანი. საბჭოთა იმპერიის სამარცხვინო დაშლის შემდეგ, უკანონობისა და შეფარული ტოტალიტარიზმის პერიოდში, ისე როგორც ნახევარი საქართველო, ბორჯომის სახელგანთქმული პარკიც თითქმის მთლიანად დაიშალა და გაუბედურდა, ყველაფერი დაინგრა, დასასვენებლად ჩამოსაჯდომი ხის სკამებიც კი წაიღეს და დაწვეს, მოაჯირები მოანგრეეს, მრავალწლიანი ხეებიც მოჭრეს, ბაღი ჩამოცვენილი ლოდებითა და ნაგვით გაივსო. მუშაობა შეწყვიტა საბავშვო გზამ, რაც პარკის

შესასვლელთან მოწყობილი სადგურიდან ორიოდე წუთში უკავშირდებოდა ბორჯომის ულამაზეს პლატოს. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით პარკი მართლა ფენიქსისებრ აღდგა, განახლებული თანამედროვე სახე დაიბრუნა, კვლავაც ბავშვებისა და ხალხისათვის უსაყვარლეს ადგილად იქცა. მის სანახავად ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი მოდის, ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი თაობა აქ ხარობს, მხირულობს, ახალი ატრაქციონებით ერთობა და ყველა ერთხმად გულითად მადლობას უძღვნის იმ ადამიანს, ვისმა მონდომებამაც შეუძლებელი საქმე გააკეთა, აღადგინა და ბორჯომის მოსახლეობას, მშრომელ ხალხს აჩუქა ჭეშმარიტი კულტურისა და დასვენების კერა. ბუნებრივია, ათობით მსგავსი მაგალითის მოტანაც ადვილადაა შესაძლებელი.

მე, უსინათლო კაცი, საქართველოს ბრწყინვალე მომავალს ვხედავ და თუ მიხეილ სააკაშვილის თვალხილული ოპონენტები ვერ ხედავენ, ეს მათი სამწუხარო პრობლემაა!..

ლევან ბასილაია

ცხინვალთან და ოსოზასთან ღაკავშირებული საკითხების განსვენება

დღეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ბოლო წლების მანძილზე სამაჩაბლოში, ძალით თავს მოხვეულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მეტისმეტად უარყოფითი პროცესები მიმდინარეობდა და, სამწუხაროდ, დღესაც მიმდინარეობს.

ოსი მეცნიერები ყოველგვარი მეცნიერული ეთიკის დარღვევით ავრცელებდნენ აზრს, თითქოს, ოსები კავკასიონის გადაღმა ფერდობებიდან გადმოხვეწილები კი არ იყვნენ, არამედ, ვითომდაც, ამ ტერიტორიაზე მდებარე ალან-სკვითების სახელმწიფოს შთამომავლებს წარმოადგენდნენ

ასეთი სიცრუე და დეზინფორმაცია ბევრჯერ გააცამტვერეს ქართველმა მეცნიერებმა. ბევრჯერ დაამტკიცეს ნაყალბევის უსუსურობა, მაგრამ ემშხე მოსული ყოფილი ხიზნების მოზრდილი გუნდი, მაინც ატყუებდა ოს ხალხს, თავის გამონაგონის გასაღებას ახერხებდა, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება ქართველ მეცნიერებს გზას უხშობდა, ხმის ამოღებას უკრძალავდა და ინტერნაციონალური მეგობრობის ხელყოფას უკიჟინებდა. ასეთი სამარცხვინო დათმობების გზით ახერხებდნენ მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებას, რასაც ადრე თუ გვიან უეჭველი ძლიერი აფეთქება მოჰყვებოდა.

როგორც გახსოვთ, ოსმა ვაიმეცნიერებმა ქართული ისტორიული

გვარების წინააღმდეგაც წამოიწყეს ლაშქრობა, წიგნებსა თუ მრავალრიცხოვან წერილებში უსუსური არგუმენტაციით ცდილობდნენ დამტკიცებას, რომ გუდიაშვილები, ბარათაშვილები, ყაზბეგები, წერეთლები, ერისთავები, ჯიბლაძეები, ქავთარაძეები და მრავალი სხვა ცნობილი, ძირძველი ქართული გვარების წარმომადგენლები, ოსები იყვნენ.

ამ სამარცხვინო, ყოველგვარ ტაქტს მოკლებული პრობლემის შესახებ ბევრი წერილი დაიწერა. რ. თოფჩიშვილი ვრცელი სტატიიდან „ისტორიის გამყალბებლებთან კამათს რა აზრი აქვს? (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 18.01.1991 წელი), მინდა ერთი ციტატა მოვიტანო, სამწუხაროდ, უფრო კი სასაცილოდ თავის დროზე მეც რომ შეძენო, თუმცა საკითხისადმი ამგვარი ცინიკური მიდგომა პირადულად აღარ შეიძლება ჩაითვალოს, იგი უფრო განზოგადებულ ელფერს იძენს და ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი ზოგიერთი მოგონება თუ მოსაზრება მკითველისთვისაც გამეზიარებინა.

აღნიშნულ სტატიაში რ. თოფჩიშვილი დასაბუთებულად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ამხელს ოსი მეცნიერის გიგო მამითის უბადრუკ აზრებს.

გ. მამითი წერს: „მე ჩემს ნაშრომში არ ვწერ, რომ აკაკი წერთელი,

ლადო გუდიაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვები ოსები იყვნენ“. ესლა გვაკლდა! არც მე დამიწერია გ. მამითი ქართული მწერლობისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს ოსებად აცხადებს-მეთქი. მაგრამ, აღნიშნული გვარისანი ყოვლად უსაფუძვლოდ წარმომავლობით ოსებად რომ ცხადდებიან, აბა, რა, იგულისხმება ამაში? ანდა რად უნდა ამას კონტექსტი, როდესაც საპასუხო წერილში მამითი ავითარებს ძველ ნაყალბევ აზრს აღნიშნული გვარების ოსური წარმომავლობის შესახებ? დახედე მკითხველო, წერეთლების ოსური წარმომავლობის შესახებ მამითს ერთ-ერთ ძველ რუსულ წიგნში წაუკითხავს (თუ ვიღაცისგან გაუგონია).

გ. მამითისა და მისთანათა „ნააზრების“ შედეგია ის, რომ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის წინანდელი ცხინვალის საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელი მდივანი ვინმე ფარასტაევი ამავე საზოგადოების თანამშრომლებს „უმტკიცებდა“ თქვენი თავმჯდომარე წერეთელი ოსია, გვარად წართოვი, სოფ. წერითიდანო. სხვათა შორის, ქართველ თავადაზნაურთა გვარების ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი. დაინტერესებულ მკითხველს და თვით მამითს ვურჩევ, წერეთელთა გვარის ისტორიის შესახებ წაიკითხოს ო. სოსელიას მონოგრაფია „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“

(ტ. II). „წერეთლებისა და ბარათაშვილების გვართა წარმოშობის დროს საქართველოში ოსური მოსახლეობის ჭაჭანება არ იყო. წერეთლის გვარი სადაურობა-წარმომავლობის (ანუ ტოპონიმური) ტიპის ქართულ გვართა რიცხვს მიეკუთვნება და ისინი უძველესი ქართული წარმომავლობით არიან შიდა ქართლის ტანას ხობის სოფ. წერეთიდან“.

აქვე, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ზოგიერთი წყაროს მოშველიებით, ისიც მინდა დაკუმატო, რომ მე-13 საუკუნის დასაწყისში მძვინვარე დამპყრობლების შემოსევის შედეგად წერეთლები გადასულან ზემო იმერეთში და იქ მათ მფლობელობაში საუკუნეების მანძილზე ყოფილა საწერეთლოს სახელწოდებით ცნობილი საკმაოდ მოზრდილი კუთხე ზემო იმერეთისა.

სამწუხაროდ, ყალბისმქმნელი ოსი ვაი-მეცნიერების თუ ცალკეული გაუგებარი პიროვნებების, როგორიცაა ყოფილი მუშაკი ფარასტაევი, უსაფუძვლო მტკიცებებს მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია და ზოგიერთ შუღლის მოყვარულ ქართველშიც უპოვია ნიადაგი. მაგალითად, ერთ-ერთი კამათის დროს თანამშრომელმა სრულიად დარწმუნებული ხმით განმიცხადა: „თქვენ მთელი ცხოვრება გადაკეთებული გვართა დადიხართო“.

ამ „ბრალდებაზე“ გულანად გამეცინა და ვკითხე, მაინც რა გვარი ვარ-მეთქი: „წერითოვი ხართ, ოსეთის სოფელ წერეთიდანო“.



**ცხინვალის №1 ქართული
საშუალო სკოლა**

ასე დაემთხვა გ. მამით–ხ. ფარასტაევის დანაშაულებრივ აზრებს ქართველი ქალბატონის აზრი, რასაც იქნებ განაწყენებულ-დაბნეული ზოგიერთი თანამშრომელიც ეთანხმებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, შეიძლება ასეთი პირადული კამათის, თანაც საკმაოდ ძველის გამოტანა არც ღირდეს პრესის ფურცლებზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე მომრავლდა პირადი ამბიციებით განაწყენებული პიროვნებების მიერ სხვების მონათვლა ოსებად, სომხებად, ქურთებად, რომ გადავწყვიტე სიმართლე დამეწერა და ზოგიერთის მიმართ მავნებლური მტკიცება ამეცილებინა.

პირადად ჩემი ოსობის საკითხი, ბევრი დაწესებულების მსგავსად, საზოგადოება „ცოდნაშიც“, ალბათ, გარკვეულწლად წარმოშვა იმ გარემოებამაც, რომ 1948-1951 წლებში ვსწავლობდი ცხინვალის ვაჟთა პირველ ქართულ საშუალო სკოლაში, თორემ მამაჩემის ხელთ არსებული ისტორიული საბუთებიდან ჩემი პაპის პაპის

პაპის წარმომავლობა და ნამსახურობაც კი ვიცი იმერეთის მეფის კარზე სულ ცოტა მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, სადაც არა ერთი და ორი კაცი იყო მარშალი თუ მინისტრი, მამაჩემის ბაბუის და კი სამეგრელოს მთავრინა გახლდათ.

ომის შემდგომ წლებში მამაჩემი აკაკი პავლეს ძე წერეთელი, ცნობილი ქართველი მწიგნობარი, პოეტი და ლიტერატურათმცოდნე ციხეკოლონიიდან დაბრუნდა, სადაც ის პოლიტიკურ პატიმრად იმყოფებოდა თითქმის ათი წლის მანძილზე. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ უღანაშაულო ადამიანს გაუკუღმართებული და გამანადგურებელი კომუნისტური რეჟიმის წესების თანახმად ქ. თბილისში, საკუთარ სახლში ცხოვრების უფლებაც არ ჰქონდა, თანაც 5 წლის ვადით.

უახლოესი მეგობრები დაეხმარნენ მამაჩემს, რომელიც მაშინ 44 წლისა იყო და ყოფილი, ე.წ. სამხრეთ-ოსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო საზოგადოებაში უშოვეს წიგნებისა და კულტურულ-საკანცელარიო საქონლის განყოფილების გამგის ადგილი.

აიყარა მთელი ოჯახი – დედა, მამა, ბებია, სამი მცირეწლოვანი მოსწავლე შვილი, სამივე ბიჭი და გარკვეული დროით ცხინვალში გადავსახლდით, იქ ვსწავლობდი მერვე-მეცხრე-მეათე კლასებში, მე-11 კლასში ისევ ჩემს მშობლიურ ვაჟთა მე-7 საშუალო სკო-

ლას დავუბრუნდი, ბარნოვის ქუჩაზე, დღეს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს რომ ატარებს, და დაგამთავრე კიდეც მედალზე 1952 წელს.

ცხინვალში სამი წლის მანძილზე ვცხოვრობდით ცენტრში, ცნობილ ებრაელების უბანში, ქართველი ებრაელების შათაშვილების სახლში დაქირავებულ ბინაში. უკანვე თბილისს ჩვენი დაბრუნების შემდეგ მამა ცოტახანს მარტო იყო და მერე მანაც მოახერხა გადმოსვლა.

მადლობა ღმერთს არავის მოყოლა ან დამოწმება არ მჭირდება, რადგან პირადად ვარ უშუალო თვითმხილველი, თუ რა იყო 1948 და შემდგომი წლების ცხინვალი.

ეს იყო წმინდა ქართული ქალაქი ქართული ჩვეულებებითა და საუცხოო ადათ-წესებით. არამცთუ ცხინვალი, არამედ ცხინვალის გარშემო მდებარე სოფლებიც: გუჯაბაური, თამარაშენი, ერედვი, აჩაბეთი, ნიქოზი, კეხვი, ქურთა და სხვა, მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, მხოლოდ სადმე თუ გამოერეოდა ერთი-ორი სამადლოდ შეფარებული ოსი.

დღემდე ცხადად მახსოვს ის ქართული გვარები, რომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები სახლობდნენ ცხინვალში, მაშინდელ სტალინირში, ცალკე უბნებიც კი ჰქონდათ, ანდა ახლო-მახლო იყვნენ დასახლებულები, ბევრი მათგანი ჩემთან ერთად სწავლობდა ქართულ სკოლაში და თბილი მეგობრობაც გვაკავშირებ-

და. ჩემთან თუ ჩემს ძმებთან ოსებიც სწავლობდნენ, შესანიშნავი ბიჭები, რომლებთანაც შემდგომაც ვმეგობრობდი, ესენი იყვნენ ნოდარ და თენგიზ ზადიშვილები, გიორგი ბესტაევი, ანდრო კაჩმაზოვი, გივი თედეევი, ხაზბი ბეკოევი და სხვები. გიორგი ბესტაევიც ოსურ ენაზე უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ კი თარგმნა.

ცხინვალში სახლობენ სუფთა ქართული გვარების ღირსეული წარმომადგენლები, ის გვარები დღემდე მახსოვს და შემიძლია თითქმის შეუცდომლად ჩამოვთვალო: კასრაძე, ბაბუციძე, ჭოველიძე, ელიოზიშვილი, ჭამბაურიძე, ცოტნიაშვილი, მიდოდაშვილი, გალეგაშვილი, მინდიაშვილი, საბაგლიშვილი, მჭედლიძე, კობერიძე, ხიდაშელი, ლომიძე, სიმონიშვილი, მაისურაძე, გოგიშვილი, ბერუაშვილი, დევიძე, ცერაძე, მამისაშვილი და სხვები.

ცხინვალში, ანუ მაშინდელ ძალად შერქმეულ და სრულიად უაზრო სტალინირში, სუფთა ქართული სული ტრიალებდა. პატარა ქალაქში, თავიდან ბოლომდე ნახევარ საათში რომ გახვიდოდით, ყველა ერთმანეთს იცნობდა, ყველამ იცოდა, ვინ რას აკეთებდა და რითი სუნთქავდა, ყველამ იცოდა, სად იდგა თავადი მაჩაბლების სასახლე-ცენტრში, ლიახვზე გადებული მაშინდელი ერთადერთი ხიდის გვერდით, სწრაფად მიმქროლავი მთის მდინარის პირას, ყველამ იცოდა, რომ ოსების ნაწილი გადმოსახლებული იყო კავკასიონის იქითა მხრიდან, რომ

ქართველებმა ხიზნები შეიფარეს, გაათბეს, დააპურეს, სამუშაო მისცეს და მეგობრული დახმარების ხელი გაუწოდეს, შემდეგ კი ისინი მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი ლიტერატურული ტიპის ჯაყო ჯივაშვილის მსგავსად საკუთარ მფარველებს დაერივნენ.

ცხინვალში ოსების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, გაცილებით მეტი იყო ქართველი ებრაელების, სომხების ოჯახები, ქართველები ხომ დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ხელმძღვანელ სამუშაოზე არამც თუ ქართველები, სომხებიც კი მეტნი იყვნენ, ვიდრე ოსები. მაგრამ მათ ერთეულების უჩინარი ხელი ამზადებდ და რაზმავდა მომავალი შტურმისათვის, ჯინი ჯერ კიდევ ბოთლში იყო გამომწვევადეული, ჯერ კიდევ ცოცხლობდა და უაზროდ ვეებერთელა საბჭოთა კავშირის იერარქიაში მერე პირი, ანუ მთელი ბოროტი იდეოლოგიის წამმართველი და ბატონ-პატრონი იყო ჭლექიანი აწოწილი ჩონჩხი სუსლოვი, რომელიც ქართველებისადმი პირადი სიძულვილის გამოხატვას თავის უბადრუკ ნაწერებშიაც კი არ ერიდებოდა.

ამ პატარა საჟურნალო წერილში ცხინვალის პერიოდზე მოგონებების დაწერა არც მქონდა განზრახული, ეს შეიძლება მომავალში გაკეთდეს, ახლა მხოლოდ ზოგად ვითარებას ვიხსენებ. მაშინ, როგორც ვთქვი, ცხინვალში ოსების თითებზე ჩამოსათვლელი ოჯახები ცხოვრობდა, რაც მთელმა

ქალაქმა იცოდა. ყველაზე გავრცელებული გვარები იყო ცხოვრებოვი, ჩოჩიევი, პლიევი, გაგლოევი, სანაკოევი, ჯიოევი და რამდენიმე სხვა გვარი, წლების შემდეგ უკვე ფენადგმული ოსური ნაციონალიზმის თანახმად ჩოჩითად, მამითად, ფლითათ თუ ფლიტად რომ გადაიქცნენ. მაშინ ცხინვალში არცერთი ცერიტოვის გვარი არ გამოვინია, დღეს რომ აბრალებენ, გადაცმული წერეთლები იყვნენო.

ოსებს შედარებით მასობრივად ძირითადად კვირადღეობით ვხედავდით ბაზრობაზე, სადაც ჯავისა და ქვაისის მთებიდან გასაყიდად ჩამოჰყავდათ საქონელი, ჩამოჰქონდათ ხორცი, ხილი, ყველი თუ ერბო, შემდეგ კი ქართველი ებრაელებისაგან სწრაფად ხელდაცლილები კარგა მაგრად თვრეოდნენ და „ოი, ოი ჩეფენას“ სიმღერით ცხენებზე გადამსხდარები ბრუნდებოდნენ თავისი შორეული საცხოვრებლებისაკენ, ცხინვალს 30-40 კილომეტრი რომ აცილებდა.

სიჭაბუკეში შესულებს უკვე იმ წლებში გვესმოდა, რომ ოსები უკმაყოფილონი იყვნენ ბოლშევიკ-კომუნისტების მიერ სამხრეთ-ოსეთად მონათლულ სამაჩაბლოში, შიდა ქართლში ქართველების თავკაცობით. ოსების ერთ ნაწილს არ ჰქონდა მონელებული დემოკრატიული საქართველოს დროს მოღალატური გამოსვლებისა და ქართველების სიცოცხლის ხელყოფისათვის მენშევიკების გვარდის მიერ მათი უმკაცრესი დასჯა.

გულში ჩამარხული ბოღმა ნელ-ნელა ღვივდებოდა, ოსების ერთი ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილი სხვებსაც წამლავდა და სამოყვროდ განწყობილ უბრალო ოს ხალხსაც აღიზიანებდა, ქართველებსა და ოსებს შორის დამყარებულ მეგობრობას ძირს უთხრიდა.

მიუღებელმა მიმართულებამ 1956 წლიდან, სტალინის პროვნების კულტის სულელური კრიტიკის შემდეგ, განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი: დაიწყო ხელმძღვანელ სამუშაოზე ოსების დანიშვნა, ქართული მოსახლეობის შევიწროება, აშენებულ მრავალსართულიან ბინებში ოსების შესახლება, რომლებიც ან შორეული მთებიდან ჩამოდოდნენ ან მათი ისტორიული სამშობლოდან – ჩრდილოეთ ოსეთიდან, უბრალოდ, ოსეთიდან მოისწრაფოდნენ ბარაქიან ქართულ მიწაზე დასამკვიდრებლად.

ჯერ კიდევ 1973 წელს დაწერილ მოხსენებით ბარათში, რომელსაც მეც ვაწერდი ხელს და რომელიც შევიდა წიგნში „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიდან“, მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში აშკარად აღორძინდა ნაციონალიზმი, დაიწყო წარსულის გაყალბების ტენდენცია, ქართველებთან ნორმალური ურთიერთობის გაწყვეტის რეციდივები, რასაც ხელს უწყობდნენ „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ წარმომადგენლები: დ. ხეთაგუროვი,

ზ. ნოსტიკოევა, ხ. ტუცათი, შ. ჯიკაევი, ფ. გაგლოითი და სხვები.

ასეთმა მოქმედებამ სადამდისაც მიგვიყვანა და რა ტრაგიკული ნაყოფიც გამოიღო დღეს ყველასათვის ნათელია. ჩვენი ერთიანობაც ვერაფრით ვეღარ მოხერხდა, ვერ შეიკრა და შეკავშირდა ქართველი ხალხი. ისევ უმთავრეს მოწოდებად გაისმის დიდი აკაკის ანდერძი: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისათვის სახრჩობელია“.

თავის დროზე დანაშაული იყო ისიც, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქის მოქალაქეებს ყოფილი საკავშირო ორგანოების დაჟინებით 6 კილომეტრიანი როკის გვრაბი გაუყვანეს და საგალი თუ შესაერთებელი გზა ასორმოცდაათი კილომეტრით შეუმოკლეს. ნათელი იყო, რომ ასეთი დაახლოება და ბუნებრივი ბარიერების მოშლა უზარმაზარ არეულობას გამოიწვევდა.

ცხინვალიდან ლტოლვილმა ჩემმა ყოფილმა სკოლის მეგობრებმა აწ გარდაცვლილმა ჟორა მილოდაშვილმა და შურა გალეგაშვილმა, რომლის უმცროსი ძმა სიმონიც ოსმა ექსტრემისტებმა წამებით მოკლეს, მითხრეს, რომ ერთი პერიოდის მანძილზე ექსტრემისტულად განწყობილი ოსების უმრავლესობა ემზადებოდა ნამდვილ ოსეთში საცხოვრებლად წასასვლელად, ქართველთა გათიშულობის მერე კი დარჩნენ და აქეთ შემოტევა იკადრესო. საქართველო ასეთ მძიმე დღეში არავინ არ უნდა ჩააყენოს, როცა საქმე ჩვენს მრავალტანჯულ კუთხეს ეხება, ყველა

ერთი აზრით უნდა განიმსჭვალოს, თორემ დიდ აკაკიზე არა ნაკლები ანდერძი დაგვიტოვა დავით გურამიშვილმა: „რა ორივე დაღალული ძალმა ნახოს, პირი ჰკიდოს“. ამდენად ყოფილი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკაც მოუფიქრებლად და პოლიტიკური თვალსაზრისით უბადრუკად გამოიყურებოდა.

ეს პატარა წერილი ცოტა ადრეა დაწერილი, მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა და ხდება, ყველაზე უარესი კი ის იყო, როცა მავანმა განაცხადა (გვარს ამჯერად შეგნებულად არ დავასახელებთ), ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების კარგი მომენტი იყო, შევიდოდი კიდეც, ოღონდ არ გამიშვესო. ასეთი სახის სამხედრო საიდუმლოების განთქმა არც სერჟანტსა და არც გენერალს არ ეკადრება, ეს ხომ არ არის ერთი პიროვნების საწინააღმდეგო განცხადება, ამგვარი წინდაუხედავი ნაბიჯი მთელი საქართველოს წინააღმდეგვე არის მიმართული და პირველ რიგში ჩვენს საერთო სამშობლოს აყენებს დიდ ზიანს, კიდეც ამიტომ იყო რუსეთის დუმამ თუ რუსულმა - მასმედიაში რომ აიტაცა მსგავი როყიო

წამონასროლი და ისევ და ისევ საქართველოს წინააღმდეგ მიმართა, რაც ამ ბოლო პერიოდში რუსეთის ხელისუფლებისა თუ რუსეთის უკვე ყბადაღებული დუმის ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად თემად იქცა. იმედი გვაქვს, რომ ეს მდგომარეობა, ალბათ, მალე გამოსწორდება.

შესანიშნავად წერდა ჩვენზე, ჯერ კიდევ ოციან წლებში, პოლკოვნიკი სტოკი მზია კონსტანტინეს ასული ბაქრაძის მიერ მოპოვებული ფრანგი რემონ დიუგეს წიგნის „მოსკოვი და წამებული საქართველოს“ წინასიტყვაობაში: „ქართველობას გამოკვეთით ახასიათებს ვაჟკაცობა და ეროვნულობის გრძნობა, მაგრამ შეიძლება იგი ამ ღირსებას მოკლებულ ხალხად მიგვეჩინა, რომ არ ესარგებლა იმ თავისუფლებით, რაც მოვლენათა მსვლელობამ შესთავაზა“.

ეს სიტყვები დღეს დაწერილივით იკითხება, რადგან ვითარება კვლავაც ურთულესად არის შეფასებული და ამიტომ ყველას ძალზე დიდი, სერიოზულზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ნუგ ზარ წერეთელი

ბოლომდის თქმა მართლისა

„რა საოცარი დასრულდა წლები“, – საუბრისას ხშირად ვიმეორებთ ხოლმე დიდი გალაკტიონის პოეტურ გამოთქმას.

მართლაც საოცარი და რთული წლები დასრულდა. ახლა იმ ცხოვრებას წლების სიმალლიდან როცა გავყურებთ, ბევრი რამ არ მოგვწონს, ზოგი კი მოგვწონს და გახსენებაც გვსიამოვნებს.

ჯერ კიდევ ძალზე ბევრი დაგვრჩა გადასასინჯი, შესაცვლელი და გასაკეთებელი. განსაკუთრებით აუცილებელია ლიტერატურის ისტორიის შეუღამაზებლად გადმოცემა.

რადგან სიმართლე ჯერ კიდევ სრულად ვერ ითქვა და დაიწერა, ჩვენი ცხოვრების ცალკეული მართალი ფაქტებიც უდავო ინტერესს ინარჩუნებენ.

ბევრი რამეა მივიწყებული, დაფარული, ხშირად სულ სხვა სახით წარმოჩენილი, ვთქვათ, მწერლის მიერ დიდი ხნის წინ გაკეთებულს სხვებს მიაწერენ, ან სხვები მიიწერენ და საკუთარ გმირობად თვლიან.

ითქვა, რომ ისინი ხშირად იძულებული იყვნენ შეფარვით ეთქვათ სათქმელი, ზოგჯერ ძალით შეკოწიწებულ ერთ ე.წ. იდეურ ნაწარმოებს ათობით და ასობით ეროვნული, ხალხის გამომავლი ზღბეული ნაწარმოები მიჰყვებოდა.

ჩვენ დამაჯერებელი მაგალითები გვაქვს გალაკტიონ ტაბიძის, ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის და სხვა დიდი შემოქმედების, აგრეთვე მათი შედარებით უმცროსი თაობის დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებიდან.

ამ მოვლენის შესახებ ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვას რევაზ ჯაფარიძემ, აკაკი ბაქრაძემ, მრავალმა ქართველმა მწერალმა, ლიტერატურათმცოდნემ თუ საზოგადო მოღვაწემ.

საქართველოს მწერალთა მე-11 ყრილობაზე გაკეთებულ შესავალ სიტყვაში, ჯერ კიდევ როდის, რევაზ ჯაფარიძემ განაცხადა:

“ქართული მწერლების საუკეთესო წარმომადგენლებს, ამინდს კი მხოლოდ ისინი ქმნიდნენ ლიტერატურაში, უკან არ დაუხვეიათ, თავიანთ რაინდულ სულს, ეროვნული იდეალებისადმი ერთგულებას, ვაჟკაცურ შემართებას ინარჩუნებდნენ მაშინაც კი, როდესაც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ეშაფოტზე იდგნენ და სასროლად შემართულ თოფის ლულას თვალს უსწორებდნენ“.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალზე ბევრი რამ სწორედ არ ვიცით, ბევრმა დღესაც არ იცის ან შებრუნებულად იცის, ყურმოკრულსა და ფარულად წაკითხულს კი ვერ ვიყენებდით, არქივები

ყველასათვის დახურული იყო, კრიტიკა და ოფიციალური აზრი სულ სხვაგვარად გვაწვდიდა სინამდვილეს, მეთოდურად ხდებოდა არეულ-დარეულობის შეტანა, შავის თეთრად მოჩვენება.

აუტანელი ვითარების გამო ლიტერატურაში და სხვა სფეროშიც ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული. სწორედ ამის გამოა შექმნილი ისეთი რთული მდგომარეობა, როცა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ზოგიერთი უკვე გაკეთებულის გარდა, თავიდან არის დასაწერი და ახლებურად, ანუ სწორად გასააზრებელი.

მაგალითად, მე უხერხულობისა და სირცხვილის გრძნობამ შემიპყრო, როდესაც წავიკითხე სიმონ ჩიქოვანის არქივიდან ამოღებული გამოუქვეყნებელი ლექსები, რადგან ოფიციალური კრიტიკის გავლენით ჩემს წიგნებშიც, სადისერტაციო ნაშრომებშიც ბევრი არასწორი მოსაზრება მქონდა გამოთქმული მისი შემოქმედების შესახებ.

ქართული და რუსული კრიტიკა ათწლეულების მანძილზე ამტკიცებდა, რომ სიმონ ჩიქოვანი იყო ძალით თავსმონვეული ე.წ. საბჭოთა პატრიოტიზმის მეხოტბე, დიდი ინტერნაციონალისტი, ყბადაღებული სოციალისტური რეალიზმის მიმდევარი, იდეურობისათვის მებრძოლი შემოქმედი.

ამ დროს ჩვენ არ გვქონდა საშუალება გვცოდნოდა როგორ საშინელ ტკივილებსა და ფარულ წყლულებს ატარებდა გულით პოეტი, რამაც, უდავოა, სიცოცხლეც კი მოუსწრაფა.

საკმარისი იყო გავცნობოდით თუნდაც გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ ნ. კუპრეიშვილის სტატიას ს. ჩიქოვანის უცნობი ლექსიდან აღებული სათაურით „სამშობლოვ, შევცდი და მაპატიე ...“, რომ ჩვენს შეგნებაში არსებული წარმოდგენების მსხვერველა და თავიდან აგება დაწვეულიყო.

გავისხენოთ ნაწყვეტი 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი დღეებით სულით ხორცამდე შეძრწუნებული პოეტის ლექსიდან:

„ ... მე მესროლეს და ბავშვები
მოჰკლეს,
დამჭრეს და პირი დამინშვეს
წუხელ,
მკერდში ვარამი ველარ ჩავტიე,
გული მეწვის და ვერავის ვუძხელ,
სამშობლოვ, შევცდი და მაპატიე ...“

თუნდაც ამ ერთი სტრიქონით, ამ ძლიერი ტკივილით ნათქვამი სიტყვებით – „სამშობლოვ, შევცდი და მაპატიე“, – ყველაფერი არის გაცხადებული და თვალწინ გვეშლება განვლილი ეპოქის მთელი სირთულე.

სასკოლო სახელმძღვანელოში იყო შეტანილი გენიალური გალაკტიონ ტაბიძის ლექსი სტალინზე, გვასწავლიდნენ, რომ დიდ პოეტს უყვარდა რევოლუცია, ხოტბას ასხამდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, პირზე ეკერათ იძულებით დაწერილი მისი ლექსი, რომელიც არსად აღარ წამიკითხავს და მოსწავლეობის დროიდან მახსოვს: „სტალინი ბელადია და მხატვარი უღიადესი, ქარტიით გააღიადა მან გზა

ნაჭედი, ნათესი“, ამან კი ბევრი გონიერიც და უგუნურიც შეცდომაში შეიყვანა და ეს შეცდომა დღემდე უხეში გამოხედობებითაც კი გამოიხატება.

მხოლოდ წლების მერე წავიკითხეთ პოეტის პირად არქივში მოძიებული მართალი ლექსი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე: „... სტალინია – სამშობლო სისხლისფერად მოხატა, სტალინია – ქართველ ერს სული რომ ამოხადა“, წავიკითხეთ და ყველაფერი ნათელი გახდა, ოღონდ არა ყველასთვის.

ამიტომაცაა საჭირო, მეტიც – საშური და აუცილებელი, ახალ ნაშრომებსა და წგნებში გამოჩნდეს შეუღამაზებელი სურათების მთელი სერია, ანუ უტყუარი დაწერა. მართალია ცალკეული წიგნები, სახელმძღვანელოები უკვე დაიწერა, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი.

სწორედ სიმართლის თქმის სურვილით შეიძლება პატარა წერილში თუნდ ორიოდ ფაქტის გახსენება.

1971 წელს ჩატარდა საქართველოს მწერალთა მორიგი ყრილობა. მას შემდეგ უამრავი დრო გავიდა, სიმართლის მივიწყებას კი არავინ გვაპატიებს, პირველ რიგში საკუთარი სინდისი. თითქმის ორმოცი წლის წინ ჩატარებულ მწერალთა ამ ფორუმზე საინტერესო ამბები ხდებოდა.

ყრილობა ორ დღეს მიმდინარეობდა, დილიდან შუალამემდე.

ამ პერიოდში ზოგიერთმა როგორც იქნა გაბედა და ლიტერატურულ

წრეებში ალაპარაკდნენ დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირში, მაშინ არსებულ ინსტანციებში დადიოდა რეპრესირებული დიდოსტატის და, არაჩვეულებრივი ქალბატონი ლიდა რობაქიძე, ყველას უჩვენებდა წიგნებს, წერილებს, საბუთებს, სურათებს. იგი იძულებული იყო ემტკიცებინა, რომ მისი სახელოვანი ძმა არ იყო მოღალატე, რომ ის იყო ევროპული დონის მწერალი.

სხვათა შორის, მან მეც მაჩუქა ჟურნალ „ბედი ქართლისას“ იმ ნომრის ფოტოასლი, რაც მთლიანად იყო მიძღვნილი გრიგოლ რობაქიძის ხსოვნისადმი და სადაც მწერალს ერთხმად აღიარებდნენ უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენად, თანაც ამას აკეთებდნენ თომას მანი, შტეფან ცვაიგი, ჰაინრიხ ბიოლი და სხვა მართლა უზარმაზარი მწერლები.

ამას აკეთებდნენ უცხოეთში, ჩვენ კი ტოტალიტარული რეჟიმის გამო სულიერ-ფიზიკური შიშით დაზაფრულები ხმას ვერ ვიღებდით. თუნდაც „ბედი ქართლისას“ ეს ნომერი რომ ენახა ვინმეს, სამსახურსაც დაკარგავდით და სხვა გაცილებით უარეს სასჯელსაც მიიღებდით, იმპერია არავის აპატიებდა სიმართლის თქმას, ან თუნდაც წაკითხვას.

ოფიციალური აზრი ხმალამოღებული ებრძოდა გრიგოლ რობაქიძეს და მისი სახელის ხსენებაც კი აკრძა-

ლული იყო, გამოცემაზე ლაპარაკს ვინ გაბედავდა, როცა მწერლის ნაწერებიდან თუნდ ერთი სტრიქონის გამოყენებაც სასტიკად იკრძალებოდა.

მწერალთა ყრილობა დაძაბულად მიმდინარეობდა, როგორც წესი, მას მთლიანი შემადგენლობით ესწრებოდა იმდროინდელი ცეკას ბიურო, პირველი მდივნის ხელმძღვანელობით. ამიტომ იყვნენ მინისტრებიც, კომიტეტების თავმჯდომარეებიც და ყველაზე უხვად უშიშროების ორგანოების მაღალჩინოსანი წარმომადგენლები.

ყრილობაზე ბევრი რამ საინტერესო ითქვა: განსაკუთრებით დამამახსოვრდა აწ გარდაცვლილი გამოჩენილი ქართველი მწერლის რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა, რაც მაშინდელი ტოტალიტარული ეპოქის დამონებულ პრესაში მხოლოდ ზოგადად ან საერთოდ არ იყო მოხსენიებული.

რევაზ ჯაფარიძემ თქვა, რომ გრიგოლ რობაქიძე არის დიდი ქართველი მწერალი, მისი შემოქმედების გარეშე შეუძლებელია ქართული ლიტერატურის ისტორიაზე ლაპარაკი, მწერალი ბედის უკუდმართობის გამო დარჩა უცხოეთში, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა მოღალატე, ის იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, საქართველოს სახელოვანი შვილი, საზღვარგარეთ საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედი და რომ აუცილებელია მოხდეს მისი სრული რეაბილიტირება.

გაოცების ხმაურმა გადაუარა დარბაზს და მოლოდინში ყველა გაირინდა.

ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილ მჟავანაძემ, რომელიც ბუნებით კეთილი ადამიანი იყო, თუმცა ქართული ლიტერატურის ცოდნით ვერ დაიტრაბახებდა, დაუფიქრებლად და გულუბრყვილოდ თქვა:

„მე არ ვიცი ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე, გავიკითხავ, დავაზუსტებ რაშია საქმე და ხვალ მოგახსენებთ“.

მეორე დღეს ვერაფერი საიმელო ვერ ითქვა და რევაზ ჯაფარიძის მოთხოვნის შესრულებაც კვლავ დიდი დროით გადაიდო.

თხოვნის შესრულება კი არა, საშინელი შეტევები დაიწყო განსვენებული დიდი მწერლის წინააღმდეგ. გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი, რომლის სათაურიც თითის სიგრძე ასობით იყო აწყობილი – „მოღალატის გზა, ვინ იყო გრ. რობაქიძე?“.

წერილში ორთოდოქსი კომუნისტების მიერ შეთითხნილი საოცარი ბრალდებები ეწერა: „ქართველ ემიგრანტთა შორის გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთი აქტიური ფაშისტი იყო ... რობაქიძის ბიოგრაფია სავსე იყო ფაშისტური აქციებით“.

ამის შემდეგ რომელ სიმართლეზე ან აღდგენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი და რევაზ ჯაფარიძის იმ დროისათვის საარაკოდ გაბედული გამოსვლაც დარჩა „ხმად მღალაღებლისა უღაბნოსა შინა“.

აღბათ ამ ფაქტსაც იხსენებდა რ. ჯაფარიძე, როცა უმძიმესი წლების გასვლის შემდეგ წერდა: „წლების მანძილზე ადრე ტრიბუნებზე თქმული ბევრი მასალა გამოქვეყნდა, რომელთაგან ერთიც კი საკმარისი იყო მისი და მწერალთა თუნდაც მთელი თაობის პირისაგან მიწისა აღსაგველად“.


ასეთ ურთულეს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაძაბულ წლებში უხდებოდათ ბრძოლა ჩვენს გამოჩენილ მწერლებს და დღეს იმაზე დაუფიქრებელი აუგის თქმა თუ ქილიკი, რატომ დაწერეს მათ ლექსები ან მოთხრობები ავადმყოფ ლენინზე თუ ხალხის გამჟღეჭ სტალინზე, დიდი უსამართლობაცაა და საქმეში ჩაუხედაობაც, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, მსგავსი გამონათქვამები უვიცობით გამოწვეულ მკრეხელობად უნდა იქნას მონათლული

სხვა გზა არ ჰქონდათ და წერდნენ, ყველა რომ დაღუპულიყო ათასჯერ უარესი იქნებოდა ქართული მწერლობისათვის, სასტიკად გადარიბდებოდა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ეროვნული ლიტერატურა.

იმ ურთულესი პერიოდის ჯერ კიდევ უცნობი მასალების გადახედვისას შინაგანი შეშფოთება მეუფლება ხოლმე: ხომ შეიძლებოდა დაგვეკარგა ისეთი უზარმაზარი შემოქმედები, როგორებიც არიან ჩვენთვის გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია. მათ თავზეც ხშირად ეკიდა დამოკლეს მახვილი და ერთი უაზრო ნაბიჯი საკმარისი იყო ამ დიდი პიროვნებების გასანადგურებლად. მაღლობა ღმერთს, გადავრჩით, გადარჩა ჩვენი ეროვნული ლიტერატურა, ქართულმა მწერლობამ სულ წინსვლის გზებით იარა და ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს სულიერ საგანძურში. იმ რთული გზების, რთული კი არა სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდების გადამლახველი ადამიანების შესახებ რაც შეიძლება მეტი სიმართლე უნდა მოვიძიოთ და ყოველი ნაბიჯი, ყოველი ქმედება, ყოველი სტრიქონი დიდი სიფრთხილით განვსაჯოთ არა ჩვენი სინამდვილის მიხედვით, არამედ დროის, ეპოქისა და ურთულესი ვითარების გათვალისწინებით.

ნუგ ზარ წერეთელი

ქვეყნალ სამარადისოდ დარჩენილი კაცი



იმ გამოჩენილ თანამედროვეებს შორის, ვინც ჩვენს სულიერ თუ მორალურ ყოფას ღრმა კვალი დააჩნია, ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა დიდი მოღვაწე რეზო თაბუკაშვილი.

ბუნებამ მას უხვად დაამატა ნიჭიც და სილამაზეც, იყო ბრწყინვალე პოეტი, მთარგმნელი, დრამატურგი, რეჟისორი, სცენარისტი, ორატორი, პუბლიცისტი ... მისი მრავალმხრივი ტალანტი თითქოს არტახებში ვერ

ეტეოდა და ერთი კალაპოტიდან მეორეში გადადიოდა.

ამავე დროს მასავით ულამაზესი ვაჟკაცური შესახედაობის ადამიანი საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა, ყოველთვის უკვდავი „ვეფხის ტყაოსნის“ გმირებს მაგონებდა: ბეჭებში ფართოდ გაშლილი, სპორტული აღნაგობის, მომხიბლავი სახით, დახვეწილი ინტელიგენტური მანერებით, გულში ჩამწვდომი ხმით, რაინდული ბუნებითა და თავდაჭერილობით.

რეზო თაბუკაშვილს საქართველოშიც, რუსეთშიც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც ფართოდ იცნობდნენ, უამრავი მეგობარი ჰყავდა. მე

მის მეგობრობაზე პრეტენზიას ვერ განვაცხადებ, იმის გახსენებაც კი მიხარია, რომ თბილი ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა.

სწორედ ამიტომ მომინდა მცირე მოგონების დაწერა ამ დიდ მამულიშვილზე.

1974 წლიდან საქართველოს საავტორო უფლებების სახელმწიფო სააგენტოს – შემოკლებით ვაპას ვხელმძღვანელობდი. ეს დაწესებულება

თავისუფლების მოედანზე ეროვნული ბანკის გვერდით მდებარეობდა.

ვააპი ძალზე საინტერესო ორგანიზაცია იყო. მას ევალეობდა უცხოეთის ქვეყნებში ქართული ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების გატანა, დაბეჭდვა, შესრულება, ასეთივე პროცესების საქართველოში წარმოება, ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგამდიდრების პროცესისათვის ხელის შეწყობა, ყველა ჟანრში მომუშავე ავტორთა უფლებების დაცვა, შესაბამისი დაწესებულებების კონტროლი, სადაც ქართველი თუ ნებისმიერი ქვეყნის ავტორთა ნაწარმოებები ქვეყნდებოდა, იდგმებოდა, სრულდებოდა.

თეატრებიდან, ფილარმონიიდან, საკონცერტო დარბაზებიდან, გამოძცემლობებიდან თუ რადიო-ტელევიზიიდან ვააპში ირიცხებოდა ავტორების კუთვნილი ჰონორარი და დამუშავების შემდეგ დადგენილი პროცენტები ეძლეოდათ, დაწესებული იყო ჰონორარის გაცემის დღეებიც.

საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნება ავტორი, ვინც ჩვენთან საზღვარგარეთ ნაშრომების გასაგზავნად, საკუთარი საავტორო უფლებების დასაცავად ან ჰონორარის ასაღებად არ მოდიოდა.

კვირაში რამდენიმეჯერ აუცილებლად ვხვდებოდი ჩვენი ერის უკვდავ მოღვაწეებს: ირაკლი აბაშიძეს, ვახტანგ ბერიძეს, გრიგოლ აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, ოთარ თაქთაქიშვილს, რეზო

ლალიძეს, გიორგი ცაბაძეს, პეტრე გრუზინსკის, სულხან ნასიძეს, ჯანსუღ კახიძეს, დავით თორაძეს, შოთა მილორავას, გივი ორჯონიკიძეს, ბიძინა კვერნაძეს, გია ყანჩელს და სხვებს.

სწორედ ვააპში გავიცანი ახლოს რეზო თაბუკაშვილი, რომელსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ერიცხებოდა პიესების თუ კინოფილმების საავტორო ჰონორარი.

რალა თქმა უნდა, ბატონ რეზოს შორიდან კარგად ვიცნობდი. ვააპში პირველადვე სტუმრად მოსული ჩემს კაბინეტში შემობრძანდა. საუბრისას ვუთხარი, რომ მის უსაყვარლეს ვაჟს ლამას ახლოს ვიცნობდი და რომ მამამისი გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შალვა თაბუკაშვილი მამაჩემის სათაყვანო მასწავლებელი იყო.

ეს ცნობა ძალიან გაუხარდა. ამის მერე ხშირად ვხვდებოდი ამ დიდებულ პიროვნებას და მალე დავეუახლოვდი.

საზღვარგარეთ ხშირად თხოულობდნენ ხან რეზოს, ხან ლამას პიესებს. ამიტომ მათთან დარეკვაც ხშირად მიხდებოდა. ბუნებით სიტყვის პატრონი, კორექტული და საერთოდ უდალატო რეზო თაბუკაშვილი მოუცლელობის მიუხედავად დათქმულ ვადაში თარგმნიდა პიესას საჭირო ევროპულ ენაზე და აუცილებლად მომიტანდა.

უამრავი რიგითი შეხვედრა-საუბრების გარდა, განსაკუთრებით დამამახსოვრდა რამდენიმე.

* * *

ვააპში მრავალი დელეგაცია ჩამოდიოდა უცხოეთის ქვეყნებიდან. ერთხელ, გაზაფხულზე, წელი ზუსტად აღარ მახსოვს, 80-იანი წლები იყო, თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსხვილი თეატრალური ფორმის „არლექინ-ტეატრფერლაგის“ გენერალური დირექტორი ჰანს პაულ პაფელი თანმხლებ პირებთან ერთად.

შეხვედრის პირველსავე დღეს, მოლაპარაკების დროს, ბატონმა პაფელმა მითხრა, რომ ძალზე აინტერესებს რეზო თაბუკაშვილის გაცნობა, რომელიმე მისი პიესის ნახვა და გერმანულ ენაზე ნათარგმნი პიესების მიღება გერმანულენოვან ქვეყნებში გაცნობისა და გამოყენების მიზნით.

დავრეკე თაბუკაშვილებთან. ბედად რეზოს შეხვდი და ვუთხარი უცხოელის თხოვნის შესახებ. მეორე დღესაც დათქმულ დროს შევიკრიბეთ. საუბარი მეტად თბილი და საქმიანი გამოდგა. ჰანს პაფელსა და მის თანმხლებ ქალებზე რეზომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც შესახედაობით, ისე უბრწყინვალესი განათლებით.

იმ დღეებში რეზოს პიესა „რას იტყვის ხალხი“ რუსთავის თეატრში იდგმებოდა. სამი მანქანით წავვედით დასასწრებად. გამოჩენილი დრამატურგი ისეთი სიყვარულით მიიღეს, იმდენი ნაცნობ-მეგობარი ესალმებოდა და ეხვეოდა, რომ უცხოელები მართლა გაცნობულები დარჩნენ მისი ასეთი პოპულარობით.

მსახიობებმა რაღა თქმა უნდა გაიგეს, რომ რეზო თაბუკაშვილი უცხოელი სტუმრებითურთ ესწრებოდა სპექტაკლს და რაღაც განსაკუთრებულად ითამაშეს, სტუმრებიც აღფრთოვანებულები იყვნენ.

ჯერ კიდევ გზაში, სანამ რუსთავს ვეწვეოდით, რეზომ მითხრა: სპექტაკლის შემდეგ მედია გველოდება და ჩვენთან უნდა წავიდეთო. ეს ისეთი სიყვარულით თქვა, რომ კაცს მოსმენა გესიამოვნებოდა.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ საინტერესო საუბარი შედგა. გვიან დავბრუნდით და სამი მანქანით მივადექით თაბუკაშვილების ბინას ფიქრის გორაზე.

სუფრა უკვე გაშლილი იყო. რეზო თაბუკაშვილი თამადაობდა. ულამაზეს მედია ჯაფარიძეს დარჩეული კერძები შემოჰქონდა. საიცარი, მართლა განუმეორებელი სანახაობა იყო. მე ბედნიერება მერგო, ქალბატონი მედეას გვერდით მოვხვდი და თბილად ვსაუბრობდით.

რეზო ისე მომხიბლავად თამადაობდა, ისეთ სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა, რომ უცხოელები კი არა, ჩვენც უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდით. ეს იყო ჭეშმარიტი ქართული დახვეწილი ნადიმი, მაღალინტელექტუალური სუფრა, სადაც ბევრის გაგება და სწავლა შეიძლებოდა.

სიტყვით, მუსიკით და სიმღერით იყო ავსილი დიდი დარბაზი. ღია ფანჯრებიდან თბილისის მოციმციმე სი-

ნათლებს გავცქეროდით, ხანდახან წამომდგარნი ვხედავდით ხეებს, მწვანე ფერდობს, უჩვეულოდ მშვიდ გმირთა მოედანს, მიძინებულ თბილისს და სული სიმშვიდით გვეკვებოდა.

აღბათ დილის 4-5 საათი იქნებოდა რომ დავიშალეთ. სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ, გულდაწყვეტილები მიდიოდნენ ამ სულიერად და ფიზიკურად უზადო სილამაზის ადამიანების სტუმართმოყვარე სახლიდან.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნებულმა ჰანს პაფელმა წერილი გამომიგზავნა. დიდ მადლობას გვიხდოდა ჩვენი ქვეყნისა და მისი საუკეთესო შვილების გაცნობისათვის, თვლიდა, რომ ყველაზე ძლიერი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება იყო დიდი ქართველი მამულიშვილის რეზო თაბუკაშვილის, მისი უმშვენიერესი მეუღლისა და ოჯახის გაცნობა, გულითადად გვაპატიჟებდა ყველას თავისთან, რაც იმ უმძიმეს ტოტალიტარულ წლებში ძნელი განსახორციელებელი იყო.

ჰანს პაფელმა რეზოსადმი გულწრფელი პატივისცემა გერმანიაში მისი ნაწარმოებების პოპულარიზაციით გამოხატა, პიესები ჟურნალებში დაიბეჭდა და გფრ-ს რამდენიმე თეატრის სცენაზე დაიდგა.

* * *

1983 ან 1985 წელი იყო. იმ ნაკიან წლებში ტარდებოდა ხოლმე მოსკოვის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. ყოველი ორი წლის სექტემბრის დასაწყისში თითქმის მთელი თვე გვიხდებოდა მოსკოვში მუშაობა.

ერთ საღამოს დაღლილები სავახშმოდ შევედით მწერალთა კავშირის რესტორანში. ვიყავით მე, მთარგმნელი ბორის პუგაჩოვი და ორი სტუმარი ბეჭვდითი სიტყვის კომიტეტიდან.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მწერალთა სასახლის ეზოში გამავალი კარებიდან შემოვიდა რეზო თაბუკაშვილი, როგორც ყოველთვის, უზადოდ, გემოვნებით ჩაცმული, ლამაზი კოპლებიანი ყელსახვევით, მომაჯადოებელი ღიმილითა და შესახედაობით.

ძალიან გამიხარდა რეზოს ნახვა, გადავკოცნე და ვთხოვე ჩვენს სუფრაზე მობრძანებულიყო. „— არაფრით არ შემძლია, — მითხრა, — სტუმრები უკვე მოდიან, საბანკეტო დარბაზში მაქვს მაგიდა ცალკე გამლილი და უნდა შევხვდეო“. თან ჩვეული ღიმილითა და იუმორით დაუმატა: „ამ ოჯახქორებს პატივი თუ არ ეცი და არ გამოათვრე, საზღვარგარეთ კი არა, საქართველოშიც არ გაგიშვებენ, საგარეო საქმეთა სამინისტროდან და სახკინოდან ნაცნობ-მეგობრები მყავს დაპატიჟებულიო“.

მართლაც მოდიოდნენ და მოდიოდნენ საზეიმოდ გამოწყობილი წყვილები, რამდენიმე მარტოც იყო. ოცდაათამდის კაცი შეიკრიბა.

ჩვენ სტუმრების გამო ვახშამი ძალიან გაგვიგრძელდა. რეზო თაბუკაშვილის დარბაზიდან დიდხანს ისმოდა მხიარული ხმები, მუსიკა, სიმღერა. მერე ნელნელა დაიწყეს დაშლა ბარბაცითა და სიცილ-კისკისით.

ერთ-ერთი გამოცილების შემდეგ, როცა ჩვენი საბოლოოდ მოთავებული სტუმრებიც მანქანამდე მივაცილეთ, რეზო მოვიდა და გვითხრა: „წამოდით ჩემთან, სულ 5-ნ კაცი დარჩა და ცოტა მოვილხინოთ“.

უარს როგორ ვიტყოდით. სუფრასთან მართლა შევიდოდე ქალი და კაცი იჯდა. რეზო უბრწყინვალესი რუსულით თამაობდა. სუფრის წვერები აღტაცებით შესცქეროდნენ, ქალები თვალებში შესცივინებდნენ.

გვიან ღამით დავიშალეთ, რეზო სასტუმრომდე მივაცილეთ, გზაში ათას რამეზე ვისაუბრეთ. სასტუმროსთან თავისი შეუდარებელი სითბოთი დაგვემშვიდობა.

რამდენიმე დღის შემდეგ საზღვარგარეთ მიდიოდა ხანგრძლივი მივლინებით, რათა კვლავაც გაეკეთებინა უზარმაზარი ეროვნული საქმე.

* * *

ერთხელ, ერთ-ერთი დაუვიწყარი შეხვედრის დროს, რატომღაც ვკითხე, ალბათ იმიტომ, რომ მისი შექსპირისეული სონეტების დიდებული თარგმანის წაკითხვის შემდეგ გავლენისა და ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი: – ბრწყინვალე ლექსები და თარგმანე-

ბი გაქვთ, რატომ უღალატეთ თავდაპირველ სულიერ მოწოდებას და კინო რატომ აირჩიეთ-მეთქი.

შემომხედა, თავისი მომხიბლავი ღიმილით გამიღიმა და მითხრა: „პოეზია უსაზღვროდ მიყვარს და მართლაც ჩემს სულიერ მოწოდებად ვთვლი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ სფეროში, როგორც თქვი – კინოს სფეროში, გაცილებით უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია საქართველოსთვის. ხშირად მეჩვენება და ცხოვრება მარწმუნებს კიდევ, ეს ისეთი რთული საქმეა, სხვამ შეიძლება ვერც შეძლოს გაკეთება და იმ გოლგოთის გზის გავლა, რასაც მე სისტემატურად გავდივარ. პოეზიასა და თარგმანებს გალაკტიონისა და მაჩაბლის ქვეყანაში ისედაც ბევრი მომვლელი ჰყავს და ისინი, ალბათ, ჩემზე უკეთესად იტყვიან სათქმელსო“.

მიდიოდნენ წლები. რეზო თაბუკაშვილი სულ მალლა და მალლა მიიწვევდა შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ. არაჩვეულებრივად პოპულარული იყო. მისი ზღაპრული ფილმების პრეზენტაციაზე დასწრებას ათასობით ადამიანი მიესწრაფოდა.

საქმე კი უამრავი ჰქონდა. საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მასალების მოძიებას, შეხვედრებს, არქივებს, სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ქალაქიდან ქალაქში გადასვლებს დრო და ჯანმრთელობაც მიჰქოდა. მისთვის კი

საყვარელი საქმის დალატი წამითაც არ არსებობდა. იშვიათად თავისუფალ დროსაც სულ წერასა, თარგმნასა და ნადირობაში ატარებდა.

და უცებ რეზო თაბუკაშვილი ავად გახდა. ყველა მტკივნეულად განიცდიდა ამ უსიამოვნო ამბავს. შემდეგ იგი მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში დაწვა. უსათნოესი და უმშვენიერესი ქალბატონი მედეა, ლაშა, პატარა მედეა, და შვილიშვილები ყველანი თავს ევლებოდნენ.

ამავე პერიოდში, 87 წლის მამაჩემი აკაკი წერეთელიც იქ იწვა და ამბებს სისტემატურად ვიგებდი.

ერთხელ რეზოს სანახავად მივდიოდი და ვფიქრობდი საჩუქრად რა წამელო. სწორედ იმ დღეებში საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით გალაკტიონ ტაბიძის ლექსების უხვად ილუსტრირებული სასაჩუქრო გამოცემა გამოვიდა „მადრევნების ვედრების“ საერთო სახელწოდებით.

ერთ-ერთი სასიგნალო ეგზემპლარი მივიღე. როგორც მახსოვს, ამ პატარა მოცულობის წიგნს წავაწერე: „ყველასათვის საყვარელ ბატონ რეზოს ჯანმრთელობის და ბედნიერების სურვილებით“.

რა უდიდესი ღირსებაა ადამიანისთვის ჭეშმარიტი ინტელიგენტურობა, რაც რეზოს ათასი კაცის სამყოფი გააჩნდა.

წიგნი გადაათვალიერა და მითხრა: „დიდი მადლობა, არ ვიცი რა უნდა

მოგეტანა, რომ ასე გამხარებოდაო“. ეს ძალზე მესიამოვნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გურამ გეგეშიძემ დამირეკა: რეზო თაბუკაშვილი არ ყოფილა კარგად და სანახავად წავიდეთო.

მივედით საავადმყოფოში. უკვე ზაფხული იდგა, ცხელოდა, რეზოს „ლუქსში“ შედარებით გრილოდა, ჩვენი ნახვა გაუხარდა. კარგა ხანს ვილაპარაკეთ. ისევ ისეთი ვაჟკაცური და ლამაზი იყო, ავადმყოფობა არ ეტყობოდა. მსხვილ, ნავარჯიშევ მკლავებს ენერგიულობა არ დაკლებოდათ.

ლაპარაკის ბოლოს გვითხრა: „ბუნებით მონადირე და ზიფათის მადიებელი კაცი ვარ, ათასი გაჭირვება მაქვს გამოვლილი, არც ყინვასა, თოვლსა თუ ქარბუქში გარეთ გდება დამკლებია, სასიკვდილო საფრთხეს ბევრჯერ შევჯახებივარ და უკან არ დამიხვევია. საშინელი ტკივილები მაქვს, მაგრამ ტკივილების არ მეშინია, ყველაფერს გავუძლებ, აუცილებლად წამოვდგები, რომ ჩემი საქმეები ბოლომდის მივიყვანო“. მერე დაამატა: „ცოტას რომ მოვიკეთებ საფრანგეთში ან გერმანიაში წავალ სამკურნალოდ, სადაც ძლიერი კლინიკები აქვთო“.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, რეზოს დიდი ცხოვრების დღეები დათვლილი იყო. 1990 წლის 2 აგვისტოს, თავისი დაბადების დღეს მან მარადისობაში გადააბიჯა.

* * *

როგორც ვთქვი, მამაჩემი აკაკი წერეთელი იმავე პერიოდში იწვა მეოთხე მთავარ სამმართველოს საავადმყოფოში. მის ვრცელ დღიურებში შევხვდი ასეთ ჩანაწერს: „აქ წვეს რეზო თაბუკაშვილი, ჩემი უსაყვარლესი მასწავლებლის და ახლობელი ადამიანის ვაჟი. ხმები ისმის, რომ ეს ულამაზესი, უჭკვიანესი და უგანათლებულესი ვაჟაკი მძიმედ არის ავად. მოხუცს გულს მიკლავს მისი უნუგეშო მდგომარეობა, რომ შეიძლებოდა მის მაგივრად საკუთარ სიცოცხლეს დავთმობდი. ჩემი წასვლით საქართველოს ალბათ ბევრი არაფერი დააკლდება, მისი დაკარგვა კი აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება. ამაზე ფიქრიც მზარავს ...“

მერე მამასთან პალატაში ვინმე ყარყარაშვილი დააწვინეს, სახელი ვეღარ გავიხსენე, მგონი ალექსანდრე ერქვა. მამაჩემის მსგავსად მასაც 10 წელი ჰქონდა გატარებული ციხეებსა და კოლონიაში. ამ ნიადაგზე ყოფილი პოლიტპატიმრები უცებ დამეგობრდნენ.

ერთ დღეს მამა საოცრად გახარებული დამხვდა, ცალკე გამიყვანა და საიდუმლოდ მითხრა: „ამ ჩემმა მეგობარმა ყარყარაშვილმა ისეთი მკურნალობა იცის, ისეთი უძლიერესი ექსტრასენსია, ნებისმიერ მძიმე ავადმყოფობას არჩენს, ახლა კი აღარ მეშინია, რეზო ნამდვილად კარგად იქნებაო“.

მაგრამ რამდენადაც მახსოვს, რეზო თაბუკაშვილმა არატრადიციული და იმ

დროისათვის არარეალური მკურნალობა არ მონდომა თუ ამის დრო აღარ იყო. მალე თავად საწყალმა ყარყარაშვილმა დატოვა ეს ცოდვილი წუთისოფელი.

1993 წელს მე და ჩემმა ძმებმა მამაჩვენის უზარმაზარი პოეტური მემკვიდრეობიდან შერჩეული ლექსების პატარა კრებული გამოვეცით. კარგი წიგნი გამოვიდა, არაერთი მშვენიერი ლექსი წარსდგა მკითხველის სამსჯავროზე.

მაგრამ ის წელიც და მომდევნო წელიც ძალზე მძიმე იყო საქართველოსთვის. იქნებ ამ მიზეზის გამოც წიგნი კრიტიკამ თუ მასმედიაში ვერ შეამჩნია, მხოლოდ ერთი-ორი მომცრო საინფორმაციო წერილი გამოქვეყნდა.

მამას ლექსების წიგნს წინასიტყვაობად წარუშობდვარე ვრცელი წერილი სათაურით: „ტანჯვა-წამებაში გამოვლენილი სულიერი სიმაღლე“, რაც იმავე წელს გამოცემული ჩემი მოგონებების წიგნიდან „დაუვიწყარი სახეების და დღეების ტვიფარი“ იყო გადმობეჭდილი.

დიდი ქართველი მამულიშვილის, წმინდა ხსოვნისადმი მიძღვნილ ჩემს მცირე მოგონებაში აღნიშნული წინასიტყვაობიდან უცვლელად მინდა მოვიტანო ერთი ადგილი, რაც რეზო თაბუკაშვილს და მისდამი მამაჩემის უსაზღვრო სიყვარულით სავსე დამოკიდებულებას შეეხება:

„მისი (მამაჩემის) უპირველესი სულიერი მოთხოვნილება ლიტერატურა,

ლექსი და წერა იყო. ერთხელ (1993 წლის დასაწყისში) სოფელ საღვინიდან გამოძიგზავნა პატარა წერილი. არაფერს არ მთხოვდა. მთხოვდა, მხოლოდ დიდი ქართველი მამულიშვილის რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის დაბეჭდვას.

„გიგზავნი ერთ ლექსს, რომლის დაბეჭდვა ისე მინდა, როგორც 25 წელიწადმისჯილ პატიმარს ციხიდან განთავისუფლება. ეს არის ლექსი ჩემთვის უძვიფასესი ადამიანის, ჩემი საყვარელი მასწავლებლის ვაჟის, უდიდესი ქართველი მოღვაწის რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი. ჩემი წრფელი სულიერი მოთხოვნაა მისი გამოქვეყნება. შენც გადახედ რედაქტირების კუთხით. თუ სხვაგან არაფერი გამოვიდეს, „სოფლის ცხოვრებაში“ მაინც მიიტანე, იქ ხშირად იბეჭდებოდა ჩემი ლექსები ...“

რეზო თაბუკაშვილს მამა კარგად იცნობდა, თანაც მათ ერთდროულად მოუწიათ ყოფილი მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში წოლა. ამ პერიოდში ხშირად შედიოდა სარეცელს მიჯაჭვულ ვაჟკაცთან, მასთან მუსაიფით ტკბებოდა, მისი უნუგეშო მდგომარეობა გულს უკლავდა.

საერთოდ თაბუკაშვილებში მამას ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა. მისი უახლოესი მეგობარი იყო უბრწყინვალესი ქართველი კაცი, ნამდვილად ღვთისნიერი და დიდებულებით გამორჩეული ადამიანი ძია მიშა თაბუკაშვილი, რომელმაც მამას ციხეში ყოფ-

ნის დროს ყველაზე დიდი დახმარება გაუწია ჩვენს ოჯახს, რითიც მე და ჩემს ძმებს ფასდაუდებელი ამაგი დაგვლო.

რეზო თაბუკაშვილის უდროოდ აკარგვის გულწრფელი მწუხარების გამო შექმნილი ლექსი, სხვაგან რომ არაფერი გამოვიდა, მართლა მივიტანე გაზეთში, მაგრამ იმ დროს თვით ისეთ ღმერთკაცსაც კი, როგორც რეზო თაბუკაშვილი იყო, მაშინდელი ხელმძღვანელობა ებრძოდა და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს ვინღა დაბეჭდავდა.

ამიტომ დღეს, როცა ამ გულისტკივილით სავსე წერილს ვწერ, ვასრულებ მამის თხოვნას და მთლიანად მომყავს მარად დაუვიწყარი რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი მოხუცი პოეტის გულწრფელი ლექსი. ლექსს ეპიგრაფად იღია ჭავჭავაძის პწკარები აქვს წამძღვარებული: „ვაი, დაგკარგეთ: უღმრთო იყო შენი სიკვდილი“.

„მამულისთვის მრავალჯამს შრომობდი და იღწვოდი, მღგარი ქვეყნის დარაჯად სანთელივით იწვოდი! – უძცროსო ძმაო თუ ჩემო შვილო, ღვთით კურთხეულო და დალოცვილო, ტანახოვანო და სახოვანო, იყავ კეთილი, სულით სპეტაკი, შენებრ ვაჟკაცნი გვეყვდნენ ნეტავ კი. მამულის ბედზე მარად მზრუნველო, მისთვის სიცოცხლის დაუმურველო, სამშობლოსათვის იღწვოდი მარად, წინ ყველა ქართველს უძლოდი ფარად! იყავი გმირი, იყავ

ჩაუქი, ის, ვინც გაბედა შენზე აუგი და სიბუღვილის შეძლო დატევა, როგორც თავიდან შენვე ჩაუთქვი – ქართველი ერის მოლალატეა. შენი ნაშრომი, შენი ნაღვაწი, იყო და არის ყველგან ქებული, მამულის მტრების მიმართ ყოველთვის იყავ ვეფხვივით აზავთებული. ეს სიწმინდეა და ნათელია, რაც ზეცისკენ მიიწევს მაღლა და რაც არ მოდის თავისთავადა, მაგრამ მუდმივმა შრომამ და დაღლამ ვაჟკაცი კაციც დაგაავადა. შენი სიკვდილი ჩვენთვის ქცეულა ბედის დაცინვად მწარეზე მწარედ, თავისუფლების გზებით მაგალი მამული ტირის დღეს მგლოვიარე“.

* * *

მამაჩემის მსგავსად რეზო თაბუკაშვილი ათასობით ადამიანს უყვარდა და უყვარს. ასე იყო სიცოცხლეში და ასე გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. მას მშობლიურ ხარაგაულის რაიონშიც აღმერთებენ, იმ სუფთა და ზედმიწევნით პატიოსან მთავორიან რაიონში, რომელმაც ქვეყანას ბევრი სახელოვანი მამულიშვილი შესძინა.

რეზო თაბუკაშვილის ერთ-ერთი გულწრფელი თაყვანისმცემელია ნიჭიერი შემოქმედი ხარაგაულიდან იზა ვეფხვაძე. მან დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა ჟურნალისტად, დააარსა გაზეთი „აღმზრდელის“ სახელწოდებით. ამჟამად ხარაგაულის

კულტურის სისტემას ხელმძღვანელობს.

1996 წლის დასაწყისში ძიების სულით აღვსილმა იზა ვეფხვაძემ ლიტერატურული თეატრი დააარსა.

1998 წელს თეატრმა ხარაგაულში წარმოადგინა სპექტაკლი სახელწოდებით: „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“, რაც შვილიშვილებისადმი მიძღვნილი რეზო თაბუკაშვილის გასაოცარი სიღრმის ლექსიდან იყო აღებული.

წარმოდგენამ ბრწყინვალედ ჩაიარა. დარბაზმა ზღვა მაყურებელი ვერ დაიჭია. მრავალი საპატიო სტუმარი სპეციალურად თბილისიდან ჩავიდა.

რეზო თაბუკაშვილის უკვდავი ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი შემდეგ ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სცენაზეც იქნა წარმოდგენილი და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. სპექტაკლი თბილისის ფართო საზოგადოებასაც ნახა და მოიწონა.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინ მამაჩემის აკაკი წერეთლის ვრცელ არქივში წავაწყდი ერთ დოკუმენტს. ეს არის დიდი ქართველი მსახიობის მედეა ჯაფარიძის მშვენიერი პორტრეტით დამშვენებული ღია ბარათი, რომელზეც მითითებულია: „მედეა ჯაფარიძე, 40 წელი სცენაზე“.

როგორც ჩანს მამაჩემს წერილი გაუგზავნია მოსკოვში მყოფ ქალბატონი მედეასა და რეზოსათვის. საფოსტო შტამპზე წელი გარკვევით არ იკითხება, მგონი 1983 წელი უნდა იყოს.

მედეა ჯაფარიძეს პორტრეტზე მიუწერია: „ბატონ აკაკის! ღრმა პატივისცემით, მედეა“.

ღია ბარათის შიგა მხარეს ქალბატონ მედეას თავისი და რეზოს სახელით პატარა პასუხიც დაურთავს:

„ბატონო აკაკი! მივიღეთ თქვენი მშვენიერი წერილი და ლექსი, – დიდი მადლობა. თუ ჩვენ ვიქნებით თქვენსკენ, გნახავთ, – თუ თქვენ იქნებით აქეთ, – გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან აუცილებლად. ღრმა პატივისცემით, მედეა“.

წავიკითხე ეს პწკარები და კიდევ ერთხელ მწარედ მეტკინა გული, რომ ეს მართლა სწორუპოვარი ადამიანები ფიზიკურად აღარ არიან ამ ქვეყანაზე, თორემ მათ ხსოვნას საუკუნეებიც ვერ გააფერმკრთალებენ.

* * *

უამრავი დამთხვევა არსებობს ამ ქვეყანაზე. შეიძლება ზოგჯერ ისინი არაფერს არ გამოხატავენ და არც არაფერზე მიგვანიშნებენ, მაგრამ ფიქრებს მაინც აღგვიძრავენ, რაიმეს გვაგონებენ, ხან გვასიამოვნებენ, ხან კი გაუსაძლის ნალველსა და სინანულში გვზვევენ.

რა თქმა უნდა, დამთხვევა იყო ისიც, რომ ოთხმოცდაათ წელს მიღწეული, მაგრამ გონებრივად აბსოლუტურად სრულყოფილი მამაჩემი აკაკი წერეთელი რეზო თაბუკაშვილის დაბადების დღეს 2 აგვისტოს დილით გარდაიცვალა.

ასეთი მწუხარებით სავსე ფიქრების დროს მარად დაუვიწყარი რეზო თაბუკაშვილის მშვენიერი ლექსის ოპტიმისტური, ვაჟაკაციური სულისკვეთების გამომხატველი პწკარები მაგონდება ხოლმე: „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“.

ნუგ ზარ წერეთელი

დიდი შემოქმედის პირველი ფრესკა



გამოჩენილი მხატვარი კოკა იგნატოვი რამდენიმე წელიწადია აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ მისი სახე, სახელი და უმაღლესი დონის შემოქმედება ჩვენი ცხოვრების მულმივი თანმდევი.

კოკას ახალგაზრდობის შორეული წლებიდან ვიცნობდი, კერძოდ, 1952 წლიდან, როცა ჩვენ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი ვიყავით, ის კი ჩვენზე ორიოდ წლით უმცროსი. არაჩვეულებრივი ბიჭი იყო, მაღალი, კაცურად ლამაზი, არისტოკრატიული შესახედაობის, ხუმრობა უყვარდა ხოლმე, იგნატოვები გრაფები ვიყავითო და მართლაც ჰგავდა გრაფის თუ ლორდის შთამომავალს. სანამ მხატვრობის მიმე აღმართს შეუდგებოდა და ნიჭიერებით საყოველთაოდ გაითქვამდა სახელს, მაშინდელ გაცილებით პატარა თბილისის ახალგაზრდობაში თავისი ბიჭობით, ქართული ტრადიციული თვისებებით, ერთგულებით, მეგობრობით, სიკეთით, ხანდახან ჩხუბითა და ქეიფებითაც ცნობილი, პოპულარული

ბიჭი იყო. ამიტომაც კოკა ძალიან უყვარდა ახალგაზრდობის დიდი ნაწილის მაშინდელ აღიარებულ წინამძღოლს გურამ რჩეულიშვილს, ხშირად იყვნენ ერთად, აქედან გამომდინარე, მეც ვმეგობრობდი კოკასთან. იგი ყოველთვის ღირსეულ პიროვნებად მიმაჩნდა, ნამდვილ თბილისელად და დიდი გაქანების შემოქმედად.

ვინმეს რომ არ ეგონოს, თითქოს ახლა მოვინდომე გამოჩენილ პიროვნებასთან დაძვებობა, შემძლია მოვიტანო ნაწყვეტი 1984 წელს გამოცემული ჩემი წიგნიდან. გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ამ გახმაურებულ წიგნს, როგორც ცნობილია, სათაურად ეწოდება „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. აქ შემხვდა ძალიან საინტერესო ადგილი, რაც მეტი სიცხადისთვის წინწკლებში ჩასმული მომაქვს:

„ამ ცოტა ხნის წინათ მე და ჩემი მეუღლე მოსკოვში ვიყავით... ძალზე სასიამოვნო იყო საღამოობით ტელევიზორით საინტერესო გადაცემების მოსმენა და თან უსასრულობამდე გაშლილი მოციმციმე მოსკოვის ცქერა.

კოკა იგნატოვი მოვიდა ჩვენთან. დიდხანს ვსაუბრობდით, ვიხსენებდით ძველ ამბებს და, რაღა თქმა უნდა, გურამიც გავიხსენეთ.

მაშინ კოკამ სწორად თქვა: მე მიმაჩნია, რომ გურამი პირადად ჩემი საუკეთესო, უახლოესი მეგობარი იყო. ბევრი დღე და საათი მაქვს მასთან ტკბილად გატარებული. დიდი და ფართო გული ჰქონდა, სიკეთით სავსე და ყველასათვის გახსნილი. ძალიან ბევრთან იყო ახლოს და ასევე ძალიან ბევრს მიაჩნდა, რომ სწორედ ის იყო მისი უახლოესი მეგობარი.

სხვა მოგონებებთან ერთად აქვე გავიხსენეთ, თუ როგორ მოახატვინა გურამმა კოკას თავისი სამუშაო და საძინებელი ოთახის კედელი.

როგორც აღვნიშნე, 1953 წელს გურამის ოჯახმა ახალი კეთილმოწყობილი ბინა მიიღო ლარსის ქუჩაზე.

ახლა რჩეულიშვილების ოჯახი იქ აღარ ცხოვრობს. მე ის ადგილი მაინც ვერ დავივიწყე.

გრძელი ლოჯიის ანთებული ფანჯრები ყოველთვის დიდი გულისტკივილით მახსენებს იქ გატარებულ მრავალ საათს, ამ დაუვიწყარ სახლს და გარდასულ, თბილ, უღრუბლო წლებს.

შესასვლელის პატარა ჰოლიდან პირდაპირ გურამის ოთახში შევდიოდით, ანდა იქ შეიძლებოდა მოხვედრილიყავით ლოჯიის მხრიდან.

კოკა იგნატოვი ჩვენზე ერთი ან ორი წლით იყო უმცროსი“. იმ წლებში (ლაპარაკია 1953-1954 წლებზე – ნ.წ.), რა თქმა უნდა, შორს იყო დღევანდელი სახელისაგან, მაგრამ გარკვეულ წრეებში უკვე იყო ცნობილი, როგორც

დიდი მომავლის მქონე ნიჭიერი მხატვარი.

გურამმა სთხოვა კოკას, კოკამაც ხათრი არ გაუტეხა მეგობარს და კედლები მეტად ორიგინალურად, საინტერესოდ მონატა.

ახლა ძნელია თქმა, გურამის მშობლებსაც მოეწონათ თუ არა კოკას ეს პირველი ფრესკულ-მონუმენტური მხატვრობა და ისიც ერთ-ერთი რემონტის დროს გაქრა.

ისე კი რა დიდებული იქნებოდა მისი შენახვა, რომ გურამის მემორიალური მუზეუმი დაემშვენებინა ახლა უკვე ცნობილი მხატვრის ერთ-ერთ პირველ და ალბათ ძალზე საყურადღებო ნამუშევარს“.

ეს სტრიქონები 1977-78 წლებში იწერებოდა, წიგნის პირველი გამოცემა „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ 1980 წელს გამოვიდა, მეორე გამოცემა 1984 წელს განხორციელდა ოცი ათასიანი ტირაჟით და უტყუარ, დოკუმენტურად სწორ მონაცემებს შეიცავდა.

იმ დროს, საბედნიეროდ, კოკა იგნატოვიც ცოცხალი და ჯანმრთელი იყო, ამდენად, გურამისადმი მიძღვნილი წიგნიც წაიკითხა და აღნიშნული ადგილიც.

2000 წელს გაზეთ „განახლებული ივერიის“ პირველსავე ნომერში უკვე დიდმა მხატვარმა დაბეჭდა მეტიმეტად საინტერესო წერილი სათაურით „ჩემი პირველი ფრესკა“. გადავწყვიტეთ, ეს წერილი გამოვაქვეყ-

ნოთ ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში დიდი ქართველი მწერლისა და დიდი ქართველი მხატვრის ახლო მეგობრობის ნიმუშად. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გურამ რჩეულიშვილის სრული აკადემიური გამოცემის ექვსტომეულში გამოქვეყნდა მარინე რჩეულიშვილის მიერ დიდი ძიების შედეგად ნაპოვნი კოკა იგნატოვის პირველი ფრესკული ნამუშევრის ქალაღზე შემორჩენილი ფრაგმენტები, რითიც წიგნის მნიშვნელობაც გაიზარდა.

ნუგზარ წერეთელი

კოკა იგნატოვი

ჩემი პირველი ფრესკა

მე და გურამ რჩეულიშვილს სკოლის მე-9 თუ მე-10 კლასიდან გვქონდა ურთიერთობა, რაც შემდეგ ნამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა. პირველად საღ შევხვდი, არ მახსოვს. ჩვენი დამაკავშირებელი იყო ერთი ჩემთვის და ბევრი ქართველისთვის ბრწყინვალე პიროვნება — ვაჟა გიგაშვილი — მწერალი, სცენარისტი, მონადირე და ალპინისტი. სხვათა შორის, არაჩვეულებრივად ხატავდა, ჩემზე კარგად, და ერთად ვაპირებდით სამხატვრო აკადემიაში სწავლას, მაგრამ მერე არქიტექტურა

ამჯობინა, პოლიტექნიკური ინსტიტუტიც დაამთავრა, ბოლოს კი მაინც მწერლობამ ჩაითრია. ეგზოტიკური, უცნაური — ობივატელური თვალსაზრისით, — პიროვნება და ძალიან საინტერესო კაცია. და აი, ის იდგა ჩემსა და გურამს შორის, რომელიც ჩემზე ბევრად ადრე გაიცნო.

გურამი რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე, თავისი წრე ჰყავდა — მეგობრები, თანაკლასელები, სულ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანები, განსაკუთრებით კი — ხელოვნებასთან ახლო მდგომი ხალხი: ერლომ ახვლედიანი, ნუგზარ წერეთელი, დავით ჯავახიშვილი, გურამ გეგეშიძე. ძალიან ახლობელი იყო მხატვარი თემო ჯაფარიძე... ამავე დროს — „ძველი ბიჭი“ მალხაზი (გვარი არ მახსოვს).

ერთ დღეს ჩემთან შინ მოვიდნენ ვაჟა და გურამი. სტუდენტი ვარ მეორე თუ მესამე კურსისა და, ძალიან კარგად მახსოვს, მზიანი, მშვენიერი შემოდგომის დღე იდგა. ჩვენი ურთიერთობის ესთეტიკა იმ დროისათვის, იმ პერიოდის ფაქტურა, ასე ვთქვათ, რა იყო? შევხვდებოდით ერთმანეთს, რაღაცას დავლევდით, ხინკალს შევჭამდით, მერე მსოფლიო პრობლემებს შევეჭიდებოდით... ჰოდა, გამოჩნდნენ ვაჟა და გურამი. შინ მართო ვარ და გურამი მეუბნება:

— შენ, მგონი, ზედმეტად თავისუფალი ხარ; მე ჩემებმა, ესე იგი ოჯახმა, როგორც იქნა გამომიყვეს სამუშაო

ოთახი, თვითონ მივიწროვ-მოვიწროვდნენ, გაიწ-გამოიწიეს და ერთი ოთახი მომცეს. იმიტომ, რომ მიხვდნენ, ნამდვილი გიჟი ვარ, „კომუნალკის“ (ჰო, ზუსტად ეს სიტყვა იხმარა) კაცი არა ვარ, ჰოდა, დამითმეს ერთი ოთახი. წამოდი, ერთი, ნახე: თუ რამე საღებავები და ფუნჯები გაქვს სახლში, წამოიღე და დანარჩენს იქ გეტყვიო.

– რა გინდა-მეთქი, გურამ...

– რა და, აი, წამოდი, ნახე და შენ თვითონ მოგინდება იმის გაკეთება, რის შემოთავაზებასაც მე ვაპირებო.

წავედი, ახალგარემონტებული ბინაა პეტრიაშვილის ქუჩაზე. მამამისი, მიხეილ რჩეულიშვილი, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, დიდი მეცნიერი სოფლის მეურნეობის დარგში; ეტყობა, რაღაცნაირად მოახერხა, რემონტი გაუკეთებია და ამ თავის შვილს, უცნაურ შვილს, ერთი ოთახი მიაკუთვნა. ეს იყო ძალიან ტრადიციული ოჯახი, დარბაისლური, თავისი ჩამოყალიბებული ცხოვრების წყობით. ჰოდა, გამოუყვეს ერთი პატარა ოთახი, ალბათ, თექვსმეტი კვადრატული მეტრი იქნებოდა.

მიგვიყვანა გურამმა მე და ვაჟა და მეუბნება:

– აი, ხომ ხედავ, კედლები თეთრად არის შეღებილი, ახალი გაკეთებულია რემონტი; ჩემიანები ყველანი წასულები არიან ერთი თვით – მამა, დედა და და; მიდი ახლა, აი, ეს ოთახი იატაკიდან ჭერამდე სულ მომიხატე, რა... იმიტომ, რომ მე რომ ვმუშაობ, ამ თეთრ

კედლებს რომ ვუყურებ, დამბლა მემართება; რაღაცას თუ არ წავეპოტინე, ან მზერით, ან აზრით, მიჭირს, „გბუქსაობო“ (სწორედ ასე თქვა). რაღაცა დავხატოთ. რამდენიმე ისეთი თემა მაქვს, გეტყვი, და თუკი შესაძლებელია, გადავიტანოთ სახვითი ხელოვნების ენაზე. დანარჩენი, შენ რაც გინდა, მიდი რა, შეუბერე, ხომ ხოში გაქვს ფრესკების მიმართო.

იმ დროს მახლოვდებოდა, ისე მინდოდა ფრესკის გაკეთება. ეს სურვილი ჩემთვის ბუნებრივი იყო. ალბათ იმიტომ, რომ აქ ვარ დაბადებული, საქართველოში, და თუ რამე გვაქვს ჩვენ, ქართველებს, მართლა გასახსენებელი და მართლა საამაყო, ეს ფრესკაა. დილომში ერთი პატარა ბაზილიკაა, რომ აღიხარ სოფელში – ხელმარჯვნივ; მიტოვებული იყო მაშინ, ახლაც, სხვათა შორის. ჰოდა, მინდოდა იმ ბაზილიკის მოხატვა, უპატრონო იყო, მიგდებული. ვფქირობდი: ჩემი ხარჯით გავლესავ, მოვხატავ და, შესაძლოა, სიცოცხლე გაჩნდეს ამ პატარა ბაზილიკაში-მეთქი. ეს ვერ მოვახერხე... მერე, ბათუმში იყო რუსული ეკლესია; მითხრეს, მღვდელს უნდა, მოხატოსო. წავედი ბათუმში (ეს სტუდენტობის პერიოლია). მღვდელმა შემომთავაზა, მე გაგარინის ოლეოგრაფიები მაქვს ბიბლიის თემებზე და მინდა, რომ კედლებზე ისინი გაიმეორო. მე არ მომწონდა არც ის ოლეოგრაფიები და არც არავის გამეორება მინდოდა – ჩემი რაღაცის გაკეთება მიზიდავდა. ეს ცდაც

უშედეგოდ დამთავრდა და გურამის მოულოდნელი წინადადება სიამოვნებით მივიღე.

შინ აღარ დავბრუნებულვარ, მაშინვე შევუდექი მუშაობას. გავარდა გურამი ქუჩაში, სასმელ-საჭმელი მოიტანა – რა ბევრი რამ გვინდოდა მაშინ? – ჰოდა, დავიწყე ხატვა. გურამმა შემომთავაზა რამდენიმე თემა.

ერთი თემა ასეთი შემირჩია: გინდა თუ არა, ბრძოლა, ბრძოლის მოტივი უნდა იყოსო – ორი ღიდი მასის, ორი ღიდი ძალის შეტაკება, აი, ამ ბრძოლის რაღაც კულმინაცია. არც ისტორიული ნიშნები ჰქონდეს მაინცდამაინც, არც... მოკლედ, ზოგადი ხასიათის, ვთქვათ, დადებითი და უარყოფითი, ნათელი და ბნელი – ორი ძალა შეეტაკა ერთმანეთს... აი, ეს ერთი თემაო.

ეს მხატვრისთვის იმდენად განყენებული და იმდენად ლიტერატურული იყო, რომ ჩამაფიქრა – რას აფრენს, რას მიედ-მოედება ეს კაცი, რის ძალა, რა ძალა, მით უმეტეს, მაშინ მშვიდობიანი ეპოქა იყო, ორმოცდაათიანი წლების დასასრული; ომი ათ წელზე მეტი ხნის დამთავრებული გვქონდა, ყველას მშვიდობიანი ცხოვრების იმედები გვასულდგმულებდა და, მართალი გითხრათ, ეს თემა მაინცდამაინც გულზე არ მომეკიდა; ვერ ვგრძნობდი, რომელ ძალას შეიძლებოდა დავჯახებოდი... ერთადერთი, ჩვენ რომ ვიცოდით, კომუნისტური წყობა იყო და იმასთან შეტაკება აზრადაც არ მოგივიდოდა კაცს. სხვა ძალა ვერ წარმოგვედგინა

– ამერიკა შორს იყო მაშინ და დისიდენტური მოძრაობაც. ასე რომ, ცოტა აბსტრაქტული მომეჩვენა.

მეორე თემა ასეთი შემომთავაზა...

მაშინ მეტისმეტად ჩაკეტილი საზოგადოება ვიყავით, ძალიან ცოტა ვიცოდით, რა ხდებოდა სამყაროში, ჩვენს ირგვლივ, მაგრამ უკვე რაღაც ინფორმაციამ დაიწყო გამოჟონვა. გურამმა თქვა:

– მე, იცი, ერთი ურბანისტული თემა მინდა. ჩვენი ქალაქები მეტად ტრადიციულია – რაღაც სახლები კი შენდება, მაგრამ საერთო იერი არ იცვლება. აი, ნიუ-იორკი, რასაც ვიცნობთ ალწერილობით, ფოტოებით, კინოებით – მომავლის ქალაქიაო...

მაშინ მოგვწონდა; მე, პირადად, ახლა აღარ მომწონს, პირიქით, მაგრამ მაშინ ამაში რაღაც რომანტიკული იყო ჩვენთვის, იმდენად მოკლებული ვიყავით ნამდვილ, სწორ ხედვას... სწორი ხედვა მაშინ გებადება, როცა იცი რაღაც და ამოარჩევ იმას, რაც შენია. ჰოდა, წარმოიდგინე შენ მომავლის – 2000-იანი წლების რაღაც ქალაქი... ესეც ძალიან შორეული თემა იყო ჩემთვის, ჩემი იმდროინდელი აზროვნებისათვის და შინაგანი განწყობილებისათვის.

მესამე თემაც მიკარნახა:

– იცი რა, ბებრებს – კაცი იქნება თუ ქალი, სულ ერთია – მთელი ცხოვრება სახეზე აწერიათ. აი, ნაოჭებით, სახის გამომეტყველებით, ჩამქრალი თვალებით, რაღაცით. რა ვიცი...

იცო, ყოველი ბებერი არის ერთი რომანი ან რაღაც ერთი დიდი ნაწარმოები. მოდი, ასეთი რამ გააკეთე: უბრალოდ, ბებრების სახეები იყოს, სხვადასხვა ტიპის ბებრებისა, რამდენნაირი არიან: კახელი ბებერი, მთიელი ბებერი, მეგრელი ბებერი, ყაბალახიანი...

ეს თემა ახლოს იყო ჩემთვის, გასაგებიც და მისაღებიც, და ყველაზე უკეთესი ის გამოივიდა ალბათ.

– კარგი-მეთქი, – ვუთხარი, – სულ ოთხი კედელია და სამი თემა მითხარი უკვე. ერთი თემა მე მაჩუქე – ერთ კედელზე, მე რაც მინდა, ის არ დავხატო? მე ერთი აღარ დავხატომეთქი?

– კარგი, კარგი. ერთი კედელი, აგერ, რომ შემოდიხარ ოთახში, ზურგს უკან რომ გრჩება, იმაზე, რაც გინდა დახატო.

დავიწყე მოხატვა – რის ესკიზი, რა ესკიზი! – ყოველგვარი მომზადების გარეშე. დავლიეთ ცოტა, იქვე მივაღექი და დავიწყე აიმ პირველი, ბრძოლის თემით. რა საღებავი მქონდა? გუაში, ქილებში სანახევროდ ჩამხმარი, ზოგი – ტუბებში, და მქონდა პასტელი. ამ გუაშით ვხატავდი და მერე რაღაცა აქცენტებს და მაღალ ადგილებს, პროფესიულ ენაზე რომ ვთქვამთ, ამოვწევდი – სადაც არ ყოფნიდა ძალა გუაშს, იქ პასტელით გადავუვლიდი. არეული და, რა თქმა უნდა, პროფესიული გავებით, უკულტურო იყო გუაშით ფრესკის გაკეთება!..

შევასრულე დიდი შებრძოლების სურათი, ალბათ, სამი მეტრი იქნებოდა სიგრძეში და ერთ მეტრამდე – სიმაღლეში. ჩანდა, რაღაც ჩანდა... როგორც დემონსტრაციაზე ხალხის – მრავალი ადამიანის – ერთიანი მასა მოედინება და, რომ დაუკვირდები, მთლიანობაში ერთ დიდ მოძრავ ურჩხულს ქმნის, აი, დაახლოებით, ასეთი რაღაც გამოვსახე – ორი დაპირისპირებული რაღაც მასა, შედგენილი შუბების, იარაღის, თავების, ფეხების, ხელების შერწყმით, რომლებიც ერთმანეთის მიმართ რაღაც დინამიკაში იყვნენ – ოღონდ ყველაფერი გარეგნულად აქცენტირებული არ იყო – უფრო აბსტრაქცია იგრძნობოდა. როგორც დაკვეთა იყო ბუნდოვანი, ისე მოსაყოლადაც ბუნდოვანია, მოკლედ, რაღაც ბრძოლის სიტუაცია იყო და გურამი ძალიან კმაყოფილი დარჩა. – აბა, მიდი, შეუბერეო, – და მუშაობა გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც.

მეორე კედელზე ურბანისტული სურათი, თანამედროვე ქალაქი დავხატე, მართალი გითხრათ, შემზარავი; ეტყობა, ასე თუ ისე, ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ეს საყოველთაო ურბანიზაცია სასიკეთოს ბევრს არაფერს მოგვიტანს არც ჩვენ და არც კაცობრიობას. დიდი ცათამბჯენები იყო, ამ შენობებს შუა – რაღაც ჩატენილი ჩრდილები; ადამიანი იქ არ დამიხატავს, მასშტაბისთვისაც კი – მისთვის იქ ადგილი არ იყო... 10-15 წლის შემდეგ აშენდა ქალაქი ბრაზილია, ქალაქი, რომელშიც მერე ხალხმა ვერ იცხოვრა

და ვერ იმუშავა; თურმე მხატვრის ინტუიცია სხვა ყოფილა. ჰოდა, ამგვარ უკაცრიელ ქალაქს ჰგავდა მეორე კედელზე დახატულიც. სხვათა შორის, კარგად მიიღო დამკვეთმა ეს ნამუშევარიც.

– მე ცოტა სხვანაირად წარმოძღვრინა, მაგრამ ეგ უფრო ნაღდიო, – მითხრა.

– კი მაგრამ, მაინც როგორ წარმოგედგინა-მეთქი.

– მე უფრო ისეო, რაღაც... – რომანტიკულად უყურებდა ამ თემას.

მე არ დავეთანხმე. მაშინ უკვე ჩანდა, რომ ინდუსტრიალიზაცია არქიტექტურაში, როცა ქარხანაში კეთდება შენობათა ნაწილები და მერე ამ ნაწილებისაგან სახლებს აშენებენ, არაფერ კარგს არ მოიტანდა; მოიტანდა სტანდარტიზაციას იდეებში, სტანდარტიზაციას დამოკიდებულებებში და საყოველთაო ნიველირებას, ყოველგვარი ინდივიდუალობის ნიველირებას. მიდით ახლა აღმაშენებლის პროსპექტზე და ნახეთ – მე არ ვამბობ, რომ იმ ქუჩაზე ყველა სახლი შედევრია, მაგრამ ყველა თავისებურად თავისთვის აშენებდა სახლს, უნდოდა თავისი პატარა არქიტექტურული იდეის განხორციელება...

სიტყვა ისეთია, იტანს ბუნდოვანებას და განზოგადებას. სახვითი საშუალებები სხვა არის, იქ კონკრეტულობაა მთავარი. მაგალითად, მე პიესის გაცნობას რომ ვაპირებ, ჯერ ვკითხულობ რემარკებს; თუ დრამატურგს

კონკრეტულად აქვს აღწერილი სიტუაცია, ხშირად სადაც მოქმედება ხდება, მერე მე შეიძლება, ის პიესა წავიკითხო, ესე იგი, ის დრამატურგი კონკრეტულად ხედავს იმ სამყაროს, რაზედაც აქვს საუბარი. უკვე რემარკებში ჩანს, რომ 90% დრამატურგებისა ბუნდოვნად ხედავს გარემოსაც და პიროვნებებსაც, რომლებიც ჩვენთვის, თეატრის მხატვრებისთვის, არის მთავარი – რაღაც ხელმოსაკიდი მასალა უნდა გვქონდეს; მერე იწყება ფანტაზია, მერე იწყება შემოქმედება.

მივადექი მესამე კედელზე იმ ბებრების პორტრეტებს და, მახსოვს, მართლაც სიამოვნებით ვმუშაობდი; ეს თემა გავითავისე, შავ-თეთრ ფერებში გავაკეთე გუაშით. ძალიან მეტყველი ფრიზი გამოვიდა: ბებრების განსხვავებული სახეები მთელ კედელს მიუყვებოდა დაახლოებით 3-4 მეტრ სიგრძეზე, სიმაღლით იყო 60 სანტიმეტრი. სხვათა შორის, მარტო კაცები გამოვხატე, იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, ქალი ასაკში შესვლისას კარგავს სილამაზეს; კაცთა სახეებს ეტყობა ცხოვრების ტრაგიზმი, კაცისთვის ნაოჭებს სხვა მნიშვნელობა აქვს, ზოგი კიდევაც ლამაზდება თმის გაჭალარავებისას; ის კი არა, თმის გაცვენაც უხდება ზოგიერთს...

აი, ეს გავაკეთე და ძალიან დიდი წარმატებაც მოვიპოვე: ჩემი მაყურებლები და დამკვეთები აღტაცებულები დარჩნენ. ჩემი მონაყოლი უფრო ნათელი იქნება, თუ აღვნიშნავ, რა სიტუა-

ციაში ვმუშაობდი. გაშლილი იყო ღარიბული სტუდენტური სუფრა, მცირე პურმარილი: ძეხვი, ყველი, მწვანილი, არაყი... მაშინ გლახური არაყი იყიდებოდა, ღირდა მანეთი და სამოცდაათი კაპიკი – ყველაზე იაფი არაყი. გურამი და ვაჟა დროს ატარებდნენ, მე კი ვხატავდი – ხუმრობა-ლაზღანდარობაში დაინატა ეს სამი კედელი; დიდი არც ფიქრი დასჭირვებია და არც შესრულება გამჭირვებია, ელვისებური სისწრაფით გაკეთდა. ისინი იხსნენ, სვამდნენ, მე ცოტა ხნით ჩამოვჯდებოდი, გადავკრავდი ჩემსას და განვაგრძობდი საქმეს.

დარჩა გასაკეთებელი ჩემი, მეოთხე კედელი. მაშინ ახალი გამოქონილი იყო ჩვენში მეოცე საუკუნის დასაწყისის ფრანგი მხატვრების შემოქმედება – რეპროდუქციებმა, ძველმა გამოცემებმა იწყო ჩვენამდე მოსვლა. მე ვიყავი გატაცებული მაშინ მატისით, ჰოდა, ჩემს კედელზე გავაკეთე ასეთი მოტივი: ხეები და ქალები რაღაც სივრცეში... სიბრტყობრივი ფერწერა იყო, რიტმში დაწყობილი ქალები და ხეები სამი თარაზული ზოლის – ცის, ზღვისა და მიწის – ფონზე, შავი, მწვანე და თეთრი – 3-4 ფერში – მაშინ შემოდიოდა „მკაცრი სტილი“, ფერადოვნება უგულვებელყოფილი იყო – ძალიან თავშეკავებული იყო ფერში და ლაკონური – ფორმით.

გურამმა თქვა:

– მხატვრები მაინც ესთეტიკის ხართ, უბედურებებს და ტკივილებს ვერ

ხედავთ, თქვენ ვარდებს უყურებთ და ქალებს (ცოტა უფრო უხეშად თქვა: – თქვენ ტრ...ბის მეტი არაფერი გაინტერესებთ).

გურამი მძაფრი იყო ყველაფერში – შემოქმედებაშიც, ლაპარაკშიც... ძალიან მწვავე.

მოკლედ, დავასრულე კედლების მოხატვა, დაახლოებით კვირანახევარი გაგრძელდა ეს ჩვენი „ფიესტა“ და ეს კვირანახევრის ქეიფიც ბოლოს დიდი ქეიფით დავაგვირგვინეთ.

– აი, ახლა სამუშაო სიტუაცია გამიჩნდა, – თქვა გურამმა, – აიბარგეთ ყველანი აქედან; ახლა უნდა ვიყო ამ ოთახში და ვწერო, გარეთ გამსვლელი არა ვარო.

გავიდა რაღაც ხანი, არცთუ ისე დიდი, და გურამი დაიკარგა. გურამმა იცოდა დაკარგვა – კარგა ხანს აღარ გამოჩნდებოდა, არავის ნახავდა – ან ჩაიკეტებოდა შინ, ან სადღაც წავიდოდა – მოსკოვში თუ სხვაგან. ჩვენ ყოველდღე მზად ვიყავით, ერთად ვყოფილიყავით, ამისათვის ყველანაირი საქმე, ყველანაირი გაჭირვება გადაღებული იყო ზეგისთვის, მაზეგისთვის, ოლონდ ერთად ვყოფილიყავით; გურამს კი შეეძლო, ორი-სამი თვე მოწყვეტილიყო. სხვათა შორის, ისე შეგვაჩვია ამ ამბავს, რომ არც ვკითხულობდით, სად იყო. მერე გამოჩნდებოდა ახალ მთვარესავით, დატრიალდებოდა, აქეთ-იქით, მისვლა-მოსვლა, ქეიფი, კამათი... საოცარი დრო იყო: ყოველდღე რაღაც ახალ ინფორმაციას ვლებულობდით, რაღაც

იდეები იბადებოდა – 50-იანი წლების მიწურულია, ჰოდა, სალაპარაკო, საკამათო და საჩხუბარი არ გველეოდა. ამას ხომ ყველაფერს გადახარშვა უნდოდა, მერე რაღაცნაირად ვლინდებოდა ჩვენს ნამუშევრებში – თუნდაც ჩემი ნამუშევრები აიღეთ იმ პერიოდისა, თუნდაც გურამისა, ასე თუ ისე, ხომ ახალი პროზა იყო. მაშინ მახსოვს, ჰემინგუეი გაჩნდა. ჰემინგუეი იყო რაღაც აღმოჩენა, მერე კი მოდური გახდა – ყველა ოჯახში მისი პორტრეტი ეკიდა. გამომცემლობა „ვსემირნაია ლიტერატურას“ მიერ გამოცემული მისი რომანების: „მშვიდობით, იარაღო!“ და „ფიესტა“ – 3-4 ეგზემპლარი იყო გადარჩენილი თბილისში და ხელიდან ხელში გადადიოდა. იმავე გამომცემლობამ (მაშინ გორკომ დიდი საქმე გააკეთა ამ გამომცემლობის დაარსებით) გამოუშვა დოს პასოსის რომანი „აშშ“, – ქრონიკა იყო საოცარი – ახალი ფორმა ჰქონდა, შინაარსზე უკვე აღარ ვლაპარაკობ... იყო ლუი სელინის, ჩვენგან დაწყვეილი ავტორის, რომანი „მოგზაურობა ღამის პირას“. ეს საოცარი რომანია, დღესაც ნაკლებად ცნობილი. ბევრი რამ საინტერესო გამოჩნდა ჩვენს ცხოვრებაში – გარდატეხის ეპოქა იყო – გაჩნდა, სხვათა შორის, „მკაცრი სტილი“ მხატვრობაში, მწერლობაში კი – დასავლეთის დიდი მწერლების გავლენა. გურამს აქვს ასეთი წყვეტილი დიალოგი, ტელეგრაფული სტილი, რაც ჰემინგუეის ჰქონდა დიალოგებში. ბევრი რამ შემოვიდა ახალი, რასაც ჩვენ-

ზე არ შეეძლო, არ ემოქმედა. ასევე, მხატვრობაში გავცანით მატისს, სეზანს, პიკასოს... ადრე ვინ იცოდა სეზანი – ვიცოდით რეპინი და სურიკოვი, „პერედვიჟნიკები“ და აკადემიური სტილი. ამ პერიოდში კი აღინიშნა რაღაც მიგნებები, სიახლეები.

ჰო, ამ ფრესკების ამბავს ვცვებოდი. დაიკარგა გურამი ერთი სამი თვე. თურმე ჩამოსულა მისი ოჯახი – დედამისი, საყვარელი ქალი, არაჩვეულებრივი, ძია მიშა, მარინე – გურამის და (ის ჩვენზე უმცროსი იყო 3-4 წლით) და გურამის მორიგ „ვმზრლკო“-ს – ზუსტი სიტყვაა – ერთ-ერთი მისი გიჟობა იყო ესა, დიდად არც კი გაუკვირვებია ისინი. ისარგებლეს გურამის მორიგი დაკარგვით, არ ვიცი – გავრაში, არ ვიცი მოსკოვში; მოკლედ, მოუყვანიათ მღებავი და....

ეს იყო ჩემი პირველი ფრესკა და ჩემი პირველი მარცხი, ყველაფერი ჩამოუფხეკიათ და ლამაზად, კარგად გადაუღებავთ ჩვენი კვირანახევრის თუ ორი კვირის ნაშრომი. როგორ შეხვდა ამ ამბავს გურამი, არ ვიცი. ეს მის ოჯახს ეხებოდა და მე მორიდებითაც კი არ მიკითხავს, ალბათ დიდი კონფლიქტი ჰქონდა შინ გურამს, მარტო ამ თემაზე კი არა... ჩემი ვარაუდით, გურამის საქციელი ხშირად გაუგებარი და მიუღებელი იყო მისი ოჯახისთვის და, საერთოდ, გურამისთვისაც... გაიგონებდით: – „რა გააწყალა, ბიჭო, გული, გამოსულა გურამი და მთავრობის სახლის წინ თოფი უსვრია!“, ან

„– რა არის, ბიჭო, გაგიჟებულა გურამი იმ დღეს ვნახე, შავი რაღაც ნაჭერი ჰქონდა წაკრული!“ ყველაზე უბრალო ახსნა გურამის საქციელისა ეს არის, – რაღაცის წინააღმდეგი იყო... იმდენი რამ იყო მაშინ ისეთი, რის წინააღმდეგაც უნდა ყოფილიყავი, – ნორმალური თუ იყავი, ნიჭიერი თუ იყავი, პოტენციით სავსე თუ იყავი – პროტესტანტი უნდა ყოფილიყავი ბუნებით და მაქსიმალისტი; პროტესტის ფორმა იყო მისი გამომხატობები, რა თქმა უნდა, ბავშვური, მიაშიტური...

იცით, მაშინ ამდენი თუ დაწერა, ამდენის შემქმნელი თუ იყო, არ ვიცოდით. ჯერ ერთი, არ უყვარდა ლაპარაკი, რაზე მუშაობდა; მეორეც, არ იცოდა შემოთავაზება – აი, ეს გავაკეთე და წაიკითხეო. ახლა ვხვდებით ყველანი, – მართო მე კი არა, ოჯახის წევრებიც, – გურამს სხვა დროის შეგრძნება ჰქონდა, რაღაც სხვა პერსპექტივა... მე, მაგალითად, ბუნებით ისეთი ვარ, რომ რამეს როცა გავაკეთებ, სულ მინდა, სხვას ვაჩვენო: ნახე რა! მოგწონს? თქვი, რა! მსგავსი რამ გურამს არ ახასიათებდა, არასოდეს იტყოდა, ვთქვათ, მე ეს გავაკეთე, ან ის გავაკეთეო. თურმე იმდენი აქვს დაწერილი – პიესები, მოთხრობები – არაჩვეულებრივი რაოდენობა. როდის მოასწრო, არ ვიცი; მართალი რომ ვითხრათ, ბოლო ორი წელიწადი რაღაცნაირად მიაყოლა ეს დაკარგვები ერთმანეთს. ასე რომ, ამ პერიოდში, შესაძლოა, სულ რამდენჯერმე ვნახე. საუბედუროდ, არ მახსოვს,

სიკვდილის წინ როდის ვნახე უკანასკნელად...

მე მხატვარი ვარ და მინდა აღვწერო, როგორი იყო: ოდნავ ქერა, მოკლე ხუჭუჭი თმა ჰქონდა, თეთრი სახე, ყოველთვის მბრწყინავი თვალები. მის გარეგნობაშიც იყო ძალის, სიძლიერის გამომხატველი რაღაცა – განიერი ბეჭებით, ძლიერი ტანით... თავის „ბათინკებით“, თავის ვიწრო შარვლით – აარჩვეულებრივი გარეგნობისა იყო, ნამდვილი ქართველური იერი ჰქონდა... მეგობრებ-ამხანაგებთან ურთიერთობაში ყველაფრის მოთავე ის იყო, ნამდვილი ლიდერი: იქ წავიდეთ, აქ წამოვიდეთ; ეს ვქნათ, ის ვქნათ; ამაზე ვილაპარაკოთ, იმაზე ვილაპარაკოთ... აი, ასეთი იყო, სიცოცხლით სავსე.

გურამთან ბოლო შეხვედრები, სხვათა შორის, ჩემთვის რაღაცნაირად დამამორებელი იყო, რითი იცით? ახლა ვიხენებ... ადრეც ვთქვი, ზუსტად არ მახსოვს, ბოლოს როდის შევხვდი, მაგრამ ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა იყო გიორგი შენგელაიას ოჯახი. ეს ის პერიოდია, გიორგის ფიროსმანზე ფილმი ჯერ რომ არ გადაუღია. არ მახსოვს, გიორგის დაბადების დღე იყო თუ მისი მეუღლისა – სოფიკოსი, მოულოდნელად გურამი მოვიდა. ეცვა შავი პიჯაკი, პერანგი – ბოლომდე შეკრული, ნორმალური ფეხსაცმელი (სხვა დროს სულ „ბათინკები“ ეცვა ხოლმე); ძალიან წესიერად იყო ჩაცმული და იმდენად უცნაური იყო ჩემთვის გურამის ეს ფერისცვალება, რომ რაღაც სხვა გახ-

და ჩემთვის. გურამი, რომელსაც ადრე ვიცნობდი, – დახეულ კურტაკში, დიდ „ბათინკებში“, პერანგის გადაღედილი საყელოთი – უფრო ორიგინალური იყო და მივხვდი, რომ ასე „წესიერად“ გამოწყობილი გურამი ცოტა ფსევდოსერიოზული გახდა, მისი ბუნების საწინააღმდეგო არეალში მოჰყვა. მე დავინახე ასეთი გარეგნული ცვლილება, რაც მეხამუშა. მანსოვს, რაღაც ლაპარაკიც დაუწყე, მაგრამ არ გამოგვივიდა საუბარი; ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მაგრძნობინებდა, რომ მან რაღაც საიდუმლო იცის, და რომ უკვე შენს ღონეზე აღარ უნდა გელაპარაკოს... ვერ ვხსნი, ახლაც ვერ ვხვდები ამას, არ ვიცი, როგორ ვთქვა... მიზეზი, ალბათ, ჰქონდა, იმდენი რამ დაწერა იმ დროისათვის, მე ვერ ჩავწვდებოდი ყველაფერს...

მერე, როცა გურამი ასე მოულოდნელად წავიდა ცხოვრებიდან, მისტიკური აზრი გამიჩნდა – აი, ის შავი კოსტუმი რომ ეცვა, რაღაც ტრაგიზმის შეგრძნება თუ ტრაგიკულის მოლოდინი გაჩნდა მის ცხოვრებაში... შესაძლოა, მე მაშინ მთლად ვერ გავიაზრე, ახლა ასე ვხსნი. მე ასე მგონია, დღეს რომ ლიტერატურას სერიოზულად მოჰკიდო ხელი, ან ფერწერას, ან მუსიკას – თუ მართლა სერიოზულად უყურებ ამ ქვეყანას, სერიოზულად აღიქვამ და სერიოზულ ანალიზს უკეთებ, ალბათ, ორგანულად და ბუნებრივად მიხვალ ტრაგიზმამდე შემოქმედებაშიც. ეს გურამის ნაწარმოებებშიც ჩანს... და,

ალბათ, იმ ტრაგიზმის რაღაც ნიშნები გარეგნულ იერსაც დაემთხვა – შავ კოსტუმს. როცა მისი დაღუპვის ამბავი გავიგე, მისი წასვლა იმ ჩემს ბოლო შთაბეჭდილებას დაუკავშირე – რა ვიცი, მისტიკური, რაღაც მეტაფიზიკური მომენტი იყო – ვფიქრობდი, შესაძლოა, გარდაუვალიც იყო მისი ასეთი ბოლო...

არ დამავიწყდება კიდევ სხვა, ისიც ჩვენი ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა. მოსკოვში შემხვდა, მეტროში, სულ რომ არ მოველოდი, შემთხვევით – ერთ-ერთ სადგურში მოსკოვის ცენტრში, აღარ მანსოვს, რომელში. მოგეხსენებათ, როგორი მოძრაობაა იქ, პიკის საათი იყო, საგიჟეთი. სკამები კი დგას, მაგრამ არასდროს არავინ ზის იმ სკამებზე, გარბიან შეშლილებივით აქეთ-იქით. და ერთ სკამზე გაუნძრევლად იჯდა გურამი, შავი ნაჭერი ჰქონდა თავზე წაკრული. მე ისე წამოვკედი თბილისიდან, ვიცოდი, რომ დაკარგული იყო – შესაძლოა, შინ იჯდა, ქალი ჰყავდა ვილაცა, იმასთან იყო გადაკარგული, – გატაცებები ჰქონდა.. და უცებ მოსკოვში დავინახე – უზარმაზარი მასების მოძრაობაში მოულოდნელად ერთი შავთავსახვევიანი კაცი ზის უძრავად... რა კონტრასტი იყო!

– გურამ, რას შერები, რას აკეთებ-მეთქი?

– რა ვიცი, ვარ და....

– რას ზინარ, ელოდები ვინმეს?

– არა, ბიჭო, დაჯექი ცოტა ხანს

– მოსკოვი აი ეს არის. ნახე, ნახე, რა ხდება, ბიჭო! ნახე, როგორ გარბიან,

გაგიჟდები; შეხედე, რა სისწრაფით მიმორბიან... აი, რაღაც ასოციაციაა იმ თემასთან – დიდი მასების ბრძოლის თემა, კედელზე რომ დამიხატე; ნახე, ამოდენა მასა როგორ გარბის-გამორბის, რა ხდება, რა მოძრაობაა! აი, ნამდვილი ბროუნის მოძრაობა, ფიზიკაში რომ გვისწავლია; აი, მე შემძლია, როგორც ზღვის ნაპირზე ზიხარ და ტალღების მიმოქცევას დაუსრულებლად უყურებ, აი ასე, ვიჯდე და ვუყურო. მე თვითონ მიკვირს ხოლმე; შენ რომ არ შემხვედროდი, ერთ საათს კიდევ ვიქნებოდი აქ...

რა ვიცი, რა იყო ეს, ალბათ, რაღაცის ძიება, რაღაცის მიგნების გზა, მე ასე მგონია. მოუსვენარი, ძალიან მძაფრი კაცი იყო, ძალიან. სხვათა შორის, თითქოს გახსნილი იყო ჩვენთან კა-

მათში, განყენებულ თემებზე საუბარში, მაგრამ რაც პირადად ეხებოდა, მეტად გულდახურული იყო – ჩვენთან, უახლოეს მეგობრებთანაც კი. უაღრესად რთული პიროვნება იყო, მისი ნაწარმოებებიდანაც ჩანს. რა ვიცი, დღეს შეიძლება მისი ნაწარმოებები სხვანაირად შეაფასოს ახალგაზრდა, განათლებულმა და ფართო ხედვის კაცმა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროისათვის ეს ლიტერატურა ახალი, უჩვეულო, მძაფრი, დიდი რამის მთქმელი იყო, ასახავდა იმ დიდ პროცესებს, რაც ჩვენს მაშინდელ ცხოვრებაში აღინიშნებოდა, აირეკლა იმ თემებშიც, მე რომ შემომთავაზა დასახატად.

იმ პირველი ფრესკის წაშლის შემდეგ ჩემს ზოგიერთ სხვა ფრესკასაც იგივე ბედი ეწია. ამაზე – სხვა დროს.

ლალი კახიანი

სვანები

– უტყვი სვანები,
სვანურ კოშკივით დაყუდებულნი, მეციხოვნენი
ზანტად მარები,
კლდის ნასხლეტები, სულით კაჟები,
მიამიტები, გულალალები,
პირქუშები და ამაყები,
მთის ნაშალები,
წარმართ-დალები, ამორძალები,
მთის ბროლისგან ნათალები,
ჩაუქ ვაჟკაცთა მფარველები,
გრძნეულები, იდუმალები,
ნადირ-ფრინველნი მათი ყიჟინით
დაფეთებულნი, იკრი-ბოკროში შეყუჟულები
სულთმობრძავები.
ბილიკები – მთის დამრეცებზე
ჩანლართული ორნამენტები.
ხევ-ხუეებში ჩაკარგული ნატერფალები.
სანლიანები, ხერგიანები,
მარგიანები, ფალიანები, კუშტად მარები,
მთის არწივები, მიამიტები
მწვერვალებთან მოპაექრენი,
სულით კაჟები ჩემი სვანები.

კაი-ყმა

კუძღვნი გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

არიან კაცები ლომგულები, ბურჯები,
 ურჩები, ჯომარდები, ნაღდები,
 ცხოვრებას დუელში იწვევენ მუდამ
 და გაუნარჯავი დარჩენიათ თუ რამ
 ...წამშობით ათვლილ მაჯის არითმias,
 სიცოცხლის ზანტად ცოხნას,
 ბუმბულის ლეიბზე სიკვდილთან ჩახუტებას,
 კაცურად ერთი ერთზე ყოფნა,
 სტიქიის უსწორო ჭიდილში უჯობთ,
 შენსავით ურჩევნიათ, გურამ!
 გაირჯა ვისთვისო, საკითხავია?
 რატომ და რისთვის,
 კაი-ყმობისთვის, უფლისთვის, ძმისთვის....

ზოგნი კი არიან კაცები-კნაჭები,
 სულით ნამცეცები.
 მოსაშობად გამზადებულ კლანჭებით,
 ნაირ-ნაირ ჰალსტუხების პრანჭვებით,
 მამებლურ მანჭვა-გრეხვით,
 სკუპ-სკუპებით ავლილ-ჩავლილთ
 კიბეების მარშებით.
 სათავისოდ დაგეშილი მწევარივით მარდები .
 ცულლუტები, თაღლითები, ცლანგები.
 კაცუნები, ჯაყოები, კვაჭები.
 ლემის სუნით გამაძლარი გვაჯები.

...მაგრამ, ხომ არიან, კაცები-ლომგულები,
 ჯომარდები, ნაღდები და სიკვდილსაც
 დუელში იწვევენ მუდამ
 და დაუნარჯავი დარჩენიათ თუ-რამ,
 ცხოვრების სიამის მოგდებულ ხურდას,
 იქედნურ ღიმილით, სტიქიის უსწორო
 ჭიდილი უჯობთ,
 შენსავით ურჩევნიათ, გურამ!...

ისტორია იბი, დიდებული ტაძარია!....

ჩვენ ვართ ბედნიერი ერი, რადგან არ ვივწყებთ წარსულს, პატივს მივაგებთ წინაპართა ხსოვნას, ისტორიას! კარგად გვესმის დიდი ილიას ღარიგება-შეგონებანი.... „დავიწყება ისტორიისა, თავის წარსულის და ყოფილი ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისგან – მომასწავლებელია სულით და ხოცით მოშლის, დარღვევის და მთლად წარწყმედისა.. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავალისა“.

ეს სტატია მცირე ნაწილია მშობლიური კუთხის წარმოჩენის იმ დიდი ისტორიული წარსულის ფონზე, რაც უხვად შეუფასებელ განძადაა განფენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ბრილი – ეს პატარა ისტორიული სოფელი ქართლში, მწვანეში ჩაფლული პატარა სამოთხე, განთქმული ბროლის წყაროებით, რამაც ალაფრთოვანა გიორგი ლეონიძე და უკვდავების წყაროდაც კი მონათლა. მუხრან მაჭავარიანის „მოპატიჟება“: „მოდით შეხედეთ ბრილის წყაროებს, ლამაზი მთის ქვეშ როგორ უვლიათ!...“ არც ინტელიგენციის წარმომადგენელთა ყურადღების მიღმა დარჩენილა სოფ. ბრილი!...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ყოველკვირეული გაზეთის „კვალი“-ს დაარსება სწორედ ბრილში გადაწყვიტა. მსვლელობა კი შემდეგნაირი იყო...

გ.წერეთელი დაახლოებული იყო თუმანიშვილების ოჯახთან. მიხ. თუმანიშვილმა მოიწონა მისი „მეზავრის წიგნები“ და შემდგომი მუშაობისთვის წახალისა კიდევ ახალგაზრდა მწერალი. საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მიზანთა და ინტერესთა ერთიანობა ბოლოს საწინდარი გახდა იმისა, რომ ანასტასია თუმანიშვილი და გიორგი წერეთელი შეუღლდნენ. ქორწინების შემდეგ ახალდაქორწინებულთა პატივსაცემად ნ. დიასამიძემ სოფელ ბრილში (გორის მაზრა) გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრნენ გორის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ შეხვედრის შესახებ უფრო ვრცელ მოგონებას გვაწვდის ცნობილი მოღვაწე მიხეილ ხელთუბნელი: „1891 წლის ზაფხულის ბოლოს გიორგიმ და ანასტასიამ ჯვარი დაიწერეს ხელთუბნის ეკლესიაში. ამის შემდეგ ისინი გიორგის სოფლის გორისისკენ გაემართნენ, საჩხერის ახლო. გზად მათ შეიარეს სოფელ ბრილში – ხაშურსა და სურამს შუა – ნიკო დიასამიძისას, რომელიც ანასტასიას ნათესავი იყო. ნიკო თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა არა მარტო გორში, არამედ თბილისშიც. შეძლებული მემამულე არაფერს არ ზოგავდა საზოგადო საქმიანობისათვის, მონაწილეობდა გორში ქართული თეატრის მოწყობასა და სხვა ადგილობრივ საზოგადო საქმეებში, იძლეოდა ფულს სალიტერატურო გამოცემისათვის, ხოლო შემდეგ მან თავისი

ქონების თვალსაჩინო ნაწილი საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებს უანდერძა. ნიკო დიასამიძე უახლოესი მეგობარი იყო აკაკი წერეთლისა (რომელმაც 1897 წელს მას ლექსი უძღვნა) და ვანო მაჩაბლისა. თბილისში მის ბინაზე იმართებოდა სალიტერატურო საღამოები (ორშაბათობით), რომლებზედაც პოეტები თავის ახალ ნაწარმოებს კითხულობდნენ... ანასტასიასა და გიორგის, საზოგადო მოღვაწეობის პატივისცემის აღსანიშნავად თავის მამულში შესანიშნავი ნადიმი გაუმართა გორის ინტელიგენციის მონაწილეობით. ამ ნადიმზე მყოფი სოფრომ მაგლობლიშვილი მოგვითხრობს, რომ ნიკოს უნდოდა ეს შემთხვევა გამოეყენებინა, რათა „ჯეჯვილს“ დახმარებოდა, მაგრამ ს. მაგლობლიშვილს თავის მოგონებებში ის არ უთქვამს, რაც მთავარი იყო, სახელდობრ: სწორედ აქ ბრილში ერთი წლის შემდეგ 1891 წლის 6(18) სექტემბერს შეკრებილმა თბილისის და გორის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს საფუძველი ჩაეყარათ ახალი ყოველკვირეული გაზეთის „კვალისთვის“. სტუმრებმა ხელი მოაწერეს შემოწირულობის სიას – ვისაც რა შეეძლო 100 – 200 მანეთობით. ჩვენამდე მოღწეული შავად დაწერილი ოქმი გვიჩვენებს, რომ გამომცემლად დასახელებული იყო გიორგი წერეთელი, რომელსაც ყველა ნიშნის მიხედვით ეკუთვნოდა ამ საქმის ინიციატივა, რელაქტორად – ალექსი ჭიჭინაძე“. როდესაც ანასტასიამ „მიიღო რა წერა-კითხვის საზოგადოების დაპირება დახმარების გაწევაზე, ანასტასიამ იყიდა თავის

სახსრებით მიწის ნაკვეთი მეჯვრისხევის გზის პირად. ამ საქმეში მას ნიკო დიასამიძე დაეხმარა“. ნიკო იყო ინიციატივისა და პროგრესის მომხრე ადამიანი, თუმცა მას დიდი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ კარგად უღებდა ალლოს ყველა სიახლეს და ყველაფერს აკეთებდა იმ სიახლის დასამკვიდრებლად. ქართული კულტურისა და ლიტერატურის მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის სათავადაზნაურო ბანკის გარშემო წარმოქმნილი დავის ამბავი, რის გამოც ვანომ ბანკი დატოვა. საზოგადოება ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ნიკო დიასამიძე მაჩაბლის მხარეზე აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, დიასამიძეების ოჯახს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა ილიასთან. შესაძლებელია, ამის მიზეზი იყო ისიც, რომ ილიას სიმამრს თადეოზ გურამიშვილს მეორე ცოლად ჰყავდა ნიკოს და მარიამი. საერთოდ ვანოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკო დიასამიძესთან. სწორედ ნიკოს ოჯახში გაიცინო მან თავისი მომავალი მეუღლე ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი. იმ ხანებში ვანო მაჩაბელი „მაკბეტზე“ მუშაობდა და ამ საქმით გატაცებულს ეზარებოდა კიდევ დიასამიძეებთან წასვლა. ვ. ჭელიძე წერს „მაჩაბელმა საათს დახედა და მხოლოდ ეხლა გაანხენდა, რომ სადილად ნიკო დიასამიძესთან იყო დაპატიუებული. მუშაობაში გართულმა, ერთი პირობა თითქმის გადაიფიქრა კიდევ წასვლა, მაგრამ საბოლოოდ მეგობრის წყენას მოერიდა, მით უმეტეს კარგად იცოდა დიასამიძის ფიცხი ხასიათი“. და ეს „ფიცხი ხასიათის“ კაცი

იყო ნამდვილი მეგობარი და ვისაც გვერდში დაუდგებოდა, ბოლომდე უერთგულებდა, ბოლომდე აგრძნობინებდა თავდადებისა და სულიერი სიფაქიზის მომხიბვლელობას. და მაინც, ნიკო დიასამიძე იყო ერის ბუღბუღის – აკაკი წერეთლის უპირველესი მეგობარი. როგორც ვთქვით, ნიკოს კარგი სახლები ჰქონდა ბრილში, გორსა და თბილისში. აქ ჩამოსული აკაკი, ძირითადად, სწორედ ნიკოს სახლში ცხოვრობდა ხოლმე, „სადაც მასპინძლის ცოლი და შვილები დიდის სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ“. კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი. ალ. დიასამიძე იგონებს: „1845 წელს კრწანისის ბრძოლის ასი წლის თავზე აკაკი იმყოფებოდა სოფ. ბრილში ნ. დიასამიძის ოჯახში. ერთ დილას ადგა, მოუხმო ნ. დიასამიძის შვილს, მიხეილს და უთხრა: „აბა მოამზადე ქალაღი, ძეღანი, აილე კალამი ხელში და რაც გითხრა ჩაიწერეო. იმ დილით დაწერა სწორედ ლექსი „11 ენკენისთვე“, კრწანისის ბრძოლის შესახებ. აკაკი უკარნახებდა, მიხეილი კი სწერდა. „კარნახის დროს, – მოგვითხრობს მიხეილ დიასამიძე: – ავიხედე და ვხედავ, პოეტი ბოლთასა სცემს, თმები აბურბუნული აქვს. თვალები უბრწყინავს. ეს იყო ნამდვილი პოეტური შთაგონებით აღსავსე სახე. ჩემზე ისე იმოქმედა, რომ წერის დროს ვჩერდებოდი და მეშვებოდა. აკაკიმ შენიშნა კიდევ: „ბიჭო რა დაგმართნია,

სწერეო“. ნიკო იყო აკაკის ნაწარმოების გამომცემელიც. კერძოდ, როგორც ცნობილია, მან გამოსცა აკაკის „თამარ ცბიერი“. ამ გამოცემის გამო 1876 წლის მარტის შუა რიცხვებში გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნდა დავით სოსლანის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, რის საპასუხოდაც 19 მარტს გაზეთ „ივერიაში“ აკაკიმ გამოაქვეყნა „მცირე რამ შენიშვნა“, სადაც იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ნ. დიასამიძის დამსახურებას მისი ნაწარმოებების გამოცემის გამო: „გამოვიდა თუ არა ჩემი ავბედითი თხზულება „თამარ ცბიერი“, ზოგიერთებმა რუსულ გაზეთებში თანვე მოაყოლეს კილვა, რომ საკადრის ქალაღზე არ დაუბეჭდიან და რიგიანად არ გამოუციათო. მე კი ჩემის მხრით გულითად მადლობას ვწირავ ბატონ ნ. დიასამიძეს, როგორც გამომცემს“. 1884 წელს ბრილში ეგზეკუცია ჩააყენეს, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა გლეხთა მდგომარეობა. ამას დაერთო ისიც, რომ სოფლის მოსახლეობას გადაუკეტეს სასძელი წყარო. ეს ის წყაროა, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოხიბლა ქართული პოეზიის ბერძენა გიორგი ლეონიძე. პოეტმა თავისი აღფრთოვანება გამოხატა უმშვენიერეს ლექსში „ბრილის წყარო“. „ბრილი, ბროლი დატბორილი, უშრეტელი ვერცხლის წყარო, წმინდა, როგორც ხალხის გული სადღაც ქართლში მიცინცხალობს“

პროფესორი ხათუნა შტააძე

„პაპ, ღრონი, ღრონი...“

*ვეძღვნი მრავალი ჩვენგანის
უსაყვარლეს მოსწავლეთა სასახლეს*



**მეფისნაცვლის სასახლე და
რუსთაველის პროსპექტი მე-19
საუკუნის ბოლოს, დღევანდელი
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე**

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ამბებიდან მინდა დავიწყო მოგონება. ახლა კარგად აღარ მახსოვს წელიწადის რა დრო იდგა, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. დილაადრიან ჩემი თანაკლასელი გურამ რჩეულიშვილი მოვარდა და თვალცრემლიანმა მითხრა: დეიდა ირინეს და მის ქალიშვილს ლალი მიქელაძეს ასახლებენ საქართველოდან და მოდი ნავთლულის სადგურში წავიდეთ, იქნებ როგორმე ვნახოთო.

მაშინვე მარჯანიშვილის ქუჩა ავირბინეთ, ყოფილ კალინინის ქუჩაზე, რუსული ეკლესიის წინ ტრამვაის შევახტით და ნავთლულისკენ გავწვიეთ. როგორც იქნა მივრახრახდით ნავთლუ-

ლის სადგურთან, მაგრამ ეშელონამდე, რომელიც მოშორებით ჩამოეყენებინათ, ვინ მიგიშვებდა. სადგურს ალყა ჰქონდა შემორტყმული, მილიციის რაზმები რუსეთიდან ჩამოეყვანათ, ამგვარად ჩაცმულებს პირველად ვხედავდით: შავი მაზარები ეცვათ, შავი ბოხოხები ეხურათ, ისე უბღვერდნენ იქ შეკრებილ აბღავლებულ მოხუცებსა თუ

ბავშვებს, რომ გული მოგიკვდებოდათ. რა თქმა უნდა, დიდი მონდომების მიუხედავად, თვალიც კი ვერ მოგვკარით, ვისაც ვეძებდით და გულღამძიმებულები უკან გამოგბრუნდით. შინ რომ დაგბრუნდი, აქაც სამწუხარო ამბავი დამახვედრა დედაჩემმა, თურმე ჩემი მამიდაშვილიც თავის ერთადერთ ვაჟთან და ომის ინვალიდ ქმართან ერთად იმ შორეულ, ცხრა მთას იქით გზას გაუყენეს. ყველა, მაშინ ამ უბედურებაში იმიტომ აღმოჩნდა, რომ ან ქმარი, ან შვილი, ანდა უახლოესი ნათესავი გერმანელებთან ტყვეობაში ყოფილა. ორიოდე წლის შემდეგ კი, როცა ი. სტალინი გარდაიცვალა, ყველანი დააბრუნეს, მაგრამ ტყუილუბრალოდ ხომ ამდენი ჭირვარამი გადაიტანეს...

... მანამდე კი თბილისის მე-19 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდით. მეხუთე-მეექვსე კლასში ვიქნებოდით, როცა

კლასის დამრიგებლად ისტორიის მასწავლებელი ევა გურგენიძე დაგვინიშნეს. ომისშემდგომი პერიოდი იყო, ყველას უჭირდა, ჩვენს მასწავლებლებსაც. ქალბატონი ევა თურმე შეთავსებით მოსწავლეთა სასახლეშიც მუშაობდა და აი, ერთხელაც რამდენიმე ბიჭი: კარლო არსენაშვილი, დათო ჯავახიშვილი, გურამ რჩეულიშვილი, გოგი ცინცაძე, ჯიმშერ მუჯირი სასახლეში მიგვიყვანა მხარეთმცოდნეობის კაბინეტში, ზემოთ მოხსენიებულ ირინე მიქელაძესთან, რომელსაც რატომღაც ყველა დეიდა ირინეს ეძახდა. მან ძალიან გულთბილად მიგვილო, დაგვათვალისწინებინა სასახლე, წრეში გაგვაერთიანა და გვითხრა, თუ რომელ დღეებში უნდა გვევლო სასახლეში.



გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი ცინცაძე

და დაიწყო ხალისიანი, საინტერესო დღეები. რა დამავიწყებს გასვლას

ქალაქგარეთ – მცხეთაში, სამშვილდეში. ახლაც თვალწინ მიდგას ის სიმშვენიერე და ძეგლები, რომლებიც იმ გაზაფხულზე მოვინახულეთ. ჩვენთან ერთად სხვა სკოლელებიც იყვნენ, მათ შორის გოგონებიც, რომლებსაც რაღაც მორიდებით ვუყურებდით. დადგა საუზმობის დრო. ჩვენ ერთ ხესთან მოლზე, მცირე საგზალი ამოვალაგეთ და საუზმობას ვაპირებდით, როცა დეიდა ირინე მოგვიახლოვდა და სხვებს რომ არ გაეგონათ, გვითხრა: ბიჭებო, როცა ექსკურსიაზე თუ ლაშქრობაში ხართ, განცალკევება ყოვლად დაუშვებელია, ყველა ერთად უნდა ვიყოთო. აი ამდენი ხანი გავიდა და ახლაც მახსოვს ეს სიტყვები. ამის შემდეგ ასეთი რამ აღარასოდეს აღარ დაგვმართნია.

რამდენიმე წლის შემდეგ გურამ რჩეულიშვილი და დათო ჯავახიშვილი ალპინიზმის კაბინეტში ალექსანდრა ჯაფარიძესთან (პირველი ქართველი განთქმული მთასვლელი) და მზია ერისთავთან გადავიდნენ, ჩვენ კი დეიდა ირინესთან დავრჩით. ძალიან ბევრი საინტერესო ექსკურსია და ლაშქრობა გვქონდა, მაგრამ მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობა ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

... ივლისი იყო, დეიდა ირინემ მე და კარლო არსენაშვილი დაგვიბარა სასახლეში შეკრებაზე, სადაც ლაშქრობის სხვა მონაწილენი დევი ბერძენიშვილი (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), თამაზ ჭველიძე (ისტორიკოსი), ალექსანდრე სლოვინსკი

(საქ. სახალხო მხატვარი), მიხეილ მახვილაძე (კარდიოლოგი) გაგვაცნო. შემდეგ შემოგვიერთდნენ ნათია ამირეჯიბი და ლალი მიქელაძე. რამდენიმე დღეში რკინიგზის სადგურზე შევიკრიბეთ და მატარებლით ახალციხეში გავემგზავრეთ, უნდა გითხრათ, რომ მეც და სხვებიც, როცა ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე, მუდამ ტკბილად ვიგონებთ ამ მოგზაურობას. აბა, როგორ უნდა დაივიწყო ახალციხის რაბათი, იქ ნანახი ნამდვილი ქართული დარბაზი თავისი დედაბოძით, ეკლესიები, შემდეგ ვარძიაში გამგზავრება და გზად „ქაჯეთის ციხის“ – თმოგვის ციხის კედელზე ამოვარდნილი საოცრების ხილვა, ანდა თავად კლდეში ნაკვეთი სასწაული ქალაქი ვარძია. აქ ტურბაზაში დავბინავდით, დაგვხვდა ბატონი ნიკოლოზ (კოლია) ნათენაძე, აქაური მკვიდრი მესხი, რომელიც მთელი ათი დღის მანძილზე ჩვენი მეგზური და „განმანათლებელი“ იყო. აქედან წავვიყვანა საფარაში, კუმურდოში ტაძრების გასაცნობად, აქ ვნახე პირველად როგორ უნდა აველო ესტამპი. ეს ალიკა სლოვინსკის საქმე იყო, მთელი დღის განმავლობაში უნიკალურ ჩუქურთმებს ესტამპებს უღებდა და ჩვენ ვეშველებოდით.

აქვე ვარძიის მიდამოებში ვნახეთ უნიკალური დატერასებული ფართობები – ძველ მესხთა ნახელავები. აქ ერთი კურიოზიც შეგვემთხვა – თითქმის უკაცრიელ სოფელში სახლთან მოხუცებული კაცი იჯდა. მგონი მიშ-

იკო მახვილაძემ, რატომღაც რუსულად მიმართა – და ჰოი საოცრება – ეს მოხუცი უცებ ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა და მრისხანედ გვითხრა: „მე ქართველი ვარ, მესხი ვარ!“ – ახლაც ჩამესმის ამ მოხუცის ნათქვამი სიტყვები. აქედან ბატონმა კოლიამ მტკვრის პირას ერთ პატარა სოფელში გავატარა – თურმე იცოდა, რომ თუთის არაყსა ხდიდნენ. დამხვდურებმა ბატონი კოლია მიიწვიეს, მან ჩვენც დაგვრთო ნება თითო ჭიქა არაყი დაგვეჭაშნიკებინა, რა თქმა უნდა, ვიცულლუტეთ და რამდენიმე ჭიქა ჩუმად გადავკარით ერთი ყმაწვილი მესხის ხელშეწყობით. უკან ტურბაზისკენ რომ გამოვბრუნდით, უკვე საღამოვდებოდა, ბატონ კოლიას ავუტყვით მტკვარზე ფონით გავიდეთ, თორემ შორი გზაა და დაგვიღამდებო. ცოტაოდენი ჭოჭმანის შემდეგ ნაპირ-ნაპირ გაიარა ბატონმა კოლიამ, თავთხელი ადგილი შეარჩია და მტკვარში შევედით. ოჰ, რა თბილი და ანკარა იყო მტკვარი! წყალი წელამდე გვწვდებოდა, მალე მეორე ნაპირზე გავიდოდით, რომ წვილ-კივილი შემოგვესმა – თურმე დეილა ირინეს და ევა მასწავლებელს აივნიდან დაუნახავთ, როგორ გამოვდიოდით მტკვარში და შეშინებულები ჩვენსკენ გამოქცეულან, უკან ნათია და ლალიც მოჰყვებოდნენ. დეილა ირინე სირბილის დროსაც კი არ იშორებდა თვალთაგან დურბინდს. ჩვენ სიცილით ვიგუდებოდით და არაყგადახუხულები ყიჟინით მივადექით ნაპირს. ვაი, რა

დღეში ჩაგვეყარეს მასწავლებლებმა, განსაკუთრებით კოლია ნათენაძეს დაატყდა მეხი.

ვარძიდან ფეხით ბაკურიანისკენ წამოვედით. ღამე საძილე ტომრებში ცხრაწყაროზე გავათიეთ. აქ დავესწარი პირველად და, ალბათ, საბოლოოდაც მზის ამოსვლას – არ ვიცი როგორ უნდა აღწეროს კაცმა ის, რასაც იქ განიცდიდა ყველა ჩვენგანი! და აი ბაკურიანიც, იქიდან „კუკუშკით“ ბორჯომში ჩამოვედით და სასტუმრო „ბორჯომში“, რა თქმა უნდა, საერთო ნომრებში დავბინავდით.

აქვე უნდა ვთქვა, რომ დევი ბერძენიშვილი მშვენივრად უკრავდა და უკრავს ვიტარას. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი პირველი მასწავლებელი მუსიკაში დევი იყო. მაშინ აჟღერდა მთელ საქართველოში ანა კალანდაძის უმესანიშნავეს ლექსზე თემო ნაცვლიშვილის მიერ შეთხზული სიმღერა „ქარი გიმღერის ნანასა“, რომელსაც მე, დევი და დანარჩენები სასტუმროს მობინადრეთათვის „ბისზეც“ ვასრულებდით.

ყველაფერს აქვს დასასრული და ჩვენი მოგზაურობაც დასრულდა, თუმცა ამდენი ხნის შემდეგაც, ვინც კი ცოცხლები ვართ, ეს არ გვავიწყდება და მუდამ ტკბილად ვიგონებთ.

* * *

გამოხდა ხანი და მე 53-ე საშუალო სკოლიდან სასახლეში გადამიყვანეს პედაგოგად. მე ჩემი საყვარელი დეიდა ირინეს კოლეგა გავხდი. მას

ძველებურად დეიდა ირინეს ვეძახდი. აქვე დამხვდა ღირექტორის მოადგილე ჩემი მე-19 სკოლის ყოფილი ღირექტორი ლავროსი კოტრიკაძე, რომელიც მთელ სკოლას აზანზარებდა და განთქმული იყო სიმკაცრით. არადა, თურმე რა ამხანაგური, რა მხიარული, მოსიყვარულე კოლეგა ყოფილა! მერე და მერე, როცა კარგად გავუშინაურდი, ვეკითხებოდი ხოლმე: „რა იყო, ბატონო ლავროსი, სკოლაში რატომ იყავით ისეთი მკაცრი, მშობლებსაც რომ ეშინოდათ-მეთქი“. მან რამდენჯერმე სიცილით მითხრა: „აბა რა უნდა მექნა, რომელი გამოხვედით ცუდი!“ – ამას ყოველთვის გურულ კილოზე იტყოდა ხოლმე.

მართლაც, ნათელში ამყოფოს მისი სული, ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი კარგი ადამიანი აღუზარდა ქვეყანას.

მანამდე, სულ ახალი დაწყებული მქონდა სასახლეში მუშაობა, რომ ღირექტორმა კაბინეტში დამიბარა და მითხრა, ბავშვთა ჯგუფი არტეკში შენ უნდა წაიყვანო. სწორე გითხრათ, შემეშინდა, ამსიშორე გზაზე ოცდაათი ბავშვის წაყვანა ჯერ მატარებლით ბათუმამდე, შემდეგ გემით ფეოლოსიამდე ადვილი საქმე არ არის, თანაც არც იმდენი გამოცდილება მქონდა. პირველ იანვარს, ახალი წლის პირველ დღეს უნდა გავმგზავრებულიყავით, მაგრამ მშველელი გამომიჩნდა, ბავშვობის მეგობარი ნუგზარ წერეთელი შევიპირე გამომყოლოდა და დამხმარებოდა ბავშვების მწყემსვაში. პირველი იანვრის

სალამოს მე და ნუგზარი ბავშვებს სადგურში შევხვდით, ჩავსხით ვაგონში და როცა დაიძინეს, ჩვენც მივხედეთ ჩვენ თავს. დილით ბათუმში ჩავედით, გემის ბილეთების საქმეც მოვაგვარეთ და ღამით „პეტრე დიდზე“ ავედით. ეს ის ნადავლი გემი იყო, რომელიც, თუ გახსოვთ, შავ ზღვაში ნოვოროსიისკის მახლობლად რომელიღაც ტანკერმა შეაზე გააპო და ხალხთან ერთად ჩაიძირა. აი ამ გემის კაპიტნის პირველი თანამემწე ჩვენი თანამემამულის, შორეული ნაოსნობის კაპიტნის ელიზბარ გოგიტიძის ვაჟი იური გოგიტიძე გახლდათ. იგი თავად გაგვეცნო და მეუღლეც გაგვაცნო, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში სულ პატარას ხელი დაუკარგავს. ძალიან მოგვწონდა მე და ნუგზარს იური თავისი ხრინწიანი ხმით რომ დაიძახებდა ხოლმე: „... მოკლედ ის ორიოდე დღე, რომელიც ადგილზე ჩასვლას სჭირდებოდა, როცა ბავშვები უკვე იძინებდნენ, იურისთან ერთად, გვიანობამდე სუფრას ვუსხედით. ნუგზარმა შინიდან წამოღებული ღვინით სავსე მშვენიერი იმერული დოქი უსახსოვრა. მაგრამ ჩვენს მოგზაურობას უფათერაკოდ არ ჩაუვლია, ერთ ღამეს ზღვა საშინლად აღელდა და მე და ნუგზარს მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, ბავშვები ცუდად გაგვიხდნენ და მათ მოვლას მოვუნდით. დილით

ზღვა დაწყნარდა და ჩვენი გემიც უკვე დანიშნულების ადგილას მივიდა. არტეკიდან ავტობუსი გამოეგზავნათ, ჩავსხედით და ყირიმის დაკლაკნული გზით მალე არტეკში – პიონერთა მართლაც უზარმაზარ ქალაქში ჩავედით. ბავშვებს დავემშვიდობეთ და ყირიმის დათვალიერებას შევუდექით – გურზუფი, იალტა, სევასტოპოლი და ვათავალიერეთ და ბოლო ქალაქიდან – სევასტოპოლიდან, რაკი გემის ბილეთები ვერ ვიშოვეთ, მოსკოვს წავედით, მე მეორე დღეს წამოვედი, ნუგზარი კი რამდენიმე ხნით მოსკოვში დარჩა.

... ეს წერილი-მოგონება სასახლის 65 წლისთავისადმი მქონდა დაწერილი, მაგრამ აღარ გამომიქვეყნებია, თუმცა არც ახლავ გვიან – ჩვენი საყვარელი გამზრდელი ჩემზე წლოვანებით უმცროსი ყოფილა, ხედავთ უმცროსს უფროსი გავუზრდივარ და განა მართო მე? იუბილეზე რომ ვიჯექი, თვალცრემლიანი ძველ მეგობარ კოლეგებს ვეფერებოდი, წასულებს ვიხსენებდით – არადა რამდენი დიდებული ადამიანი გამოკლებია ამ მშვენიერ ბავშვთა სავანეს მომავალ თაობებს ეროვნული სულისკვეთებით რომ ზრდის, და როგორც უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს, „ღმერთმა დალოცოს, განამტკიცოს და განაძლიეროს ჩვენი ახალგაზრდობა, რათა ერთგულად ემსახუროს ღმერთსა და სამშობლოს“. ამინ!

ნოდარ ზედელაშვილი

2006-2007 სასწავლო წლის მანძილზე უახლეს ქართულ ლიტერატურას ანუ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს ვასწავლიდი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პირველ-მეორე კურსის სტუდენტებს. ერთ-ერთ ლექციაზე მოვილაპარაკეთ, რომ არდადეგების დროს ყველას ენახა საკუთარი კუთხის, ქალაქის, რაიონის ეკლესია-მონასტრები, შეესწავლა ისტორია და დაეწერა საკუთარი შეხედულებები. ეს აზრი მეტად საინტერესო აღმოჩნდა, სტუდენტებმა საყურადღებო ნაშრომები

წარმოადგინეს. ჟურნალი „სიტყვის“ მე-5 საიუბილეო ნომერში უკვე ტრადიციული რუბრიკით „ახალგაზრდობის შემოქმედება“ დავბეჭდეთ ერთი დიდი ნაწილის წერილები, მეორე ნაწილს კი ჟურნალის მომდევნო ნომერში ვაქვეყნებთ.

აქ არიან წარმოდგენილნი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის, ინგლისური და გერმანული ენების, დაწყებითი კლასების მეთოდის პირველი და მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტები.

*ნუგ ზარ წერეთელი
პროფესორი*

ჩემი რაიონის ეკლესია-მონასტრები

ჩემს რაიონში მრავალი ლამაზი ციხე-სიმაგრე, თუ ეკლესია-მონასტერია, რომლებიც მნახველის ყურადღებას იქცევს.

მე განსაკუთრებით აღვნიშნავ ბირთვისის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც მიუხედავად გადატანილი მრავალი ბრძოლისა, მაინც არ დაუკარგავს თავისი სიდიადე და სილამაზე. ამ ციხე-სიმაგრის ცად აზიდული ლოდები, თითქოს მასთან შერკინებულ და ბრძოლაში დაცემულ მებრძოლებს გვახსენებენ. მიუხედავად გასული მრავალი საუკუნისა, ლოდებს თავისი სიდიადე არ დაუკარგავთ. მათზე ამოსუ-

ლი პატარა ხეები თითქოს მათ სიცოცხლეს უბრუნებენ.

ეს ერთ-ერთი აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო, რომელსაც მრავალი მეომარი შეაკვდა.

ასევე აღვნიშნავ, წმინდა გიორგის შავნაბადას მონასტერს, რომელიც თავისი სილამაზით და სიწმინდით იქცევს ყურადღებას. შავნაბადაში მიმდინარეობს სამონასტრო ცხოვრება. მრავალი ბერი თუ მონაზონი მოღვაწეობს ამ დიდებულ მონასტერში.

მაია წამალაშვილი

აპარნის წმიდა გიორგის ეკლესია

ჩემი სოფელი საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი და პატარა სოფელია, მაგრამ ერთი შეხედვით პატარა და წყნარი სოფელი ძალიან დიდ ისტორიულ ძეგლს ინახავს. ერთ-ერთი ძეგლია აპარნის წმიდა გიორგის ეკლესია. ეს ეკლესია ორ სოფელს შორის მდებარე პატარა გორაზე აშენებული და დანახვისთანავე იპყრობს მნახველის ყურადღებას.

ხალხში არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით ეკლესია აუშენებიათ 1625 წელს, მარტყოფის ველზე ქართველებისა და სპარსელების სისხლისმღვრელი ომის დროს, ლეგენდის თანახმად, ეკლესია ქართველებს ერთ ღამეში აუშენებიათ გიორგი სააკაძის მეთაურობით. როცა გათენებულა და მტრებს ეკლესია დაუნახავთ, შეშინებულებს წამოუყვირიათ „აპარან“, სწორედ ამის გამო შეერქვა ეკლესიას აპარანი.

აპარანს სოფლის მოსახლეობა ინახავს და უფრთხილდება სწორედ ისე, როგორც უფრთხილდებოდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ მიუხედავად ასეთი მზრუნველობისა, ის რამდენჯერმე გაძარცვეს.

აპარნობის დღესასწაულს აღდგომიდან ორი კვირის შემდეგ ზეიმობენ. ერთ დროს აქ ღამეებსაც კი ათევდნენ, მოჰყავდათ შესაწირავი და დილაძღე ლოცულობდნენ. დროთა გან-

მავლობაში ღამისთევის ტრადიცია ხალხმა ნელ-ნელა მიივიწყა. შემდეგ კი საერთოდ აუკრძალეს ხალხს ეკლესიაში სიარული, მაგრამ აკრძალვის მიუხედავად, ხალხი ჩუმაღ მაინც დადიოდა ტაძარში.

გავიდა წლები და მომავალმა თაობამ კვლავ აღადგინა აპარნობის დღესასწაული. ყოველ აპარნობას იმართება ახალგაზრდა ვაჟებს შორის შეჯიბრი ჯირითში, ჭიდაობასა და მკლავჭიდში, ხოლო გოგონები ერთმანეთს ცეკვასა და სიმღერაში ეჯიბრებიან.

მე ვამაყობ ჩემი სოფლის გმირული წარსულით და იმედი მაქვს, რომ კიდევ მრავალი საუკუნე დაამშვენებს აპარნის წმიდა გიორგის ეკლესია ჩემს სოფელს.

დარეჯან მარდიშვილი

ბაგრატის ტაძარი

ჩემს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში უამრავი ტაძარია, ერთი მათგანია ბაგრატის ტაძარი, რომელიც 1003 წელს ააგო საქართველოს მეფე ბაგრატი მესამე. მართალია ამჟამად ისეთი სახე აღარა აქვს, როგორც საუკუნეების წინათ ჰქონდა, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზია. ნებისმიერი, ვინც კი თვალს შეავლებს, ეჭვი არ მეპარება, რომ აღფრთოვანდება მისი სილამაზით. ბაგრატის ტაძარი ქუთაისის ერთ-ერთ მა-



ღალ ადგილზე არის აღმართული და ზემოდან გადმოჰყურებს მთელ ქალაქს. ჩემი ქუჩიდან პირდაპირ ჩანს ტაძარი. დღე ისე არ გავა, შევხედო და პირჯვარი არ გადავიწერო. ტაძრამდე ასასვლელი რამდენიმე გზა არსებობს: ერთ-ერთი ქვაფენილია, ხოლო მეორე კიბეებით ასასვლელი. ყოველთვის მაინტერესებდა რამდენსაფეხურიანი კიბეა. ბევრჯერ დამიწყია დათვლა ასვლისას ან ჩამოსვლისას, მაგრამ სათვალავი ამრევა. ყურადღებას იქცევს ქუთაისის სილამაზე, რომელიც ხელისგულივით ჩანს კიბეებიდან და ბაგრატიის ტაძრის ეზოდან.

თბილისში როცა ქვაფენილიან ქუჩაზე მოვხვდები, მიხარია, ტაძრისკენ მიმავალი გზა მახსენდება.

ბაგრატიის ტაძარი ათას წელზე მეტია ამაყად დგას, დარწმუნებული ვარ ღმერთის ნებით კიდევ დიდხანს იარსებებს და გაალამაზებს არამარტო ქუთაისს, არამედ მთელ საქართველოს.


ჭეშმარიტად ასეც იქნება, საქართველოს პრეზიდენტმა ფიცის დადებისას ხომ ქვეყანას აუწყა, რომ სულ მოკლე ხანში ბაგრატიის ტაძარი აღდგება და დაიბრუნებს თავის თავდაპირველ დიდებულებას.

ნინო გურეშიძე

ნიკორწმინდა

საქართველოში მრავალი ლამაზი კუთხეა. თავისი ღირსშესანიშნაობებით, ერთი მათგანია რაჭა, რომლის წარმომადგენელიც მე გახლავართ.

ქართველი ქართველს რომ გაიცნობს, ერთმანეთს აუცილებლად ჰკითხავს გვარს და ამბავს, წარმომავლობას. მეც რომ მეკითხებიან სადაური და რა გვარის ხარო, ჩემი პასუხის შემდეგ ყველა ერთიდაიმავეს იმეორებს – „რაჭველი და თანაც თავადის ქალბატონი ბრძანდები?“ – მართლაც ჩემი გვარი წულუკიძე, ქვემო რაჭიდან მოდის, კერძოდ, ამბროლაურის რაიონის თავადები გახლდნენ. სწორედ ქაიხოსრო წულუკიძის სახელთანაა დაკავშირებული რაჭის ერთ-ერთი მშვენიერის, ნიკორწმინდის ტაძრის აგება, ამას ტაძარზე გამოკვეთილი ფრესკაც ადასტურებს, რომელიც ეკლესიაში სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს.



ვინც რაჭაშია ნამყოფი, აუცილებლად თვალი მაინც ექნება შევლებული ისეთი უძველესი, დიდებული და ამაყი ტაძრისათვის, როგორცაა ნიკორწმინდა. თუ მისი მშვენიებით არ ხარ დამტკბარი და სულიერად მოძლიერებული, ჩათვალეთ რომ ჯერ ვერ ნახეთ რაჭა „და მისი სილამაზე“, რადგან მთავარი მშვენიება უკან დაგრჩათ.

ვინაიდან ჩემს წინაპარს დიდი წვლილი მიუძღვის ამ ბრწყინვალე ქმნილების აგებაში, მე დღემდე ვგრძნობ იმ მონიჭებულ უდიდეს მადლს და პასუხისმგებლობას, რომელიც მაშინ მშენებლობისათვის მიიღო საწულუკიძემ. ამის გამო გაცილებით მეტი სიყვარულით და მოწიწებით ვიხსენებ იმ შესანიშნავ ხუროთმოძღვრულ ნაგებობას, რომელსაც ნიკორწმინდა ჰქვია.

ანა წულუკიძე

* * *

გურიაში ბევრი წმინდა ადგილს მოიხილავს ადამიანი. სამონასტრო ცენტრებიდან აღსანიშნავია: შემოქმედის, ჯიხეთის, კვირიკეთის და სხვა მრავალი ღირსშესანიშნავი, ფასდაუდებელი სასულიერო კერა.

ამათგან კვირიკეთის ეკლესიაზე მინდა შევჩერდე. იქნებ იმიტომ, რომ სწორედ ის, არაერთხელ გამხდარა ჩვენი „მატალოების“ ობიექტი. ეს, ალბათ, ქალაქის ცენტრთან სიახლოვემ და იმ დიდმა მიზიდულობამ განაპირობა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ ხშირად გვიბიძგებდა მოგვენახულებინა ეს ტაძარი, მის სიწმინდეში შეგვეგრძნო ჩვენი ბავშვური სამყარო.

მონასტრის აშენებას ერთი ლეგენდა თუ თქმულება ახლავს თან. მრავალგაჭირვებაგადატანილ საქართველოს, თურქთა კიდევ უფრო დიდძალი არმია შემოსევია. ამჯერად, ისინი ახლანდელი სოფ. კვირიკეთის მოსახლეობას დარევიან და სარწმუნოების შეცვლის მოთხოვნით მრავალი გაუგონარი სისასტიკით გაუჟღელტიათ. ერთი სათნო ღრმადმორწმუნე ქალიც მიუთრევიათ კოცონთან. და როგორც ქეთევან დედოფალი, ისიც უწამებიათ – შანთებით დაუდაღავთ, მაგრამ სარწმუნოებრივი სიმტკიცე ვერ შეურყევიათ.

თურმე ქალი ხმამაღლა გაიძახოდა: „მე მართლმადიდებელი ვარ“. თურქებს დედისთვის გულში ჩაკრული 3 წლის კვირიკე გამოუგლეჯიათ

და ახლა პატარა ქრისტიანის გვემა დაუწყიათ. 3 წლის ანგელოზი დედის მაგალითით გამხნეებული არ თმობდა მის მიერ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ რჯულს, მაგრამ შინაგანი სიწმინდით ავსებული მის პატარა ბავეს კვნესა ვერ დააცდევინეს, და ვინ იცის, მერამდენნი იყვნენ ქართველ წმინდა მოღვაწეთა შორის.

როდესაც ამ ამბავს ვისმენდით, კლასის ყველაზე ჩამორჩენილმა მოსწავლემ კვლავ დიდი რიხით შემოგვთავაზა „შატალოზე“ კვირიკეში წავიდეთო.

ყველას გაგვეცინა, მაგრამ მერე კი მივხვდით, რომ ამ სიტყვებში გაკვეთილების გაცდენის სურვილი კი არა, ისევ ის ზებუნებრივი მიზიდულობა იყო – მივსულიყავით, პატარა კვირიკეს მოწამებრივი სიკვდილის ადგილას, სადაც პატარა ქართველმა ადრეულ ასაკშივე მოიხადა მამულიშვილის, ქრისტიანის ვალი.

ეს ამბავი ჩვენამდე საუკუნეებმა მოიტანეს, ასევე საუკუნეებმავე შემოგვინახეს კვირიკეთის ეკლესია, რომელიც არა მარტო გურიის, არამედ საქართველოს წმინდა სულიერ საგანძურსაც ამშვენებს.

ეკა კვირიკელია

ბარაკონი

ბუნებრივია, რომ ყველა ადამიანს განსაკუთრებით უყვარს ის კუთხე, საიდანაც წარმოიშვა, თუმცა არიან ზოგიერთები სხვა კუთხეს უფრო რომ ეთაყვანებიან, ვიდრე მშობლიურს. მაგალითად მე, მართალია წარმოშობით კახეთიდან ვარ, მაგრამ რატომღაც ჩემ მშობლიურ კუთხედ რაჭა მიმაჩნია, რადგან ყოველ ზაფხულს იქ ვისვენებ და უფრო კარგად ვიცნობ მის ღირსშესანიშნავ ეკლესია-მონასტრებს, ვიდრე კახეთისას. ამიტომ ახლაც მინდა ბარაკონზე მოგიხსნათ. მიმაჩნია, რომ ეს საოცარი ტაძარი შეუდარებელია და, ვფიქრობ, ვერცერთი ვერ გაუტოლდება საქართველოში. მართალია რაჭაში სხვა შესანიშნავი ტაძრები და მონასტრები ბევრია, მაგრამ მე ბარაკონს გამოვარჩევდი. ის განსაკუთრებულ გრძნობებს აღძრავს ჩემში. სანამ ეკლესიის ეზოში შევალთ გვხვდება დიდი ხის ჭიშკარი, შელები-სას ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს სამოთხეში შეაბიჯო. ეს მართლაც ასეა. თვალწინ იშლება ულამაზესი ეზო ხეხილით სავსე. იქვე დგას პატარა ქვევრები, რომელთა გვერდზეც განსაკუთრებით გემრიელი წყალი მოჩუხჩუხებს. აქ სასაფლაოებიც მრავლადაა და თითქოს ეს ხიბლსაც კი მატებს მას. გაივლი თუ არა თხილის ხეებით დაჩრდილულ გზას, მიადგები ბარაკონის წმინდა ეკლესიას, რომლის დანახვისთანავე მოგინდება შიგნით შესვლა და როცა იქ შეხვალ სულიერად მშვიდლები, საკმეველის სუნი



და იქაური სიმშვიდე რაღაც უცნაურ და ამალღებულ გრძნობას ბადებს, რასაც ნამდვილად ვერ ავხსნი. მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ტაძარში უამრავი ხალხი იკრიბება და არ მეგულება ადამიანი, თუნდ ერთხელ ნახოს ბარაკონი და კვლავ არ მოუნდეს მისი ხილვა. იქვე ეკლესიასთან უზარმაზარი ტყემლის ქვეშ დგას მაგიდა თავისი სკამებით და მის გვერდით ჩამოედინება მუდამ მოუსვენარი და აფორიაქებული მდინარე ლუხუნი. აქედან იშლება ულამაზესი, უზარმაზარი სივრცე და ამ სივრცეში გაბნეული თვალუწვდენელი მთები, რომლებიც თითქოს გარს შემორტყმინ ტაძარს. ეს კიდევ უფრო დიდ ხიბლს მატებს ბარაკონს.

ეს წმინდა ქმნილება მრავალჯერ დაარბიეს, რაჭველებმა კი მაინც გადა-

არჩინეს. ასე მგონია, რომ ბარაკონი არის რაჭის მშვენება, რა თქმა უნდა, სხვა ტაძრებთან ერთად. მას საუკუნეები ვერაფერს დააკლებს. ის ყოველთვის ამაყად იდგება, სიწმინდითა და სილამაზით გაახარებს და მოხიბლავს მნახველის გულს.

მანჩო მანგოშვილი

გურჯაანის ყველაწმინდა

საქართველოს ყველა კუთხეს თავისი სილამაზე და ხიბლი აქვს. ერთი მათგანია კახეთი. დარწმუნებული ვარ, ვისაც ეს მშვენიერი კუთხე უნახავს მისი სილამაზით აღფრთოვანდებოდა. კახეთში ბევრი ეკლესია-მონასტერია. მათ შორის გურჯაანშიც. მათი ისტორია თუ ვინ ააგო, ან მერამდენე საუკუნეში, ჩემთვის არ არის ცნობილი. თუმცა ნათელია, რომ მათ მრავალ ქართველს გაუძღეს თავიანთი დიდი მადლით და დღემდე მოაღწიეს.

გურჯაანში ყველასთვის ცნობილია „ყველაწმინდის“ ეკლესია. ის აგებულია VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარია მთელ საქართველოში. სხვა რაიმე ცნობა მის შესახებ არ არის ცნობილი.

ნათია აკოფაშვილი

სიონი

ძველი წერილობითი წყაროების ცნობით, ტაძრის მშენებლობა დაიწყო VI ს. საუკუნეთა მანძილზე ტაძარი მრავალჯერ დანგრეულა, აღდგენილა და შეკეთებულა, ამიტომ იგი რამდენიმე ძნელად გასარჩევი სამშენებლო ფენისაგან შედგება.

1710 წ. ეკლესიის კედლები და გუმბათის ყელი ბოლნისის ტუფით მოაპირკეთეს.

სიონის ტაძარი თავისი გეგმით განვითარებულ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ტიპური ნიმუშია. ეს ცენტრალური გუმბათოვანი ნაგებობაა, აღმოსავლეთით გამოწეული წახნაგოვანი აბსიდებით.

ტაძრის შიდა კედლები მოხატულია მხატვარ გაგარინის მიერ. მოხატულობა თავისი ხასიათით დაშორებულია ძველი ქართული ფერწერის ნიმუშებისაგან. სამრეკლო, რომელიც გალავანშია, აგებულია 1425 წელს. მისი ზედა ნაწილი XVIII ს. დაუნგრევიათ. აშენებულია თავიდან რამდენიმე წლის წინ.

ტაძრის მოპირდაპირე მხარეს სამსართულიანი სამრეკლოა. იგი პეტერბურგიდან ჩამოტანილი პროექტის მიხედვით აუგიათ 1812 წ. ეს რუსული სტილის არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია თბილისში.

ლია მჭედლიშვილი

ჩემი კუთხის სიწმინდეები

რაჭა, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. იგი გამოირჩევა თვალწარმტაცი ბუნებით, სამკურნალო მინერალური წყლებით და შესანიშნავი მდინარე რიონით, რომლის ჩუხჩუხიც უფრო მშვენიერს ხდის იქაურობას.

რაჭა ასევე მდიდარია ეკლესიამონატრებით. ყველაზე გამორჩეული კი ნიკორწმინდის მონასტერია. იგი გაერთიანებული საქართველოს მეფის, ბაგრატ III-ის დროს აიგო წმინდა ნიკოლოზის სახელზე და 1014 წელს, ღვთისმოსავი ბერების მყუდრო სავანედ იქცა. ამ დიდებული სავანის აღმშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა რაჭის პირველმა ერისთავმა – რატი ლიპარიტის ძემ, ხოლო მისმა შთამომავლებმა XI ს-ის I ნახევარში, ტაძარს სამხრეთ და დასავლეთის კარიბჭეები აუგეს, შეამკეს ძვირფასი საეკლესიო ინვენტარით და შესწირეს დიდი ქონება.

ძნელია სიტყვებით იმ გრძნობის გადმოცემა, რომელიც ნიკორწმინდის დანახვისას დამეუფლა. იგი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული და უდიდესი ქმნილებაა. გასაოცარია მისი ჩუქურთმები, თაღები, სვეტები, რომლებიც ისეა აგებული „სიზმრის გეგონება“.

ნიკორწმინდის სავანე იმთავითვე იქცა რაჭაში ქრისტიანული რელიგიის ბურჯად და უკვე 10 საუკუნეა, რაც

მისი მადლი და ნათელი მთლიან რაჭ-
ას ათბობს და ასხივოსნებს.

ჩემი სოფელი უწერა, რომელიც
ონის რაიონს ეკუთვნის. უწერის ერთ-
ერთი ყველაზე გამორჩეული სიწმინდე
მე-17 საუკუნეში აგებული წმინდა გიორ-
გის სახელობის ტაძარია. იგი სამწუხ-
აროდ აღარ ფუნქციონირებს და წირ-
ვა-ლოცვაც არ აღევლინება, მაგრამ მისი
კარი ყველასთვის მუდამ ღიაა. სოფელში
არსებობდა ტრადიცია, რომლის თანახ-
მაც ეკლესიაში, ყოველ დღესასწაულზე,
სოფლის მცხოვრებლები ქეიფობდნენ
და უზომოდ სვამდნენ, რაც, ჩემი აზრით,
ტაძრის დიდი შეურაცხყოფაა, მაგრამ
შარშან, ჩემდა სასიხარულოდ, აიღეს
მაგიდები და შიგნით ღრეობაც აკრძა-
ლეს. ტაძარი შუაგულ ტყეშია ჩადგმუ-
ლი და შიგნით შესულს, უჩვეულო
სულიერი სიმშვიდე გეუფლება.

მე ძალიან ვამაყობ, რომ ვარ წარ-
მოშობით რაჭველი და ყოველ ზა-
ფხულს შესაძლებლობა მეძლევა დავის-
ვენო იქ და დავტკბე მისი სილამაზით,
რაც არასდროს მომბეზრდება.

ნინო მომცემლიძე

დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი

ჩემს მშობლიურ ქალაქ სამტრე-
დიაში მდებარეობს საკმაოდ დიდი მოც-
ულობის დავით აღმაშენებლის სახ-

ელობის წმინდა ტაძარი. მისი
მშენებლობა დაიწყო 2000 წელს და
დასრულდა 2007 წელს. იგი აშენდა
ხალხის შემოწირული თანხებით და
სამტრედიაში მცხოვრები ერთ-ერთი შე-
ძლებული პიროვნების დახმარებით.

ტაძრის გახსნას დაესწრო საქარ-
თველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია
II, რომელმაც აკურთხა იგი.

ტაძარში წირვა-ლოცვები მიმ-
დინარეობს, როგორც საღვთისმშობლის
და წმინდა დეებში, ასევე ყოველ შა-
ბათ-კვირასაც.

ეს წმინდა ნაგებობა მდებარეობს
ქალაქის ცენტრში და მას უამრავი
მორწმუნე მრევლი ჰყავს, ასევე იქ ცხ-
ოვრობენ მონაზვნებიც.

მე საამაყოდ მიმაჩნია, რომ ასეთ
პატარა ქალაქში მდებარეობს დიდი
ტაძარი, რომელსაც ჰყავს რამდენიმე
მღვდელთმსახური და ისინი ხალხს
უზიარებენ ღვთის მცნებებსა და ქრის-
ტიანულ მოძღვრებას უნერგავენ.

ნინო ჩაჩუა

ჩემი ქალაქის ეკლესიები და ციხე

გორი მდებარეობს შიდა ქართ-
ლის ცენტრალურ ნაწილში ლიახვის,
მტკვრის და მეჯულის შესაყართან.
ქალაქის შუა გულში მდებარეობს უძ-
ველესი და ისტორიული გორის ციხე.

გორის ციხემ თავისი არსებობის მანძილზე მრავალ ქართველს გაუძლო, მრავალჯერ დაინგრა, მაგრამ კვლავ აღსდგა.

ციხის კედლები 23 კოშკითა და ბურჯით იყო გამაგრებული და დაცული. კოშკებით იყო გამაგრებული აგრეთვე ციხის გარე გალავანი. ციხეში დაახლოებით 35 დიდი კოშკი იყო. მტერი რომ ახლოს არ მოსულიყო ციხესთან, კოშკების თითოეულ სართულზე დატანებული იყო ორ-ორი დიდი ნახვრეტი, საიდანაც მტერს ზარბაზანს უშენდნენ თუ ის წყლის პირას გამოჩნდებოდა. ციხის ზედა მოედანზე დღესაც არის 5-6 მეტრი სიღრმის თონის ფორმის ხარო. ხარო დამნაშავეთა ჩასასმელი ორმო იყო. შესაძლებელია მას მარცვლეულის შესანახადაც იყენებდნენ. რადგან ციხე ხალხის გასახიზნი მნიშვნელოვანი ადგილი იყო. ამიტომ იქ საცხოვრებელი ბინები უნდა ყოფილიყო. აქვე არსებობდა სხვა ნაგებობები; საჭურველისა და სურსათის საწყობები, ეკლესია. გორის ციხე გამოირჩეოდა თავისი აღჭურვილობითაც, განსაკუთრებით კი არტილერიით. სამხედრო საჭურველის შესანახი საწყობები განლაგებული იყო ციხის აღმოსავლეთ ნაწილში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მახლობლად. საჭიროებისდა მიხედვით ციხეს საჭურსალოდაც იყენებდნენ.

გორის ციხიდან იშლება პატარა ქალაქის ულამაზესი ხედები. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს

ერთგუმბათოვანი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, რომელიც ადრე კათოლიკური ყოფილა. ამ ტაძარში წირვა-ლოცვებს შაბათ-კვირას ალაველენს გორისა და სამთავროს მთავარეპისკოპოსი მეუფე ანდრია. გორის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ორი პატარა ეკლესია, ერთი ღვთისმშობლის სახელობისა, მეორეც ღვთისმშობლის სახელობის იყო, მაგრამ განახლებისა და რესტავრაციის შემდეგ ჯერ კიდევ უცნობია ვის სახელზე აკურთხებენ. გორის სასაფლაოზე მდებარეობს ერთგუმბათოვანი პატარა, სამების ტაძარი, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ ხატებიდან დიდძალი მირონი გადმოდიოდა. მირონს ხატები თითქმის მთლიანად დაესველებინა. ქალაქის ცენტრში, სკვერში მდებარეობდა ოქონის დიდი ტაძარი, რომელიც კომუნისტების დროს დაანგრიეს. ახლა ტაძრის ადგილას ოქონის ნიშანია. აპირებენ ტაძრის აღდგენასაც. გორში გაიხსნა სემინარია, იქვეა წმ. ნიკოლოზის სახელობის პატარა ტაძარი. რადგანაც წმ. ნიკოლოზი ბავშვების მფარველ წმინდანადაა ხსენებული, მრევლში ძირითადად ბავშვები ჭარბობენ.

გორის სამხრეთით მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და გორს გადასცქერის გორიჯვარი. ცნობილი არაა როდის ან ვინ ააშენა იგი. გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესია მრავალ მორწმუნეს იზიდავს. გორიჯვრის გიორგობაზე 6 მაისს და 23 ნოემბერს

მლოცველები განუწყვეტლივ მოდიან. ისინი სხვადასხვა წესს ასრულებენ: ეკლესიას სამჯერ უვლიან გარშემო, ზოგიც მუხლმოყრით, თან მოყვანილ მამლებს, მოზვრებს და ბატკნებსაც შემოატარებენ გარშემო ეკლესიას და შემდეგ იქვე კლავენ. იმართება დიდი პურობა.

წმ. გიორგის ეკლესია და მისი ციხე-გალავანი ისევე, როგორც გორის ციხე, 1920 წ. ძლიერმა მიწისძვრამ დააზიანა. ამჟამად რესტავრაცია დამთავრებულია. სტიქიას გადაურჩა გორიჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე — პატარა ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა, ისიც ნახევარგუმბათოვანია. სამხრეთიდან აქვს დაბალი კარი, ხოლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან დაბალი, ვიწრო სარკმელები. ეკლესიასთან არის წყარო, ადრე ჭაც ყოფილა, რომლის არსებობა დღესაც ახსოვთ. ვარაუდობენ, რომ ოდესღაც აქ სოფელიც უნდა ყოფილიყო.

მარიამ ზუბიაშვილი

სამება

სამება XXI საუკუნის ულამაზესი ზუროთმოძღვრების ძეგლია. ტაძრის გუმბათზე აღმართული ჯვარი საქართველოს ყველა კუთხიდან მოჩანს. მისი აშენება ილია II-ის სიზმარს უკავშირდება, რომელმაც სიზმრის ცხ-

ადად ქცევა გადაწყვიტა. მართლაც ტაძარში შესვლისას თავი სიზმარში გვეგონება. ჯერ მოხატული არ არის, მაგრამ უკვე მრავალი ადამიანის, მათ შორის უცხოელების ყურადღება დაიმსახურა.

ცენტრალური შესასვლელიდან აღის უზარმაზარი კიბე, რომელსაც მარცხნიდან და მარჯვნიდან მარადმწვანე ბუჩქისაგან გაკეთებული ჯვრები ესაზღვრება. მარცხნივ ასევე არის აუზი შადრევნით, რომელშიც გელები დაცურავენ. ტაძარში შესული ადამიანი სულიერ სიმშვიდეს პოულობს, თავის გასაჭირს და სურვილებს ღმერთს უზიარებს, იმ იმედით, რომ უფალი შეისმენს მის მუდარას და ყოველივეს უკეთესისკენ შეუცვლის. ღმერთთან საუბრის შემდეგ მრავალ ურწმუნო, გზაბნეულ ადამიანს იმედის ნაკერწკალი უღვივდება გულში, მრავალი თავის გზას პოულობს.

სამების ტაძარს სასწაულომოქმედი ძალა რომ აქვს, ამაში ხალხი დღით-იდღე რწმუნდება. ერთხელ სამებას სურათი გადაუღეს და გამჟღავნების შემდეგ ნათლად გამოჩნდა ტაძრის გუმბათის თავზე თეთრწვერა მოხუცი. ამბობენ, ეს ღმერთი იყო. ეს სურათი ჩემი თვალით რომ არ მენახა, ალბათ არც დავიჯერებდი.

გვარავდეთ ღმერთი და სამების მადლი.

სოფიო პურიჭამიაშვილი

წინათქმა

ახალგაზრდა პოეტის მათა ნიკოლაძის ლექსები დიდი ინტერესითა და სიამოვნებით წავიკითხე. იგი ღრმად ჩაფიქრებული პოეტია, განიცდის, ეძებს, აზროვნებს და ისე წერს. სულაც არ ცდილობს ლექსი გარეგნული სამკაულებით მოაწონოს მკითხველს, რითმებს ხშირად გვერდს უვლის, ზიზილ-პიპილოებს არად დაგიდევს, უფრო მეტად იტაცებს სიღრმე, შინაარსი, ფარული პოეტური მუხტის სიუხვე, აზრების ჩამაფიქრებლად გამოხატვასაც თეთრი ლექსებით მშვენივრად ახერხებს, ოღონდ ბევრისაგან განსხვავებით მის ლექსებში რიტმი და მუსიკალურობა შთაბეჭდავად არის შენარჩუნებული. მათა ნიკოლაძე მაძიებელი, საკუთარ თავში ჩაღრმავებული პოეტია, რაც უტყუარი წინაპირობაა იმისა, რომ ბევრის გაკეთებას შეძლებს. ლექსებში დიდი პასუხისმგებლობა იგრძნობა, ასეთმა ფიქრმაც კი გამიელვა – პირად პასუხისმგებლობას შეიძლება ისიც მატებს, რომ მისი დეიდაა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, დიდი ქართველი მოჭადრაკე მათა ჩიბურდანიძე, ხოლო ბიძა მსოფლიო მასშტაბის დიდი ქართველი მხატვარი ზურაბ წერეთელი. ალბათ, მათა ცდილობს ამ თვალუწვდენელ სიმალეებს გაუტოლდეს და მათ გვერდით თავისუფლად იგრძნოს თავი.

აქვე დაბეჭდილი ლექსების ავტორი ნათია ქორიძე სტუდენტია, მას უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული ლექსები ჟურნალ „სიტყვის“ ფურცლებზე. მის ლექსებში ნაგრძნობი სევდა და უიმედობაც ხშირად ახალგაზრდული ბუნების ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა. ამიტომაც ვაქვეყნებთ, რადგან სადაც ტკივილია, იქვე სიხარულიც ჩნდება.

ნუგ ზარ წერეთელი



* * *

საოცარია სილამაზის მშვენიერება
და მძაფრ განცდათა ნაზი ალერსი.
მფშვინავი ნისლი გადაიდარებს,
უძილო ქალაქს აუხელს თვალებს.

სადღაც ეზოში ისევ ქარი ქრის,
ისევ მოთქვამენ კორდზე ფოთლები,
შავი ფიქრები თავს დამტრიალებს,
ბოლო არ უჩანს უცნობ მოლოდინს.

მოვა სილალე სულის სიმწვანედ,
უცნობი ჟინით გულს აიტაცებს,
გულის ხელებით მინდა ჩაგიკრა
არა, არ ვნანობ, რომ შეგიყვარე.

დაე, დასეროს ელჭექმა სული,
ვიდგები სანამ მერჩის მუხლები,
ისევ ქარი ჰქრის მთის ფერდობებზე,
და მე მარტო ვარ ამ ქვეყანაზე.

2002

თეთრი ფიქრები

მოვა ზამთარი ფიფქთა რონინით
და ჩუმის რხევით ფატას მოაფენს
ხეებს,
ბილიკებს,
ფანჯრების რაფებს,
თეთრი სამოსით შეაფერადებს.

ნაზი თითები მომიალერსებს,
ჩუმი შრიალით გამომალვიძებს.

გაირინდება წამი ოთახში,
შეკრთება, ალბათ, ხეზე ბელურა,
და ღამენათევ ფიქრების ქარში
ბელურასავით დამეძინება
2003

* * *

იწვის წუთები დროის ალში,
როგორც სანთლები
იღვენტებიან შორეული მოგონებები.
როცა უკრავს ვიოლინო
ვილაცის ბალში,
ჩუმი ჩურჩულით შრიალებენ
აღვის ხეებიც.
არ ავიწყდება სულს უცნობი ხელის შეხება,
შეუცნობელი სილამაზის ჩუმი ნათება,
ეული სულის ხეტიალი არ დასრულდება,
სანამ ერქმევა მის სიყვარულს „არ დავიწყება“.

მათხოვრის ძონძებს მეგობარი ბევრი არა ჰყავს,
უცხოა მისთვის მშობლიური სახლის კერია,
სიანლოვისას შორეულად თუკი გიგრძვინია,
გაუცხოვება გინახია და გაგიგია.

სად დაიწყება, ნეტავ, ისევ დინება ჟამთა?
მინდა წუთები ფუტკარივით, რომ შევაგროვო,
გაუსაძლისსაც, რომ გაუძლო შინ და გარეთა,
მინდა ისეთი საჭურველით შემოვიჭურვო.

სანამდის ვცხოვრობთ, მანამ ვიბრძვით,
არ გვაქვს უფლება
ზურგი ვუჩვენოთ მტერს და სიკვდილს,
და თუ დავეცით,

უნდა წამოვდგეთ

– ასეთია კანონი სოფლის.

ოღონდ არ ჩაქრეს ჩვენი რწმენა ბოლომდე ბრძოლის
და უსასრულოდ დაუვიწყრის ძიება სხვებშიც.

2003

* * *

აღარავის ელოდება გული

მონატრების თეთრი ფერიც გაქრა,

ეს ცხოვრება მაშინაა რთული,

თუკი თავში გაქ – რა,

ბევრი საფიქრალი დაგაქვს.

გადაკარგულ სივრცეს წვდება თვალი,

ეფინება სულს ფარული რული,

გიყვარდა და აღარ გიყვარს და რა?

შენს სურვილებს დაატარებ დარდად...

მაგრამ დროა შევაჩეროთ ქარი,

შევაგებოთ სასოების ფარი,

მოვიშოროთ საფარველი ბნელი,

შევიმოსოთ განახლების ფერით.

დროა! მაგრამ ეს დროც მირბის თავად,

ფოთლებივით ძირს ცვივიან წლები,

და ირწვევა ბაზალეთის ტბასთან

საქართველოს მოთენთილი ბედი.

2003

დედის ხალათი

გემუდარები, ნუ დამტოვებ ასე პატარას,
შენი ხელების სითბო სულში მზეს აირეკლავს.
ლამეში ბოდვით, სიცხიანი გეპოტინები,
გემუდარები, ნუ დამტოვებ, ასე ნუ წახვალ!

და თუკი წახვალ....
სადღაც იყო შენი ხალათი....
ზამთრის გრძელ ღამეს დუელშიაც კი გამოვიწვევ,
ავღვები, მივალ....
და მოვძებნი შენს ნაცვამ კაბას,
ნაცნობი სითბო შეამოკლებს, ალბათ ამ ღამეს.
ჩაგიკრავ გულში,
როგორც უკვდავ ლამაზ თილისმას
და ცხელი სუნთქვით
ჩემკენ, ჩემკენ მოგიხმობ დედა!
მინდა ჩავემხო შენს უბეში
ჩვილი ყრმასავით,
შენ შემოგჩივლო შენში ვპოვო ჩემი ქომაგი.
და მერე ცრემლად გულისპირზე ჩამოგედვარო.

1996

თვითშემეცნება

აქ, სადაც წყდება დროთა დინება,
მყუდრო სავანის
დანერგილ ზღურბლზე,
განქარდება ამაოება
და სუნთქვას იწყებს მარადისობა.
აქ, სადაც არ აქვს ღირებულება
ენამჭევრობას;

აქ, სადაც არ აქვს ხელმწიფება
ალარც სიმდიდრეს
ამსოფლიურსას;
სადაც კვდებიან უკანასკნელი
თესლი გესლისა,
და მშრალი ყინვა „ამაობის“
შესწავს მსხვერპლივით
უკანასკნელ მიჯაჭვულობას,
და ეს ხუნდები ბოროტ აზრთა
ცდომილებათა
დასცვივდებიან აქ, ამ ზღურბლზე
როგორც ფოთოლნი
და უმეცრების კარიბჭენი განიხვებიან
და დასცვივდებიან,
დაემხოებიან ვნებებთან ერთად
შენს ფეხთა მტკვერად.
წინ,
გზა ხსნილია.
გემუდარები,
დანანებით ნუ მოიხედავ,
ვით ლოთის ცოლი.
შორს კი ტირიფნი
ნელი შრიალით
ჰიმნს უმღერებენ
შენს მარტობას.

2001

დედის იმედი

მშობელი დედის გულის ძგერა
 ყველა ბავშვის სანუკვარი იავნანაა...
 მშობელი ხელი, შრომისაგან დახეთქილი
 აბრეშუმის სინაზეს იძენს,
 მშობელი მიწა, პარტახი და იავარქმნილი,
 მაცოცხლებელ ძალას განიჭებს
 მამ სად მიდიხარ, რად მოშალე, გააციე მშობელი კერა?!
 ახ, ერთხელ მაინც მოიხედე,
 ნაბოლარავ, დედის იმედო,
 მენს უკან, შვილო, გაყიდული სამშობლო რჩება.
 (უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს)
 2001

გამოსათხოვარი

თქვენ წახვედით,
 მაგრამ შერჩათ თქვენი სიტბო,
 თავჩაქინდრულ ყვავილის ფურცლებს.
 და როცა წახვედით
 ჯერ ისევ ტკბილად ეძინათ იასამნებს.
 ახალ თქვენ ნაკვალევს
 შერჩენიათ თქვენი მადლიანი სუნთქვა
 და თქვენი მზერა,
 გაზაფხულის სიოსავით მსუბუქი და ალერსიანი,
 ისევ მოკრძალებით იხედება ჩემს სულში.
 ნ.გ-ს
 1998

* * *

შენს სიყვარულში ჩემს თავს ვეძებ, უფალო ჩემო,
 ჩემი სულია შენი სულის მცირე ნაწილი.
 როს სიმანხინჯე სხეულს ასე მოეძალება,
 მხოლოდ შენა ხარ ერთადერთი ჩემი ნუგეში.
 უსარგებლოა, ალბათ, ყბედი მსახურის ყოლა
 უგულისყურო ტრფიალებით რომ გეფიცება,
 ყალთაბანდობად მხოლოდ რჩება ერთფეროვანი
 დანიშნულებას როცა სცდება მჭერმეტყველება.
 და მინდა დავრჩე შენში,
 როგორც რჩება დილისპირ ნამი მზიურ ყვავილში,
 რომ მიწიერი ბაგეებით შემოგღაღალო,
 ქება, რომელსაც შემოგძახის უტყვი ბუნება,
 მისთვის სილუღი სიდიადით დაუნჯებული.
 ახლა ვითვლი შენი მოსვლის სიშორეს,
 და მიხარია შენთან სიახლოვე,
 კარჩაკეტილი ოთახში ვზივარ,
 და გელოდები, ვით პატარძალი თავის სასიძოს,
 შენ იგვიანებ...
 კიდევ გასტანს, ნეტავ რამდენ ხანს
 წამთა წამება?!
 შენ უკვე მოდი
 და შენი მოსვლით ბინა ნათლდება.
 ნეტავ რამდენ ხანს გასტანს წამთა ბედნიერება?!
 შენ კი მიდიხარ
 მე ვრჩები მარტო
 კარჩაკეტილ სივრცეების შავ სიღრმეებში.
 და კვნესის გული
 უშენობით გარემოცული.

ირიდას ვაშლი

ჩაეშვა ბრბოში ირიდას ვაშლი
 და ბრბოს შუღლი და ქიმპობა დაშლის.
 – ყველაზე ლამაზს
 – და ასობით მისკენ ხელს იწვდის.
 რა დაცინვაა,
 ყველაზე მაღალს
 და არა ლამაზს.
 სისხლი მოწვეთავს
 ნაცემ სახეზე,
 კმაყოფილების ღიმილი ფარავს.
 ვაშლი მას ერგო!!!
 რა ბედენაა,
 ვის ერგო ვაშლი,
 მთავარია, რომ
 ბრბოს შური დაშლის
 1995

თეთრი აკორდები

როცა ღამეა და ისმის ჩუმი სევდა,
 ფანჯრიდან იღვრება ზამთრის თეთრი შუქი
 დედამიწაზე ძილი მეფდება,
 და ძლიერდება ფერები მუქი.
 სიცოცხლის მოძალეხას დრომ ველარ გაუძლო,
 მორევად გადაიქცა, ძალუმად მღელვარედ,
 მშვიდობით მოგონებავ, მშვიდობით წარსულო!
 მომავლის ვარსკვლავებო, იმედად მომენათეთ!
 ლამაზი ზამთარი, ლამაზი ფიფქები,
 თოვლიან ღამით შენზე დავფიქრდები.
 ვიცი ამ ღამით ძღვედ დავიღლები.
 ფიფქი ცვივა. შენ ჩემი არ იქნები.

მომეცით სასმისი, დავცალო ბოლომდის,
დე, იყოს ეს თასი ლამაზი მოგონების.
დღეები ვლოცულობდი, ღამეში ვეძებდი.
შენ ჩემს წარსულში არ მოდი, არ მოდი.
ხელს არ კვრავ კაეშანს, ნაზი ვით ფანტელი,
სხეულს დაეცემა სპეტაკი, სათუთი,
უცრემლოდ, უჩუმრად ჩაიწვა სანთელი,
ეხლა ძილის დროა და მეც დავმშვიდდი.
1995

თანაგრძნობა

დრო იყო საღამო ნელი და მქრქალი
ფეხს ვუჩქარებდი და იყო წამი,
როდესაც შემხვდა თვით ის შემთხვევა –
სხვისი წამებით დაღლილი ქალი.
დრო მიფარფატებს როგორც ჭრელი პეპელა,
კაბები მოკლდება, გრძნობებიც ალბათ.
უცხო ტკივილთან ვის რა ხელი აქვს,
ყველა თავისას განიცდის ახლა.
გაივლის ორი სინამდვილე პარალელულ ხაზების მსგავსად,
თვით უზენაეს ჭეშმარიტებას ნაზი ცრემლი დასტირის ცალკვად
მერე კი მიწაც ჩვენგან მისას მოითხოვს, ალბათ,
თუ ეს სიცოცხლეს ცუდმა მწამსმა არ გააყალბა.
რომელ ქუჩაში შეუხვია ვეძებ თვალებით
ქალმა, რომელიც დაიღალა სხვისი წამებით.
1997

* * *

აღარ გაიღება, ნეტავი, ცისკარი?!
 თუ ჩემი საათი ისევე წინ არი?
 თავის წყვილს მოუხმობს ველური ციკარი,
 რას უნდა ნიშნავდეს ეს ავი სიზმარი?!
 ალბათ ჯვარს ააგებთ, ამ ორი ფიცარით,
 და რატომ მიცინით ვითომ და მიცანით?
 არ გიცნობთ, არ მიცნობთ, უცხო ხართ, გითხართ,
 მთელი საფიქრელი – ცას ხედავთ? – იქ არი.
 ისევე დაღამდება – მერე რა? – დაღამდეს,
 რაც მთავარია ხომ ვიცი მიზანი.
 შეხედე, დარწმუნდი, ბნელშიც ჩანს ნათელი.
 ეცადე, არ გახდე წყვდიადის ხიზანი.
 ისევე მთვრალობენ, ზედ ემსხვერვათ სულის ჭურჭელი,
 იაფფასიან სიყვარულის ძველი ლოთები,
 თრობამ ბაზარზე შეიძინა თრობის მონები,
 გზას გილოცავენ კლაკენა-გრეხვით ქვის გორგონები.
 სურვილებს დაშორდა სითეთრის სიწმინდე;
 პატარა ფინია ზედ აღარ მიყურებს.
 პატარავ, მომეფერე, კუდი გამიქნიე,
 მე მინდა სიცოცხლე მე მინდა სიმშვიდე.

1998

* * *

აღარაფერს აღარა აქვს მნიშვნელობა,
 ახლა ყველაფერი წარსულში მიტივტივებს,
 გულში ცეცხლია და თავში ყინულია,
 ყოველი სიმარტივე, თურმე რა რთულია,
 ახლა დაწყება უკვე გვიანია,
 და დამთავრება ძალზედ ნაადრევი,
 ახლა საშუალო დრო არის მხოლოდ,
 საშუალო დრო და მეტი არაფერი.

1995

იღუმალება

მე ჩემს ტკივილთან მარტო დავრჩები,
ახლა ღლებსაც არა აქვთ ფერი,
და ისევ წინ-წინ მიმერეკება
გადავიწყება არაფრის მთქმელი.
გულიდან წვეთავს შხამი და სისხლი
და იჭმუჭნება მარად ღუმილში,
ო, როგორ მინდა ვიხილო ფორმის
გარდაცვალება მე ცისფერ შუქში.
აღთა კაშკაში, აქ რომ ანთია,
თავიანთ წვაში სულს მოუხმებენ
სანთლები დგანან – როგორც ღლები,
და უხილავად, ჩუმად მღერიან.
გუბბათი იწევს ცისკენ ნელ-ნელა
ახლა ჩრდილები ნათლდება უფრო.
თვჩაქინდრული დავტოვებ უხმოდ,
ჩემთვის ადგილი არ მოიძებნა.
საზრდოსთვის წანწალს უკვე მოეშვა
გონება გიჟად გადაქცეული,
იქ მწარე ცხრომით რამ მომაყვირეს,
აქ წამი დარჩა მთლად არეული.
სუნთქვა რად მიჭირს, როცა არა ვარ
არც სნეული და არც პატიმარი,
როცა ჩემია მთელი ქვეყანა,
თუმცა არ არის სადმე საფარი.
ფანჯრის მინების ცვენა იათებს
და მღერის ვილაც ძველ ბაიათებს,
ნიავემა ფარდა აიყოლია
იღვრება ჩემი მელანქოლია.

ჩემს ივერიას

სველი ქუჩები მიუყვება გადაღლილ გამზირს,
 მშვენიერებას დაუნამა წვიმამ ფურცლები
 და ამ ქვეყანას ჩემი სისხლი თუ კი უშველის,
 ძალადობასაც დაუდგები ქედმოდრეკილი.
 საით გარბიან სველ ქუჩათა მთელი რიგები,
 ეს გაყიდული საქართველო სად გაიქცევა,
 ჩვენი მამების და პაპების დაღვრილი სისხლი
 ჩვენს ხელზე არის
 და მიწიდან ცას შეჰლაღაღებს.
 ქარი ჰქრის,
 – ქარო,
 რაღა დაგრჩა გასამარცხავი,
 მაშინ შეჩერდი და გოდებას ყური მიუგდე,
 დახოცილ ჩვილებს დედებმა რომ მზე არ აღირსეს
 ზეცა დასტირის,
 რადგან არ ჰყავთ მათ ამ ქვეყნად ჭირისუფალი,
 და.... ო, შეჩერდი ქარშხალო,
 თავი ალაგმე,
 ძრწოლით იარე გაყიდული დედის სხეულზე,
 შვილებმა რომ ვერცხლზე გაცვალებს.
 სისხლი ღაღაღებს,
 და ჩამოდის ბრალმდებელად
 შებილწული ტაძრის კედლებზე.
 ფეხქვეშ გათელილ ცხედარივით
 წევს საქართველო,
 კრძალვით ინახავს თავის წიაღში
 წმინდა ნაწილებს
 და ემზადება საუკუნო განსვენებისთვის.

2002

ვარდობისთვეში

ქროდა სინატიფე მზერის,
 შლიდა ალვის ხეებს ქარი,
 და ქრიზანტემების ქნარი
 ლაღად მიმოჰქონდა აისს.
 სულში ირწეოდა სული,
 ალერსს მოჰყვებოდა ნამი,
 და ჰქონდა სურნელება ატმის
 შენში დავანებულ მაისს.
 ფრფენით აფრიალდა ფრთები,
 დათრთვილა ფრენის ნდომით სული,
 ამ ფიქრთა ფაფარაშლილ რემას,
 რაღას დააურევებს ქარი.
 დარდებს გააფითრებს ზეცა,
 ფერფლივით დააფრენს თბილისს,
 სულის ფარი არის ნება,
 ზურმუხტს სიმწვანე აქვს ფერის.
 ფატას მოაშორებს ნაზად
 სახეს ონავარი ქარი
 და გელამუნება ტალღად
 მშვიდი გაზაფხულის დარი.

1998

* * *

ღამის წყვდიადით შემოსილ ზეცას
 ჩამოუგორდა ლოყაზე მთვარე,
 ზეციურ გრძნობებს ცრემლებით რეცხავს
 და ვარსკვლავები ანათებს არეს.
 ზეცა ამ ტკივილს ვერ მოიშორებს,
 ო, როგორ ტანჯავს მიწის სიშორე,
 გაფრენილ კოცნად უგზავნის ფიფქებს,
 ამით უმულავნებს იღუმალ ფიქრებს.

1996

გმირის დედას

უდაბნო. მზისგან გახუნებულ შარაზე მიდის
 ცხენი დაღლილი, გადრეკილი სიმძიმით მხედრის.
 ლურჯ აისბერგებს ცაში ქარი აცურებს თბილი;
 ზრიოკად ქმნილი, ალბათ, ერთდროს ხასხასა ველი.
 ჭადარა მთები დატვირთული ოცნების თოვლით
 მიაცილებენ ციხისაკენ იღუმალ მზერით
 მას, ვისაც ახლა სიმაგრეში შვილი მოეღის.
 ო, შეისმინეთ მწვერვალებო, ვედრება დედის!
 თმაზე დააღწო მზის სხივებმა თავსაბურავი,
 გულში ჩაიჭრა და ახლა იქ აღრმავებს ტკივილს,
 ვინ გამოიცნობს, რა აზრები აწვალებს – ვისთვის?
 ვერ გაიგონებთ, მძიმე ქვებო, თქვენ დედის ქვითინს.
 ო, მოერიე დედაკაცო სასწრაფოდ შენს თავს,
 რომ შენი ვაჟი სვეტად მისცე ადამის გოდოლს,
 მან ისტორია ააშენა საკუთარ მხრებით
 და შენი საშოც ვერ დაიტევს მას ამიერით.
 დასწყევლი შენს თავს, ან შენს ნაყოფს,
 რომ სისხლი ღვარა?

– მე მგონი, არა.

წარბშეუხრელი დაუდგები გარდაუვალობას.
 თუმცა ქალური ჰყივის შენში სისუსტეები,
 შეიკუმშება, ალბათ, წამით მამაცი გული,
 და საძრახავი მიმქრალ თვალზე მოდგება ცრემლი.
 შენ, გმირის დედა ვერ გაბედავ იმის მოწმენდას.
 ათრთოლებული მოსცილდები ცხენის საზურგეს
 დანაოჭებულ, სუსტ ხელებში ჩაბლუჯავ აღვირს,
 ბაგეებიდან გადმოსკდება ნიაღვრად ოხვრა,
 – კმარა, გეყოფად, გმირთა დედებს არ შვენით გლოვა!
 ჩაჩანაკ თავზე გადაისვამ ხელს მწარე სევდით,
 და თვალსაწიერს გადახედავ ტანჯვის ღუმილით,
 მოხუცო, გასწი, თან წაილე ეგ შენი ტვირთიც
 ამ უდაბნოში, სადაც შენი ცხელი გზა მიდის.

1996 (დაწერილია რესპუბლიკურ ტურზე.
 ეძღვნება ჩინგის ყაენის დედის სურათს)

* * *

ბინდ-ბუნდში მღერის სადღაც გიტარა,
ბრძანსავით მივალ ხელის ცეცებით,
და თავს მესხმიან დამშეულები
ხეთა რიგები როგორც მხეცები.
შორს იყოს ჩემგან სულით დაცემა,
თუმცა ვიცი, რომ აქვეა იგი,
რწმენის ღალატით და თავგანწირვაც
აქვე დარჩება, იყო და არის.
მინდა დამთავრდეს ულაპარაკოდ
ამ კომედიის მწარე ცინიზმი.
მინდა, რომ მოვკვდე, ასე ნაწყველი
ნაცემ ძალღივით სამარხს ვიპოვნი.
ეს მე ვარ ცუდი, მე დავაშავე,
ამდენი ხანი ქვეყნად ვატარე,
და განძარცულმა ამ შავი დროისთვის
გრძნობა ნათელი ვეღარ მოვინახე.
სარეცელს ჩემსას აბურდავს ქარი,
და არ მიიღებს მიწა ჩემს სხეულს,
ოღონდ კი ახლა მხოლოდ სიჩუმე!
მე სასიკვდილო ტკივილებს ვებრძვი.
გასწიეთ ჩემგან სამგლოვიარო,
მელოდიები დაამღუმარეთ,
მათ ტრაგიზმს გაჰყვა მთელი სიცოცხლე,
და რა ამოდ დავხარჯე თურმე..
არ ვგლოვობ ახლა, იცის უფალმა,
ოღონდ არ მინდა ტკივილს დავნებდე,
ჩემთვის ცა არის იდუმალება,
და დედამიწა დიდი სიავე.
მთავრდება ასე ბოლო წამებაც,
პატარძალივით დნება სანთელი,
მე იმედი მაქვს მალე შეწყდება
ეს შოკი და კვლავ დავიბადები.

1997

* * *

იქნებ წარსული შეცდომათა შეცნობას ნიშნავს,
 ხოლო ჭკადარა ნიშანია დამდეგი ზამთრის;
 თუკი სიცოცხლეს აჩრდილივით სდევს თან სიკვდილი,
 მაშინ სიყვარულს სადღა უდევს თავისი წილი.
 ადამიანი გაქვავებულ ქალაქს ჰგავს ოდენ,
 თუ არ ანთია მასში საღვთო რამ ნაპერწკალი,
 თუკი არ ყვავის მის წიაღში მშვენიერი უცხო ყვავილი,
 თუ სული მისი ლოცვის ცვარში არ იწვართება,
 მაშინ ის მხოლოდ გარეგანად არის წარმტაცი.
 მკვდარი ქალაქიც ხომ შორიდან დიადია
 თვისი გალაგებით
 სიმაგრეებით,
 თვალუწვდენი ციხე-კოშკებით,
 ხოლო შიგნით კი შემზარავი ქმნილა კაცთათვის,
 რადგან სიკვდილმა გააქვავა მასში ყოველი.
 ნუ გაგიტაცებს სიმდიდრე და ხორცის სურვილი,
 წარმავლობაა სხვანაირად მათი სახელი,
 და გული შენი,
 – ერთადერთი ჭეშმარიტი საუნჯე შენი,
 უფალს მიეცი,
 რომ იპოვნო შეება მიწაზე.
 და თუკი არა,
 – ჰა, შეხედე,
 აჩრდილივით თან გდევს სიკვდილი,
 შემართულ ხელში არ უპყრია ბასრი მახვილი,
 აბა, ვინ იცის ჩვენს თავზედაც როდის იელვებს,
 დაუნდობელი და მსახვრალი იმისი ხელი.

2002 წ.

მინიატურები

* * *

პარადოქსების მთლიანობა არის ცხოვრება,
რომელთა შორის შეკრულივით, როგორც ტიტანი,
ბორგავს და მაინც ვერ უსხლტება ადამიანი.

* * *

მინდა აკრიფო შენი ამბორი მარგალიტებად,
ყელზე მოვიჭდო, სამუდამოდ გულზე დავიკრა.
და სამკაულიც ცხოვრებაში მეტი არ მინდა.

* * *

ჰანგი დაიშალა რიტმულად, გაიბნა,
წყლის ზედაპირზე წრეებად დაიფანტა
ცრემლად ჩამოსული მოგონება.

* * *

მზე დელასავით შემოევლო პატარა ნაძვებს,
მწვანე სინორჩის სურნელებით რიჟრაჟის სუსხში
პატარა ბავშვი გააღვიძა მზემ დაღლილ სულშიც.

* * *

ყვავილი მუდამ შეენის ქალს, მაგრამ
როდესაც ქალიც ამშვენებს ყვავილს,
უმწიკვლოებაც სწორედ ეს არის.

* * *

ფოთლები შრიალებს
გველის სრიალზე
ტყე კი ღუმს.

* * *

მრავლისმოქმელია დუმილი ბრძენთა
და უზადლა სიტყვა იმათი,
მაგრამ დუმილი სიბრძნეცაა ზოგჯერ ბრიყვთათვის.

* * *

ამა სოფლიურს ამოძრავებს პირობითობა,
რომლის პირშია, და მოქიშპეც თან, ალბათობა,
მათ წიაღს მიღმა დგას ურყევად ჭეშმარიტება.

* * *

ლოდინი გტანჯავს,
მაგრამ მაინც განარებს,
რადგან ელი რაღაცას.

მაია ნიკოლაძე



ნათია ქორიძე

ვილაცა...

ქროდა ქარიშხალი, ტიროდნენ ფოთლები...
ვილაცა მიწაზე შენს სახელს წერდა
გლოვა ესატა თვალებს მოწყენილს
ემატებოდა თანდათან სევდა.

წვიმას მიჰქონდა ათასი ფიქრი
ვილაცა შენზე ისევ დარდობდა...
ის ვილაც შენიც გრიგალში მიქრის,
ალბათ ტირილი შეცვლის გალობას.

დავედევნები ქარიშხლის უკან...
მან ხომ ლამაზი ფიქრი წარმტაცა,
არ დავბრუნდები დარდების ლუკმად
ვერ ვეგუები ტოლს და წარმტაცსაც.

თუკი ამოხვალ სასაფლაოზე
დაგხვდება ერთი ზედმეტი ლოდი,
ჩაივლი გვერდით და ალბათ, იტყვი:
მორჩა ამისი ღელვა და შფოთი.

გაქრება ჩემი მზეცა და მთვარეც,
იტირებს გული, იტირებს ზეცაც,
შენ ვერც კი იგრძნობ, სულის ცივ ბზარებს,
მივდივართ, ოღონდ ამ ქვეყნად მეც ვარ.

ძველი ხავსი

ბნელი სიჩუმე გამეფდა ირგვლივ,
ყველგან ჩამუქდნენ მკაცრი ლოდები,
ღამის წყვედიანი ჩამოწვა თვალთან
და ღამეული ცხელი ბოდვები...

ცოცხალ სხეულში ეს მკვდარი სული
ვერ გაჩერდება ვერასდროს დიდხანს,
ამ გაგიჟების ნიშანი სრული
იქნება ვინმემ ამისხნას, მითხრას...

გამირბის სული, სული მშორდება,
დამტოვებს ვიცი, დამტოვებს მალე,
მიღის ცხოვრება ცივ აკორდებად
და ჯოჯოხეთურს შეხედავს თვალებს.

დამპალი ხავსი მოიცავს არეს,
ხეთა რტოები იწვება მასში,
ეს სისასტიკე წააგავს ღამეს
და ოცნებებიც იმსხვრევა ქარში.

წადი მერცხალო, ეწვიე ჭაობს,
ხმელეთზე შენთვის არღარა რჩება,
ტკივილზე უკვე არავინ დაობს,
გათავდა! მორჩა! ის უკვე კვდება...

ნამდვილი სახე

შეგეშინდება, როს გაიგებ ვინა ვარ მართლა
და ყველა გრძნობა დაუნდობლად შეიმუსრება,
მთლად გაუქმდება ყველა ფიქრი, მე რაც კი მმართავს,
და სიყვარულიც სიძულვილით შეიმოსება...

გაიგებ მაშინ, თუ რა ცოდვა ადევს ამ ტუჩებს,
რა იმალება სევდიანი თვალების მიღმა
და სიძულვილი სიბრალულსაც განდევნის უცებ
და მაშინ უნდა სულ სხვა რაღაც გაგებით, მითხრა...

ჯოჯოხეთიდან გამოძახილს ჰგავს ეს სიტყვები,
ველარ მამშვიდებს აღელვებულს ვერც მეტაფორა.
სანთელი ქრება, ბოროტების ბინდში ინთქმება,
წაბილწულ სულს კი ვერ დაფარავს ვერც ანაფორა.

მოძველდა უკვე ყველა ფანდი, ყველა ნილაბი,
ღრო დადგა ვნებას როს ოცნება წარსულში ახვევს,
ურჯულოება, ბოროტება, მიდის მიღმამდი,
და ფარდის იქეთ იკვეთება ნამდვილი სახე.

* * *

სიკვდილის ჩრდილი ეცემათ სულებს,
 სატანა გულსაც დაუსვამს კლანჭებს,
 ეს შემოდგომის ღამე გზავნის სადარდელს ულევს,
 თითქოს სიკვდილიც აიყრის ჯაჭვებს.

დრო დადგა უკვე აქედან წასვლის
 და სულო ნატვრა აგიხდეს თუნდაც,
 ადრე სხვაგვარი ოცნება მწვავედა...
 იყო დრო, როცა სულ სხვა რამ მსურდა...

რად სტირი ნეტა, რა დარდი გაწვიმს,
 წასვლა არ ნიშნავს დავრჩეთ უბრებად,
 მარწუხებიდან გამოხვალ აწი,
 შენც მოესწრები თავისუფლებას.

ვემშვიდობები ყველაფერს ძვირფასს
 და გამუდმებით ვჯღაბნი სტრიქონებს,
 მივდივარ უკვე, ოცნებაც მიმაქვს,
 უკან დასახევ გზას არ ვიტოვებ...

ყველა დასაწყისს ჰქონია ბოლო,
 სიცოცხლეს მალე ცრემლები მორწყავს,
 სული ხეტიალს დაიწყებს ობლად,
 გადაემლება სხვა გზები ცოცხალს.

დღეს შემოდგომის მწუხარე სევდამ,
 დასტოვა თვალზე ბინდი დღეების,
 ახლა მაკვირებს რომ ერთ დროს მქონდა
 დიდი იმედი ბედნიერების...

ნათია ქორიძე

I. ღაუჭიწყარი პიროვნება

2007 წლის 9 დეკემბერს მშობლიურ მიწას მშობლებისა და ძმის გვერდით მიებარა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ბეთანელი. მას 2007 წლის 24 ნოემბერს სამოცდათხუთმეტი წლის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა, ათი დღის შემდეგ კი, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, აღესრულა, ჯერ კიდევ უდიდესი შესაძლებლობების მქონე პიროვნება მარადისობის ბინადარი გახდა.

კოტე ბეთანელი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა ქ. მოსკოვის სამთო საქმის ინსტიტუტში, აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1979 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით კოტე ბეთანელი, როგორც თვალსაჩინო მეცნიერი-სპეციალისტი, საქართველოში გადმოიყვანეს და დაინიშნა საქართველოს წიაღისეული და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. აღსანიშნავია, რომ კომისიის თავმჯდომარე იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და

საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდენტის წევრი, დაუვიწყარი პიროვნება და დიდი მამულიშვილი არჩილ ძიძიგური. ამ ორმა გამოჩენილმა მეცნიერმა უამრავი სასარგებლო საქმე გააკეთა საქართველოს საკეთილდღეოდ და ბევრჯერ დაქცეული მძიმე მრეწველობის ასაღორძინებლად. მალე კოტე ბეთანელი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, პარალელურად იგი საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის პრეზიდენტის წევრად იქნა არჩეული, ხოლო დიდი ქართველი მეცნიერის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ლადო ბახუტაშვილის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც 1986 წლიდან 2004 წლამდე უცვლელად იყო საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე, მის ნაცვლად არჩეულ იქნა კოტე ბეთანელი.

ამ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემების უკან იდგა არაჩვეულებრივად გულთბილი, ზედმიწევნით პატიოსანი, სიკეთითა და ერთგულებით სავსე პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტის, კულტურული ადამიანის განსახიერება. მისთვის მთავარი იყო მეცნიერება, საქართველო, ოჯახი, ახლობლები, მეგობრები და მთელი შესაძლებლობით იღწვოდა მათ საკეთილდღეოდ.



**მარჯვნიდან პირველი
კოტე ბეთანელი**

კოტეს 1979 წელსვე დაეუახლოვდა, ჯერ ერთი, მეზობლები ვიყავით, ჩვენი სახლები ასიოდ მეტრით თუ იყო დაცილებული, მეორეც – მისი მეუღლე იყო ჩემი უახლოესი მეგობრის ბორია ინასარიძის მეუღლის თანაკურსელი და ბავშვობის მეგობარი. რა თქმა უნდა, ეს სრულიად საკმარისი იყო ჩვენს დასამეგობრებლად. ხშირად ნოსტალგიური დარდით მახსენდება ის შორეული ოთხმოციანი და შემდეგ უფრო მეტად რთული ოთხმოცდაათიანი წლები, როცა შედარებით ახალგაზრდები და ჯან-ღონით სავსენი ვიყავით. საღამო ხანს შევიკრიბებოდით ბორია ინასარიძესთან, ჩემთან, ან კოტესთან, ცოტა კონიაკს გადავკრავდით,

ვისაუბრებდით, მერე მივდიოდით სასეირნოდ ხან უნივერსიტეტის ბაღში, ხან ვაკის პარკსა თუ რუსთაველის პროსპექტზე, თან მეგობრულად ვსაუბრობდით, ათას რამეს ვიხსენებდით. კოტე არ იყო ზედმეტად პოლიტიზირებული კაცი, თუმცა პოლიტიკა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს მდგომარეობა ყოველთვის ძირფესვიანად აინტერესებდა, ზვიად გამსახურდიას შემდგომდროინდელ მთავრობაზე წუხილით გამოთქვამდა შენიშვნებს, არასწორად მიჰყავთ საქმე და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი პატარა, ნაკლებად დაცული ქვეყანა დიდი საფრთხეების წინ აღმოჩნდებაო. თუკი რაიმე სასიკეთოს გაიგებდა, ბავშვივით უხაროდა, იქნებ გამოსწორდეს მდგომარეობა, ჩვენ თუ არა, საქართველოს და ჩვენ შვილებს მაინც ეშველოსო.

როგორც ვთქვი, მოსკოვში ოც წელწადზე მეტხანს ცხოვრობდა. – კიდევ რამდენიმე წელიწადი რომ დავრჩენილიყავი, ქართული ენა დამავიწყდებოდა და შევრცხვებოდი, ის ქართველი შევარცხვინე, ვინც მშობლიურ ენაზე წესიერად ვერ ლაპარაკობსო, – ამბობდა ხოლმე.

1991 წლის იანვარში ე.წ. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიე“ ფუძნდებოდა, სადაც წევრობის სურვილი ყოფილ რესპუბლიკებთან და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად საზღვარგარეთის რამდენიმე სახელმწიფომაც გამოთქვა. ამდენად, რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისადმი

ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. მაშინ- დელი წესების თანახმად მოსკოვიდან 12 დელეგატის ადგილი მოგვცეს. კონფერენციაზე ავირჩიეთ დელეგატები, მათ შორის აკადემიკოსი კოტე ბეთანელი. ძალიან გაუხარდა, დიდი ხანია არ ვყოფილვარ მოსკოვში და მაინტერესებს რა ხდება ამ საშინელი არეულობის ჟამსო. თვითმფრინავით ჩავფრინდით მოსკოვს, იანვრის ქალაქი უკვე ცივი და გაყინული სახით გამოიყურებოდა, ხალხი დიდი განსაცდელის წინ იდგა, ცივი ქალაქი გრძელი რიგებით იყო გადავსებული, ფალსიფიცირებული არაყი ჩუმად იყიდებოდა მაღალ ფასებში, მიუხედავად ამისა, ლოთები კიდევ უფრო მომრავლებულიყვნენ და ქუჩებსა თუ გადასასვლელებში გაპოზილი მთვრალეები ძველებურად იწვნენ.

ჩვენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია სასტუმრო „უკრაინის“ მერვე სართულზე დაგვაბინავეს. გაცემული დავრჩით, რომ ყველა ჩვენგანს ცალკე ნომერი ერგო. ჩემი ნომრის ფართო ფანჯარა ეზოში გადიოდა და სიჩუმეში მეძინა, კოტეს ძალიან საინტერესო ნომერი შეხვდა, დიდი ოთახის ფანჯრები მდინარე მოსკოვისაკენ გადიოდა, ფეხზე მდგარი კი არა, წამოწოლილიც კი ხედავდა ძველი და ახალი არბატის სწორ ქუჩებს, ხიდს, მანქანების ჯაჭვს, ანთებულ ფანჯრებსა და დათოვლილ სახურავებს. კოტე ძალიან კმაყოფილი იყო, მშვენივრად მოვეწყვე, ასე კარგად მგონი ჯერ არ მიცხოვრიაო. სხდომების შემდეგ და-

დიოდით მოსკოვის თოვლიან-ყინვიან ქუჩებში, თავგადასავლებს ვიხსენებდით, კოტემ გვიჩვენა ინსტიტუტი, სადაც მუშაობდა, სახლი, სადაც ცხოვრობდა. არეულ-დარეული მოსკოვი მაინც არ მოეწონა, მაღლობა ღმერთს, აქ არ მომიწია დარჩენა, ჩემი თბილისი და ჩემი პატარა ქუჩა სულ მირჩვენია ამ უთავბოლო ქალაქსო. ერთ კვირაზე მეტი გავატარეთ მოსკოვში, ყრილობის დამთავრების შემდეგაც კი სამი დღე დავრჩით, მერე ღამის რეისით დავუბრუნდით ჩვენს ერთადერთ და განუმეორებელ თბილისს.

პატიოსნებითა და პასუხისმგებლობით სავსე პიროვნება იყო. როცა შევატყობინებდით, არასოდეს არ გავადენდა გამგეობის პრეზიდენტი სხლომას, აქტიურად გამოდიოდა სიტყვით, ყველა საკითხის განხილვაში იღებდა მონაწილეობას, თან ძალიან პრინციპულიც იყო, თუკი რაიმე საჭირობოროტო საკითხი განიხილებოდა, ყოველთვის ორგანიზაციისთვის საჭირო კურსს უჭერდა მხარს. სწორედ გულმოდგინე საქმიანობისა და საინფორმაციო-სალექციო მუშაობაში გულმოდგინე მოღვაწეობისთვის 1998 წელს კონსტანტინე ბეთანელი საზოგადოება „ცოდნის“ წარდგინებით, ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, 2004 წელს კი საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი ჯილდო ილია ჭავჭავაძის სა-



**მოსკოვი, სასტუმრო „უკრაინის“
წინ. მარცხნიდან მარჯვნივ: კოტე
ბეთანელი, ნიკო ლეონიძე, ნუგზარ
წერეთელი, ალექსი ჭვედია, ნოდარ
ბაქრაძე, ნოდარ ზედელაშვილი**

ხელობის პრემია მიენიჭა და გადაეცა სამკერდე მედალი და ფულადი ჯილდო. ასე შევიდა იგი იმ თერთმეტი ადამიანის სიაში, ვინც განვლილი 14 წლის მანძილზე ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურა. „საზოგადოება ცოდნის“ საერთო კრების ჩატარებისა და არჩევნების შემდეგ საერთო მეგობრული სუფრაც იმართებოდა. საერთოდ ყოველგვარი მეგობრული შეკრება თუ

რაიმე წინსვლა სიამოვნებდა, ამბობდა ხოლმე – ძალიან მიხარია, „ცოდნა“ ფუნზე რომ დგას და ამდენ გაჭირვებას გაუძლო. თანამშრომლებს კოტეს მოსვლა, მასთან ურთიერთობა უხაროდათ, ბუნებით უშუალო, ალერსიანი კაცი იყო, ლამაზ ქალს კომპლიმენტს არ დააკლებდა, მისი ყველას სჯეროდა, მასთან ყოფნა ყველას უხაროდა.

წესიერი ქართველების უმრავლესობასავით, ოჯახი ძალიან უყვარდა, მეუღლეს – შესანიშნავ ექიმს დოდო მწყერაძეს, ქალიშვილებს ქეთისა და ელენეს აღმერთებდა, სულ მათ ბედნიერებაზე ფიქრობდა, შვილების საუკეთესო მომავალზე ოცნებობდა, ასეთ დროს კი უეცრად წავიდა, სხვა სამყაროში გადასახლდა. ძალიან დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, თბილისს, მეცნიერებას, მთელ საქართველოს, საიმედოდ მხოლოდ ისლა დაგვრჩა, რომ კოტე ბეთანელმა ამქვეყნად დატოვა დიდი მეცნიერისა და დიდი კაცის მეტისმეტად ძნელად მოსაპოვებელი სახელი.

II. ორი მემობარი

2007 წლის ნოემბრის თვეში ზედიზედ ორი დიდი ტკივილი განვიცადე, მოულოდნელად წავიდნენ ამ ცოდვილი წუთისოფლიდან ქართველი და ოსი ხალხების ღირსეული შვილები, ჭეშმარიტად სამაგალითო წარმომადგენლები – ნოდარ ზადიშვილი (ზადიევი) და გივი თედეიშვილი (თედეევი).

გივი ათეულობით წლის მანძილზე თედეევის გვართ იბეჭდებოდა პრესაში, ცხინვალისა და თბილისში ლტოლვილად დაბრუნების შემდეგ კი დაადგინა, რომ მისი წინაპრები თედეიშვილების გვარს ატარებდნენ და საკუთარ ფესვებს დაუბრუნდა.


ჩვენი ახლო მეგობრობა მერვე კლასიდან დაიწყო ქ. ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი განმანათლებელი, პედაგოგი და სწავლების ორგანიზატორი, დაუვიწყარი ვახტანგ კასრაძე.

ეს იყო 1949 წლის დასაწყისი, როცა ციხე-კოლონიებში ტანჯვის შემდეგ შინ დაბრუნდა პოლიტპატიმარი მამაჩემი აკაკი წერეთელი. აქ ნახსენები „შინ“, როგორც ჩანს, პირობითად წამომცდა, ვინაიდან მამას ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ სწორედ „შინ“ ცხოვრება ეკრძალებოდა. „ტროიკის“ არაადამიანური განაჩენის თანახმად, მას ხუთი წლით ქალაქ

თბილისიდან გასახლება ჰქონდა მიხვილი და შეეძლო საკუთარი ქალაქის ფარგლებს გარეთ ასი კილომეტრის დაშორებით ეცხოვრა.

ბოლოს და ბოლოს „ჩეკას“ მკაცრი მოთხოვნები 110 კილომეტრის მოშორებით მდებარე უძველესმა ქართულმა ქრცხინვალმა ანუ ცხინვალმა დააკმაყოფილა. დედამ, მამამ, ბებიამ და სამმა ვაჟიშვილმა მივატოვეთ საკუთარი სახლ-კარი ვაკეში, მშობლიური ვაჟთა მეშვიდე საშუალო სკოლა, უამრავი ნათესავი, მეზობელი, მეგობარი და ქალაქ ცხინვალს გადავსახლდით.

უსიამოვნო დასაწყისის მიუხედავად, ცხინვალში გატარებული წლები საუკეთესო მოგონებად დარჩა ჩემს ცხოვრებაში. მაშინდელი ძალზე პატარა ქალაქი ცხინვალი, ანუ 40-50-იანი წლების ცხინვალი, იყო მშვენიერი ქართული ქალაქი, სადაც ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები, სომხები, ხოლო ოსები და რუსები, გაცილებით ნაკლები კი არა, ასჯერ ნაკლები რაოდენობით სახლობდნენ. მაგალითად, ძირითადად ქართველი ებრაელებით დასახლებულ მთელი ქალაქის ჩვენს ყველაზე დიდ უბანში თითზე ჩამოსათვლელი ოსური ოჯახები ცხოვრობდნენ, ცენტრის გვერდით მდებარე ამ უძველეს უბანს, როგორც ვთქვი, ყველაზე მრავალრიცხოვან ადგილად მიიჩნევდნენ.



გიორგი თელევევი

გიორგი თელევევი ღრმა ცენტრში, ყოფილი საოლქო აღმასკომის შენობის პირდაპირ ცხოვრობდა. შინიდან მიმავლებს ყოველთვის ეს ქუჩა უნდა გაგვევლო. გიორგი გვიცდიდა სახლის წინ მე და ჩემს ძმებს, იქიდან კი ახლო მეზობლებთან და მეგობრებთან ჟორა მილოდაშვილთან და შურა გალეგაშვილთან ერთად მზიარულად მივდიოდით სკოლისაკენ, შინაც ასევე გუნდურად ვბრუნდებოდით.

ნოდარ ზადიშვილი მშობლებსა და ძმასთან, ასევე ჩვენს მეგობარ თენგიზ ზადიშვილთან ერთად, ზუსტად სკოლის გვერდით ცხოვრობდა. ამიტომაც ის ჩვენს მეგობრულ მსვლელო-

ბას ვერ უერთდებოდა, სამაგიეროდ საღამოობით, გაკვეთილების დამზადების შემდეგ, როცა თეატრისწინა მოედანსა და ვილაციის მიერ შერქმეულ ქუჩა „ასმეტრიანზე“ ვსეირნობდით, ყოველთვის ჩვენთან იყო. ზოგჯერ ქუჩებს მივატოვებდით, ცხინვალის კულტურისა და დასვენების მშენებელ პარკში მივდიოდით, იქ ღონისძიებებს ვესწრებოდით, ტბაზე ნავებით ვსრიალებდით, ან მდინარისპირა პარკის დაქანებულ ფერდობზე მსხდარები სუფთა, ბუნების მიერ გაცრილ ჰაერს ვსუნთქავდით.

ზშირად სატვირთო მანქანითა თუ ჩვენი საკუთარი მონჯლრეული ველოსიპედებით მივემართებოდით ახლო-მახლო სოფლებისა და ძველი ეკლესიამონასტრების გასაცნობად. ასე ყველამ ერთად მოვინახულეთ თამარაშენი, აჩაბეთი, ჯავა, ერედვი, ზონკარი, კეხვი, ქურთა, ნიქოზი, ვანათი, გუჯაბაური და სხვა ადგილები.

ჩვენი ორივე მეგობარი ნოდარ ზადიშვილიც და გიორგი თელევევიც ხასიათის თვისებებით ერთმანეთს ბევრ რამეში ჰგავდნენ: ორივე ფრიალებზე სწავლობდა, ორივე იყო საუცხოო შესახედაობის ბიჭვი, გამოირჩეოდნენ განათლებითა და შინაგანი ინტელიგენტური თვისებებით, უყვარდათ კითხვა, წიგნებს ეწაფებოდნენ. ახალი გამოცემები სკოლის თუ საქალაქო ბიბლიოთეკიდან გამოგვქონდა, ანდა ერთმანეთს ვათხოვებდით, წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი იმ შორეულ წლებში ყველა ჩვენთაგანის სულიერი თანამგზავრი იყო.

პირველ ქართულ საშუალო სკოლაში თვის მანძილზე ორჯერ გამოდიოდა მაშინ აუცილებელ მოდად ქცეული კედლის გაზეთი. ორი წლის განმავლობაში მე რედაქტორად ვიყავი არჩეული, სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ სკოლის მოწინავე მოსწავლეები, განათლებული ბიჭები: გიორგი ბესტაევი, ნოდარ ზადიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, გივი თედეევი, სიმონ ოგანოვი, გარსევან კრიხელი, მხატვარი გურამ მჭედლიძე. ამ შემადგენლობიდან მომავალში უმრავლესობა ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი გახდა. დაწყებითი სარედაქციო მუშაობა კიდევ უფრო კრავდა და აღუღებდა ჩვენს მეგობრობას, ძალიან ხშირად ვიყავით ერთად სკოლაშიც, ქუჩაშიც და ოჯახებშიაც, გარჩევა არ არსებობდა, ვინ ქართველი იყო, ვინ ებრაელი და ვინ ოსი, ყველა ერთმანეთისადმი თბილი გრძობით ვიყავით გამსჭვალულნი, ნოდარიც და გივიც ქართველობაზე სდებდნენ თავს და საქართველო უსაზღვროდ უყვარდათ.

მეთერთმეტე კლასში ისევ ჩენს მშობლიურ თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლას დავუბრუნდი, ჩვენი მჭიდროდ შეკრული გზებიც გაიყარა, მაგრამ მეგობრობა, სიტბო და მოგონებები დარჩა. შემდეგშიც ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და დაწვრილებით ვიცოდით, ვინ რას აკეთებდა, რას საქმიანობდა.

ნოდარმაც და გივიმაც ცხინვალის ინსტიტუტი დაამთავრეს, გივიმ ჟურნალისტობა, მწერლობა აირჩია და ბოლო წუთამდე კალამი არ გაუშვია ხელიდან, მუშაობდა გაზეთებში, მრავალი წელი კი „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო ცხინვალის ზონაში, წიგნების ავტორიც გახდა. ნოდარი უფრო საზოგადო მოღვაწეობის სფეროში საქმიანობდა, ხელმძღვანელობდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობას, იყო ახალგორის რაიონის ხელმძღვანელი.

ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე – ნოდარ ზადიშვილიც და გივი თედეევიც იყვნენ „საზოგადოება ცოდნის“ წევრები, ლექტორები და თავის დროზე უამრავ სასარგებლოს აკეთებდნენ ამ მნიშვნელოვანი საზოგადოების წინსვლაგანვითარების ხელის შეწყობის საპასუხისმგებლო საქმისათვის.

შემოქმედებით – იერარქიულ კიბეზე აღმავლები მაინც რჩებოდნენ გულდია ცხინვალელ ბიჭებად, მეგობრებად, ყველაფრით გამორჩეულ ადამიანებად, საქართველო საოცრად უყვარდათ და თავს მთლიანი საქართველოს შვილებად თვლიდნენ, მისი კეთილდღეობისათვის შრომა უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ.

ხშირად მახსენდება ხოლმე 1989 წლის მარტში ჩვენი დაუვიწყარი მეგობრული შეხვედრა, რაც სამწუხაროდ საყოველთაო არეულობის გამო თითქმის უკანასკნელიც კი აღმოჩნდა.



**მარცხნიდან: ნუგზარ წერეთელი,
ნოდარ ზადიშვილი**

ცხინვალს სამსახურებრივი საქმეების გამო ერთი დღით მიემგზავრებოდა ჩემი უახლოესი მეგობარი და მეზობელი, გამოჩენილი ქართველი მშენებელ-ჰიდრომელიორატორი ბორია ინასარიძე, მაშინ იგი საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, ცოტა ადრე კი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო. ბორიამ, როგორც ძველ ცხინვალელს, მეც მთხოვა წავყოლოდი.

მანქანით გასულები ჯერ კიდევ დილის საათებში უკვე ცხინვალში ვიყავით. საქმეების მომთავრების შემდეგ სუფრა გაიშალა სოფელ აჩაბეთში, სამაჩაბლოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის ნუგზარ ბაბუციძის მშვენიერ ტრადიციულ ქართულ ოჯახში. სუფრის წევრებიც კი დღემდე მახსოვს, აქ იყვნენ ნოდარ ზადიშვილი, გივი თედეევი და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე იურა ენალდევი. საუკეთესო მეგობრული ღვინო გაიმართა, ერთმანეთს თბილი სადღეგრძელოები არ დაგაკელით და სინანულით დავშორდით.

1990 წელს დაწყებული არეულობისა და დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს: უკვე ლტოლვილად ქცეული გივი თედეევი თბილისში მოღვაწეობდა, ნოდარ ზადიშვილი კი საკუთარ ცხინვალს ვერ შეეღია, მაგრამ, რამდენიმე წლის წინ იგი საცხოვრებლად ვლადიკავკასს გადავიდა, ერთ-ერთი ბოლო შეხვედრის დროს მითხრა, რა ვქნა, ძალიან მტკივა გული, ვერ წარმომიდგენია სხვაგან ცხოვრება, შინაგანად ვიტანჯები, მაგრამ ამ გადარეულ გიჟთან ურთიერთობა ყოვლად შეუძლებელიაო, რა თქმა უნდა, ამ ძველი ქართული კუთხის თვითმარქვია ხელმძღვანელს გულისხმობდა, წავიდა და სამწუხაროდ ძალიან მალე აღესრულა.

გივის ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, დარეკვა და მოკითხვა უყვარდა, ყურადღებას არ დაგაკლებდა, მოულოდნელ

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე დამირეკა: ძალიან ავად ვიყავი, გადავრჩი, აწი არა მიშავს და ძალიან მალე გინახულებთო. სამწუხაროდ და სავალალოდ კი 2007 წლის ნოემბრის თვეში ეს ორი მეგობარი და ყველაფრით გამორჩეული ადამიანი ერთმანეთის მიყოლებით წავიდა ამ წუთისოფლიდან.

ჩვენი მოსწავლეობის წლები ისეთი გაჭირვებული, პირდაპირ ლარიბ-ლატაკური იყო, რომ სამახსოვროდ ერთი სურათიც კი არ დავერჩა, ფოტო-აპარატი არავის არ ჰქონდა, ფოტოგრაფთან გადასაღებად კი უფულოდ ვინ მივიდოდა. უდროოდ წავიდნენ ქართველი და ოსი ხალხის ეს საამაყო შვილები, მაგრამ დატოვეს კაცური სახელი და ის საოცარი მოგონებები, რაც არასდროს არ იკარგება.

III. ტრადიციების მცველი



ის არც გამორჩენილი მწერალი ყოფილა, არც მხატვარი, ცნობილი მეცნიერი თუ მუსიკოსი ან დიდი თანამდებობის პირი, იყო ყველაზე საუკეთესო ტრადიციული ქართული თვისებებით აღჭურვილი კაცი და ამგვარი ტრადიციების ჭეშმარიტი მცველი, პატიოსნებით ყელთამდე სავსე, დღენიადაგ მშრომელი, მოყვასის მოსიყვარულე, ყველას მხარში მდგომი, სოფლის უსაზღვროდ ერთგული და ყოფილი დიდი ოჯახის ერთადერთი ბურჯი. ამ მხრივ მას მართლაც დიდი კაცის ძნელად მოსაპოვებელი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ასეც იყო ცნობილი სოფელსა, რაიონსა თუ ქალაქ ქუთაისში, სადაც მან ელექტრო-მექანიკურ ქარხანაში ორმოცდაათი წლის მანძილზე იმუშავა.

ფეხზე მდგარი მშრომელი კაცი რამდენიმე თვის წინ მოულოდნელად დაავადდა, მოსხლეტილივით უცებ მიეჯაჭვა ლოგინს, სამიოდე თვე იწვა და 2008 წლის 21 იანვარს მდინარე ყვირილას ხეობის დამრეც ფერდობს ნატურმორტივით დაკიდებულ უძველეს ქართულ სოფელ საღვინეში მამაპაპისეული წაბლის ხის ოდაში აღესრულა სამოცდათორმეტ წელს ოდნავ გადაცილებული დაუვიწყარი ივერი წერეთელი.

ეს ცისფერი თვალებით, ქერა თმებითა და ლამაზი თეთრი სახით დამშვენებული პიროვნება ბიძაშვილად გვერგებოდა, ჩვენი ბაბუები პავლე და ილია წერეთლები ალალი ძმები იყვნენ, ამავე დროს მეზობლებიც ვიყავით და უახლოეს ნათესაობასთან ერთად მეგობრობაც გვაკავშირებდა. ივერი, ან როგორც ყველა სიყვარულით ეძახდა – ივერიკო, ჩემს თანატოლად ითვლებოდა, სამ ძმას შორის ისიც საშუალო და სამ ძმას შორის მეც საშუალო ვიყავით, ეს თითქოს კიდევ უფრო გვაახლოვებდა. ადრეულ წლებში ზაფხულობით სოფლად ყოფნისას სულ ერთად დავდიოდით, ჩემი სიცელქე და მისი სიღინჯე ერთმანეთს აწონასწორებდა. მაშინ ჩვენი სოფელი გვარიანად დიდი იყო, ზედად და ქვედად იყოფოდა, აქაც საკმაოდ დიდი უბნები ჰქონდათ მშვენიერაძეებს, შველიძეებს, ფერაძეებს, კვინიკაძეებს. წერეთლები

ყველაზე ნაკლები რაოდენობით სახლობდნენ, ორი ოჯახი ზედა სოფელში, ორიც ქვედაში, აქ ბაბუაჩემის ბიძაშვილების სამფლობელო იყო ზედ შორაპნის საყოველთაოდ ცნობილ ციხესთან.

გადმოცემითა და დარბევების შემდეგ შემორჩენილი მცირე საბუთებით ვიცოდით, რომ სამანქანო-სარკინიგზო გზების პირას მდებარე სოფელი საღვინეც და მისი გაყოლებით მდებარე სოფლებიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს საკუთრებაში შეეძინა ჩვენი პაპის პაპის პაპას, იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლს დიდ თავადს ნიკოლოზ წერეთელს, რაც ბავშვობაში ძალიან გვეამაყებოდა, განსაკუთრებული სიამაყით მავსებდა ის გარემოება, რომ სოფლის გზებზე შემხვედრი მოხუცი გლეხები, განსაკუთრებით მე, ალბათ, როგორც ქალაქიდან ჩასულ სტუმარს, მომმართავდნენ ხოლმე ბატონიშვილო ან დიდო ბატონიშვილოო, თან ხელზე მკოცნიდნენ, რაც პატარა ბიჭისთვის უცხო რამ იყო და ძალიან მომწონდა. ივერიკო ამ ამბავს მერეც სიცილით იხსენებდა ხოლმე და ხუმრობდა თუ თავადაზნაურობა აღსდგა, ოღონდ მანამდე კომუნისტებმა თუ არ დაგიჭირეს, მარშალად და წინამძღოლად უეჭველად შენ ავირჩევნო.

— მე ქალაქიდან ვერ ჩამოვალ, ან რატომ ჩამოვიდე, შენ აქ არ ხარ მეთქი, — ვეუბნებოდი და სუფრასთან მსხდარები გულიანად ვიცინოდით. ამ უწყინარი სახუმარო შეპასუხების გარდა ჩვენ კამათი და ოდნავი უსიამოვნება

არასოდეს მოგვსვლია. პატარაობის წლებიდანვე თბილი ბუნების ბიჭი, თავის გარშემო სიკეთით სავსე მშვიდ განწყობილებას ამკვიდრებდა.

პატიოსნებითა და შრომით ცნობილი ოჯახის შვილი იყო ივერი. ბაბუამისი ილია, საქართველოს ოკუპაციამდე დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ქართველთა შორის წერაკითხვის გამვრცელებელი საზოგადოების შორაპნის მაზრის საზოგადოების თავმჯდომარე იყო, მერე კი, გაერთიანებული სოფლების მამასახლისად აირჩიეს და უაღრესად პატივსაცემ პიროვნებად იქნა აღიარებული. ივერის მამა შიო სასიყვარულო ზედმეტსახელად საშიკოს რომ უძახდნენ, შორაპნის მაზრაში ცნობილი მოღვაწე იყო. მან ბათუმამდე გააცილა გაძევებული მენშევიკური მთავრობა, უცხოეთში წაყვანაც ჰქონდათ გადაწყვეტილი, დაგიჭერენ და დაგხვრეტენო. შიო წერეთელი არაფრით არ დარჩა, მშობლები და მამული ვერ მიატოვა, საფრთხის გამო ბათუმიდან მდინარე ყვირილას ხეობამდე, შორაპნის ციხის ზემოთ ქედებში ჩამჯდარ მშობლიურ სოფელ საღვინემდე ტყე-ტყე ფეხით იარა. ამის შემდეგ ის სადმე გაუსვლელად სოფელში დარჩა, სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ყველა პატივს სცემდა საშიკოს, უყვარდათ, მასზე ერთი საჩივარიც არ შესულა ორგანოებში და გაციმბირებას სასწაულებრივად გადაურჩა. მერე ცოლად შეირთო თერჯოლელი ტახტის აზნაურის ალავეჯის ასული, სამი



**სხედან: ილია წერეთელი
მეუღლესთან ერთად.
დგანან: მარცხნივ ილიას დის
შვილი ზურაბ ორჯონიკიძე,
მარჯვნივ ძმის შვილი აკაკი
წერეთელი. 1921 წელი**

ბიჭიც გაუჩნდა და ოჯახიც მყარად დადგა ფეხზე. თანდათან წლების მატებასთან ერთად ცხოვრების ცნობილი უნდობლობაც გათამაშდა, წავიდა მამა, ცოტა გვიან დედა, ყველაზე საშინელება კი ის იყო, რომ ჯერ კიდევ საშუალო ასაკს გადაცილებული, უფროსი ძმა, კეთილშობილებითა და კაცურკაცური თვისებებით ცნობილი ბაბუას მოსახელე ილია წერეთელი, სამი ქალიშვილის მამა, მოულოდნელად წავიდა ამ საშინელი ქვეყნიდან. უმცროსი ძმა ზურაბ წერეთელი, ასევე საუკეთესო თვისებების შესანიშნავი პიროვნება ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. კაცის გარეშე დარჩენილი ოჯახის მთელი სიმძიმე ივერის დააწვა. ქუთაისიდან მოსული ან ყოველ შაბათ-კვირას შინ მყოფი სისტემატური თავდადებით საქმიანობდა, საქმე კი უამრავი ჰქონდა, ჰყავდა ხარები, ცხენი, ძროხები, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა

საქონელი, ჰქონდა გამართული ურემი, სახნავ სათესი მიწა, ვაზი, ხეხილი.

ბოლო წლებში, როცა ქვეყანა სასტიკად აირია, ქუთაისში მიღებული ერთოთახიანი ბინა მეგობარ ქალსა და მის შვილს დაუტოვა, თავად კი საბოლოოდ საკუთარ სოფელს დაუბრუნდა, ოღონდ წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვეულებითა და სიყვარულით ყოველდღე ადრიანი დილით ქუთაისს მიდიოდა, საქმეს თავს ვერ ანებებდა, იქაც ძველებურად შრომობდა. საღამოს ავტობუსით კიდევ გამოივლიდა ოცდაათამდე კილომეტრიან მანძილს, ოთხამდის კილომეტრსაც ფეხით გადიოდა საღვინის აღმართებზე. თავს არასოდეს ზოგავდა, არცთუ იშვიათად მძიმე ტვირთი მიჰქონდა, უფრო ხორბალი და სიმინდი. თავის განუყრელ სვანურ ქუდს არასდროს იცილებდა, ხუმრობდა ხოლმე, ზამთარში სიცივისგან მიცავს, ზაფხულში კი სიცხისგან, ის კი არადა ძველისძველ ქართულ წესსაც ვიყენებ, თუ ტვირთი მომაქვს და მწყურია, ღარიდან მოწანწკარე წყაროს წყალს პემსს კი არ ვუშვერ, ქუდში ვაგროვებ და გემრიელად ვსვამო. ჩემმა უმცროსმა ძმამ გობრონ წერეთელმა და თანასოფელელმა მეგობარმა თემურ მშვენიერაძემ მიაამბეს: სახლისაკენ მიმავლები სერზე გზით ამოვდიოდით, უცებ ივერიმ ჩავვირბინა, ძახილზე გაუჩერებლად გადმოგვიგდო მოვალე და კვლავ გაიქცა. თურმე სავსე ტომრით მანქანის

ძარაზე მოკალათებულისთვის ქარს საყვარელი სვანური ქუდი გადაეგდო, ტომარა ძლივს ჩამოდგა და ქუდს გაეკიდა მანქანამ არ გადაუაროს ან ხევში არ ჩავარდესო. მერე ტომრის წამოღება არაფრით არ დაგვანება, ისევ აიკიდა და სახლში ჩაიტანა, ჩვენს შეწუხებას მოერიდაო.

დაუღალავ შრომასთან ერთად კითხვაც ძალიან უყვარდა, რადიომიმღების სმენაც და ტელეგადაცემების ცქერაც. ყველაფრის საქმის კურსში იყო, ოღონდ პოლიტიკა მაინცდამაინც არ მოსწონდა, არ იზიდავდა, ხან ერთი პარტიის წარმომადგენელი მომადგება ქუთაისში, ხან მეორე, გაწევრიანებას მირჩევენ, შრომის პარტიას ძალიან მიქებენ, მაგრამ მე ყოველგვარი პარტიის წევრობის გარეშე მონდა ცხოვრებაო.

ყოველთვის ჰქონდა საკუთრად დაწურული სუფთა ღვინო. მარტო სმა არ მოსწონდა, ჩვენთან და მეგობრებთან ერთად ქეიფი კი ძალიან უყვარდა, სმაც კარგი იცოდა და სუფრის თამალობაც, ახლაც თვალწინ მიდგას ყოველ აღდგომა დღეს როგორ ამოდიოდა სოფლის დამრეცი გზიდან, მერე დაუყვებოდა შარას მაღალი მუხებით უხვად დაფარული სასაფლაოსკენ, ცალ ხელში ღვინით სავსე მოზრდილი ღოჭით და მეორე ხელში ხაჭაპურებით, რომ მშობლების, უფროსი ძმის, ახლო ნათესავების საფლავზე შესანდობარი შეესვა და საუცხოო ღვინის გასასინჯად მეზობლებიც მიეპატიჟებინა. ბევრის მსგავსად მთვრალი და ფეხარეული არა-

სოდეს უნახავთ, აქაც ზომიერი და ღირსეული კაცი იყო, ყველაფერში იცავდა აუცილებლად საჭირო ზღვარს, მაგალითის მიმცემ ადამიანად ითვლებოდა. ამქვეყნიური სიცოცხლის დამთავრების ჟამს კვლავ დიდი უბედურება დაატყდა თავს, უმცროსი ძმა ზურაბ წერეთელიც აღესრულა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მაგრამ ეს უბედურება აღარ გაუგია, თავად ელოდა მკაცრი ბედისწერის განაჩენს. სამწუხაროდ სამ თვეში ორი ძმა წავიდა ამ ქვეყნიდან.

მაღალი ზნეობისა და კაცური თვისებების მატარებელი პიროვნების უდროო წასვლა ყველამ მტკივნეულად განიცადა. დიდი თოვლის და უგზობის მიუხედავად მის გასვენებაზე საქართველოს არაერთი ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული ადამიანები შეიკრიბნენ. მთელი სოფელი მონაწილეობდა სამაგალითო პიროვნების ღირსეულად გაცილების მტკივნეულ საქმეში, განსაკუთრებული სიყვარულით შრომობდნენ ძმები დათუნა და თემურ მშვენიერაძეები. მწუხარების გრძობასთან ერთად მსიანოვნებდა, რომ საღვინე კვლავ ფეხზე იდგა და ქართულ ტრადიციებს აგრძელებდა, იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელთაც მთელი სიცოცხლის მანძილზე თავგამოდებით იცავდა ივერი წერეთელი.

ძალიან ცუდი ამინდები იდგა. იმ სამწუხარო განშორების დღეს კი მზემ გამოანათა, ირგვლივ შემოჯარული ქედები გააბრწყინა, მთელი მიდამო ააბრჭ-

ყვიალა, დათბა კიდევ. ზოგი ამბობდა
საწყალს ამაში მაინც ჰქონია ბედო.
ბედი კი მართლაც ნაკლებ წყალობდა,
მშობლებსა თუ ახლობლებზე ამ სი-
ტყვის სრული მნიშვნელობით გადაგე-
ბის გამო საკუთარი ოჯახიც ვერ შე-
ქმნა, თუმცა მისი გულმოსაკლავი წას-
ვლისათვის უფროსი და უმცროსი
ძმების მეუღლეებსა და ქალიშვილებს
ცრემლი არ დაუკლიათ. ყველა მიაც-
ილებდა ივერის ბოლო განსასვენებ-

ლისაკენ, დედ-მამის, ძმის, ახლო ნათე-
სავების გვერდით.

წავიდა ვალმოხდილი, სახელიანი,
ნამუსიანი კაცი ამ ცოდვილი წუთი-
სოფლიდან, წავიდა და დარჩა ისეთი
მაღალი სახელი, რაც ქვეყნად ყველაზე
უფრო ძნელად მისაღწევია და რაც
მხოლოდ გამორჩეული ადამიანების
ხვედრია.

ნუგ ზარ წერეთელი